ლელეა

თებერვალი 1963 წ. № 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენდება თბილისი

ფოტო თ. არჩვაძისა

ორმოცდაორი, ორმოცდახუთი

საბჭოთა საქართველოს კიდევ ერთი წელი შეემატა. ორმოცდაორი წლის წინათ ქართველმა ხალხმა დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაამხო მენშევიკური რეჟიმი და ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა წყობილება დაამყარა.

რამდენი უაღრესად მნიშვნელოვანი და ისტორიული რამ მოხდა ამ წლების მანძილზე. საქართველო იქცა მძლავრი ინდუსტრიის, მოწინავე სოფლის მეურნეობისა და მაღალი კულტურის მქონე რესპუბლიკად. იგი ერთი მოწინავე შემადგენელთაგანია მსოფლიოში უმძლავრეს, პროგრესული კაცობრიობის ფორპოსტის — დიადი საბჭოთა კავშირისა.

საბჭოთა საქართველო დღენახევარში გამოიმუშავებს იმდენ ელექტროენერგიას, ყოველ ცხრა დღეში იღებს იმდენ ქვანახშირს, რამდენსაც ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელი წლის მანძილზე აწარმოებდა. ჩვენს რესპუბლიკაში იჭედება თუჯი და ფოლადი, მზადდება ლითონსაჭრელი ჩარხები და ათასგვარი სახეობის მანქანა, მთელი ქვეყნის რკინიგზის მაგისტრალებზე და შარაგზებზე დაბჟრიან ქართული ელექტრომავლები და ავტომანქანები. ჩვენს რესპუბლიკაში დამზადებულ უზუსტეს ხელსაწყოებს შორსა აქვთ განთქმული სახელი. ქართული ჩაი, ღვინო, შამპანური, კონიაკი დიდი ხანია გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. სულ უფრო და უფრო მძლავრდება კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმოებთა ხარისხი და რაოდენობა. მკვეთრად იზრდება რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის გამოშვების დონე. საქართველოს მშრომელთა მიღწევებს შორის საკმარისია დავასახელოთ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ამუშავებული „დგან 400“, რომელმაც მის შემქმნელ კოლექტივს ლენინური პრემია მოუპოვა.

სულ უფრო და უფრო მძლავრდება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. ცნობილია, რომ მთელს საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 97 პროცენტი საქართველოზე მოდის. გასულ წელს ქართველმა მეჩაიეებმა სამშობლოს სარეკორდო რაოდენობა — 170 ათასზე მეტი ტონა ჩაის ნედლი მასალა მისცეს. ასევე წარმატებით იბრძვიან ქართველი მევენახეები, მეციტრუსეები, რომელთა შრომის შედეგი ყოველი საბჭოთა ადამიანის სუფრას ამკობს.

საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინურმა კომუნისტურმა პარტიამ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მთელი გადატრიალება მოახდინა. საკმარისია ითქვას, რომ საქართველო, უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვის მიხედვით პირველ ადგილზეა მსოფლიოში—ყოველ ათას მცხოვრებზე 38 უმაღლესი განათლებითაა. ეს შორს უსწრებს შეერთებულ შტატებს, ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს... ახლა საქართველოში სამას მცხოვრებზე ერთი ექიმი მოდის (შეერთებულ შტატებში ერთ ექიმზე — 1000 მცხოვრები). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მრავალრიცხოვან ინსტიტუტებში მუშავდება მეცნიერების, ტექნიკის, ბუნებისმეტყველების, ჰუმანიტარული დარგების ურთულესი და უახლესი საკითხები. ჩვენი რესპუბლიკის მწერლები და ხელოვნების მუშაკები ახალ-ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით ამდიდრებენ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას. სასიამოვნოდ აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები დგანან ჯანსაღ ნიადაგზე და მათთვის უცხოა აბსტრაქციონისტური ე. წ. „ხელოვნების“ მანკიერი, ხალხისათვის სრულიად მიუღებელი ტენდენციებიც კი. ქართველი ხალხი მტკიცედ მიაბიჯებს საბჭოთა მთავრობისა და ლენინური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული გზით, მეთოდურად, განუხრელად აღმოფხვრის პიროვნების კულტის ბატონობის პერიოდში დაშვებული შეცდომების ნაშთებს.

ქართველი ხალხი მთელს საბჭოთა ხალხებთან ერთად ახალ-ახალი საჩუქრებით ხვდება თავისი რესპუბლიკის ორმოცდამეორე წლისთავს და ახალ შემოქმედებით ვახტზე დგება რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოს — უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთხმად დაუჭერენ მხარს საბჭოთა საქართველოს მოწინავე ადამიანებს, წარმოების, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, რომლებიც მარტში კენჭს იყრიან რესპუბლიკურ და რაიონულ უმაღლეს ორგანოებში ასარჩევად.

საბჭოთა საქართველოს დიდი დღესასწაული ემთხვევა საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველი საბჭოთა არმიის 45 წლისთავს. მთელი ამ ხნის მანძილზე საბჭოთა შეიარაღებული ძალები მტკიცედ იცავენ ჩვენი ხალხის შემოქმედებითს შრომას. მათი საბრძოლო დროშები ნათელმოსილია დიადი გამარჯვებებით საერთაშორისო იმპერიალიზმის შავბნელ ძალებზე, იმპერიალიზმისა, რომელმაც ორჯერ ხელჰყო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო — ჩვენი დიადი კავშირი.

საბჭოთა არმიამ სახელოვანი გზა განვლო მისი დაარსების პირველსავე დღიდანვე. სამოქალაქო ომის წლებში შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოელი ინტერვენტების გაერთიანებულმა ძალებმა რამდენიმე ლაშქრობა მოაწყეს სულ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ჩვენმა ხალხმა, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა წარმატებით მოიგერიეს თოთხმეტი იმპერიალისტური სახელმწიფოს და თეთრგვარდიელების შეტევა სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ.

სულ მოკლე ხანში გამოიბრძმედა და ჩამოყალიბდა საბჭოთა მეომრისა და საბჭოთა ოფიცრის სახე. სამშობლოს დასაცავად წარმოებულ ბრძოლებში აღიზარდნენ შესანიშნავი მხედართმთავრები, რომლებმაც სამშობლოს დამცველთა მთელი არმია გაზარდეს. სწორედ ისინი იყვნენ, რომელთაც მეორე მსოფლიო ომის მთელი სიმძიმე საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად საკუთარ თავზე გადაიტანეს და კაცობრიობას თავიდან ააცდინეს მიხაკისფერი ურჩხულის, კაციჭამია ფაშისტთა ბატონობა. სწორედ საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა იხსნეს მთელი დასავლეთი ევროპა და სხვა მხარეები ჰიტლერელ დამმონებელთაგან. სამამულო ომის მძიმე დღეებში ჩვენი სახალხო მეურნეობა გარდაიქმნა სამხედრო ყაიდაზე. პარტია საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებდა თავდადებული შრომისათვის ზურგში და საბრძოლო გმირობისათვის ფრონტზე. მილიონობით კომუნისტი შევიდა არმიისა და ფლოტის მეომართა რიგებში. ისინი სიმამაცის არნახულ მაგალითებს უჩვენებდნენ მთელ პირად შემადგენლობას. ომის დასასრულისათვის შეიარაღებულ ძალებში პარტიის სამნახევარი მილიონამდე წევრი და კანდიდატი იყო.

ჩვენი შეიარაღებული ძალები გამანადგურებელ დარტყმებს აგემებდნენ მტერს. ერთი ასეთი უდიდესი მნიშვნელობის გამარჯვებათაგანის ოცი წლისთავი სწორედ წელს, თებერვალში შესრულდა: ვოლგოგრადთან ჰიტლერის რჩეული არმიების განადგურება ისტორიაში შევა, როგორც საბჭოთა იარაღის, საბჭოთა ხალხის გმირობის, თავდადებისა და სიდიადის ბრწყინვალე ფურცელი.

საბჭოთა არმიის რიგებში აღიზარდნენ მსოფლიოში უველაზე მოწინავე სამხედრო ტექნიკის შემქმნელი ადამიანები. მის რიგებში ჩამოყალიბდა ათასობით სახელგანთქმული გმირი, ვაჟკაცობისა და გმირობის ისეთი გოლიათები, როგორებიცაა იური გაგარინი, გერმან ტიტოვი და მათი კოსმიური ძმები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობამ მთელს ჩვენს ხალხს, ჩვენს შეიარაღებულ ძალებს დიდი ამოცანები დაუსახა. საბჭოთა სახელმწიფოს არმია მუდამ მზად უნდა იყოს ჩვენი სამშობლოს დასაცავად. თუ იმპერიალისტები საბჭოთა ხალხს თავს მოახვევენ ომს, თერმოატომური ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებული ჩვენი საბჭოთა არმია მტრის მომსპობ გამანადგურებელ ცეცხლს წარმართავს მათ მიმართ, ვინც ომების გზით აპირებს გაიგრძელოს არსებობა, მოხპოს კაცობრიობის მონაპოვარი.

საბჭოთა არმია ჩვენი ხალხის სახელი და სიამაყეა. დიადი კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი და გამოწრთობილი ჩვენი შეიარაღებული ძალები ყოველთვის მზადაა, ყოველთვის ფხიზლად დარაჯობს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიან ცხოვრებას, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებით შრომას.

დიდება ჩვენს უძლეველ ხალხს, დიდება მის უძლეველ შეიარაღებულ ძალებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლომი

№ 2 (139) თებერვალი, 1963 წ.

გამოცემის XIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საერთაშორისო-სამხატვრო ჟურნალი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუთაისი ეკონომიკა

ა. მარჯანიძე



ფართოდ იდება ვეებერთელა რკინის ბიშკარი. ბიშკრიდან ერთიმეორის მიყოლებით გამოდიან მზეზე მოლაპლაპე საწევარები, საბარგულები, თვითსაცლელები. გრძლად დამწკრივებულნი ყრუ გუგუნით მიემართებიან მოასფალტებული შარაგზით ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხისაკენ, იქ, სადაც დიად მშენებლობათა მოწინავე ხაზია და სადაც მოუთმენლად ელიან მათ. ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხნის მარკა ჩინებული საგზურია მათთვის.

ქარხანა ომის შემდეგ იქნა აგებული. პირველად დეტალების უმრავლესობას მზა სახით იღებდა სხვა საწარმოებიდან. ახლა კი თვითსაცლელი მანქანებისა და ქუთაისელთა სიამაყის ხუთტონიანი საწევარის „კოლხიდას" ნაწილები მზადდება ადგილზევე, ქალაქის განაპირას ამართულ ვეება საამქროებში.

ამას წინათ, ქუთაისელმა მეავტომობილეებმა იდღესასწაულეს საჩამომსხმელო № 8 საამქროს წლისთავი. ერთი შეხედვით ეს თითქოს დიდი არაფერია, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ეს საამქრო ერთადერთია საბჭოთა კავშირში და მესამე თუ მეოთხე მთელს ევროპაში!

საქმე პროდუქციაში როდია. ეგრეთწოდებული ბედადი თუჯი მრავალ საწარმოში ჩამოისხმება. მაგრამ იმის შესახებ, თუ როგორ მზადდება იგი აქ, ღირს დაწვრილებით მოვუყვეთ მკითხველებს.

საჩამომსხმელო საამქრო ქარხნებში ყველაზე ბუმყიან ადგილად ითვლება. კვამლი, ბვარტლი და ტალახი მისი მუდმივი თანამგზავრია. მაგრამ ქუთაისში თქვენ შეგიძლიათ ამ საამქროში თეთრი ხალათით შეხვიდეთ და არ გეშინოდეთ მისი გაბუბყიანებისა.

პირველად საბჭოთა კავშირში აქ დადგმულია საგროველები, რომლებშიაც ბოვიდან გადმოსხმული ლითონი საჭირო ტემპერატურამდე—1500 გრადუსამდე მიიყვანება. ამ საგროველების მთელი საიდუმლოება იმაში გამოიხატება, რომ ისინი ინდუქციურია და 50 ჰერც სამრეწველო სიხშირის დენზე მუშაობენ.





რას იძლევა ეს ტექნიკური სიახლე?

უპირველეს ყოვლისა, საჩამომსხმელო წარმოების კულტურის ზრდას, ლითონის ხარისხის გაუმჯობესებას. ახლა ჩამომსხმელები გახდნენ ელექტროკოსებიც (საამქროში მუშაობს სამართავი გამომთვლელი მანქანა კაზმის შემადგენლობის გამოსაანგარიშებლად) და ავტომატიზაციისა და მექანიზაციის სპეციალისტებიც.

ამჟამად საამქრომ მიაღწია თავის საპროექტო სიმძლავრეს — დღეში უშვებს ათობით ტონა ბედად თუჯს, რომელიც წინათ მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ქარხნიდან შემოქონდათ. ეს უკვე დიდი ეკონომიაა, თუმცა ახლა ძნელია მისი გამოანგარიშება, რადგან საამქრო საცდელია. მაგრამ საქმე ამაში როდია. მთავარი ისაა, რომ ახალი, მოწინავე, პროგრესული აქ ფართო გზაზეა გამოსული. განა ეს არ არის ქუთაისელი ავტომშენებლების საქმიანი პასუხი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებზე?

რა თქმა უნდა, შეიძლება მრავალი ციფრის ან ფაქტის მოყვანა, რომლებიც ნათლად დაახასიათებენ ქარხნის დღევანდელ მდგომარეობას, მაგრამ ამჯერად

ჯობია ფოტოსურათებს მივმართოთ. მათაც შეუძლიათ სტატისტიკურ ანგარიშებზე უფრო დამაჯერებლად მოგვითხრონ ბევრი რამ.

აი ინდუქციური საგროველები (ფოტო № 1). მასში ისხმება გავარვარებული ლითონის ლავა. ნუ გიკვირთ, რომ მათთან ადამიანები არ ჩანან. ჩამომსხმელები ამ პროცესს ზემო ბაქნიდან უთვალთვალებენ.

საყალიბო კონვეიერი ყველა საჩამომსხმელო საამქროს ერთ-ერთი ბინძური უბანია. აქ კი (ფოტო № 2) მექანიზმები თვითონ ამყარებენ წესრიგს.

ეს კი გამოსათვლელი მანქანაა (ფოტო № 3), რომელიც შექმნილია თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. მას მართავს საამქროს ინჟინერ-ტექნოლოგი ანზორ კვინიკაძე.

ქარხნის მეორე, ახალ საამქროში — საძარე საამქროში მზადდება საწევარ „კოლხიდას“ ლამაზი ძარები (ფოტო № 4). ეს ახალგაზრდები (ფოტო № 5) ამ საამქროს საუკეთესო რაციონალიზატორები არიან, ხუთივეს საშუალო ტექნიკური განათლება აქვს. ისინი ერთად მუშაობენ მანქანის კაბინების ასაწყობი ხაზის გადაკეთებაზე, რაც შრომის მწარმოებლობას სამჯერ უფრო მეტად გაზრდის. საინტერესო დეტალი: ხუთივე ერთად ცხოვრობს სამოთახიან ბინაში, რომელიც მათ ქარხნის დირექციამ გამოუყო. (მარცხნიდან მარჯვნივ) ზეინკლები-ამწყობები ალექსანდრე ქორიძე, ბარნაბ ლეკვეიშვილი, ომარ ხუჯაძე, აივენგო ლეკვეიშვილი და დავით ნოზაძე.

საძარე საამქრო კვლავ მარაგდება ახალი ტექნიკით. ახლა აქ მიმდინარეობს 1000 ტონიანი ორმაგი მოქმედების პრესის მონტაჟი (ფოტო № 6), რომელიც ქუთაისელებს მეგობრებმა გამოუგზავნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ზეინკალი-მემონტაჟე რომან ავალიანი, საამქროს მექანიკოსი მურმან ნუცუბიძე და ზეინკალი-მემონტაჟე გურამ ნუცუბიძე ემზადებიან პრესის მორიგი დეტალის დადგმისათვის.

გაიცანით ამ დღის კიდევ ერთი გმირი (ფოტო № 7). ამხანაგები გამარჯვებას ულოცავენ საშა კიანუცას, რომელმაც დღეს საკუთარი ხელით პირველად დაამზადა რთული დეტალი. ასეთი მხიარულება შეიძლება დისციპლინის დარღვევაც იყოს, ვინაიდან ახლა აქ გაკვეთილი მიმდინარეობს, მაგრამ ოსტატი არ წყრება. მასაც ახარებს შეგირდის წარმატება. საშა ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის მოწაფეა. იგი კვირაში ორჯერ მიდის ქარხანაში, რომ მღარავის პროფესიას დაეუფლოს.

შემდეგი ფოტოსურათი (№ 8) უსიტყვოდაც გასაგებია. ეს გახლავთ ყოველი ქარხნის „წმიდათა წმიდა“ ადგილი — საკონსტრუქტორო ბიურო. აქ დაიბადა „კოლხიდა“, ახლა კი... თუმცა წინ ნუ გავიქცევით. კონსტრუქტორები რაღაც ახალს ამზადებენ, მაგრამ მის შესახებ ჯერჯერობით არაფერს ამბობენ. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა უდიდესი ამოცანები დაუსახა საბჭოთა კონსტრუქტორებს. ამ ამოცანების ღირსეული შესრულება— აი რისკენ ისწრაფვიან ახლა ქუთაისელები.

დამთავრდა სამუშაო დღე. ავტომშენებლები შინ მიდიან. ჩვენც მათთან ერთად დავტოვოთ ქარხანა, მაგრამ მანამდე რამდენიმე წამით გავჩერდეთ ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის სტენდთან (ფოტო № 9). გაზეთში გამოქვეყნებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ქარხანამ ვადაზე ადრე შეასრულა წლიური გეგმა და ახლა შვიდწლედის მეხუთე წლის ზლუდეებს უტევს.

სულ გამარჯვების გზებით გევლოთ, ქუთაისელო მეავტომობილეებო!



ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა

ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი ვოლგოგრადის დამცველებთან.

„ვოლგის იქით არ არის მიწა!“

ეს იმდინარე წლის 2 თებერვალს 20 წელი შესრულდა, რაც წითელმა არმიამ ვოლგოგრადთან გარშემორტყმული მტრის დიდი დაჯგუფების განადგურება დაამთავრა.

ვოლგოგრადისათვის გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომლებსაც მთელი მსოფლიო უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს, საბჭოთა სამხედრო ხელოვნების ტრიუმფალური გამარჯვებით დამთავრდა.

ვოლგოგრადის მიმართულებით აქტიური საბრძოლო მოქმედება გერმანელმა ფაშისტებმა 1942 წლის ზაფხულში დაიწყეს. ჰიტლერი ვარაუდობდა, რომ მისი არმია ელვისებური გარღვევით გაიჭრებოდა ვოლგაზე და ხელში ჩაიგდებდა ვოლგოგრადს, რომელიც წითელ არმიას ტანკებით, ქვემეხებითა და სხვა სამხედრო საჭურველით ამარაგებდა.

გერმანელთა სარდლობის მთავარ ამოცანას შეადგენდა, აღმოსავლეთიდან შემოევლოთ მოსკოვისათვის და ვოლგისა და ურალისაგან მოეწყვიტათ იგი. ვოლგოგრადის დაცემა არა მარტო საუკეთესო პირობებს შექმნიდა მოსკოვის ასაღებად, არამედ კავკასიასაც ჩამოაშორებდა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონებს.

23 ივლისს ვოლგოგრადის მიმართულებით მტრის 19 დივიზია მოქმედებდა, თვის ბოლოსათვის კი ბრძოლებში გერმანიისა და მისი მოკავშირეების 30 დივიზია იღებდა მონაწილეობას. წარმატების სურვილით შეპყრობილი ფიურერი ბრძანებას ბრძანებაზე სცემდა, რათა ვოლგოგრადის ფრონტზე დამატებით გადაესროლათ საუკეთესო ძალები და პირველხარისხოვანი ტექნიკა. ქალაქს გააფთრებით უტევდა გერმანელთა რჩეული მე-4 სატანკო არმია და მე-6 არმია, რომლებსაც ფელდმარშალი ფონ პაულუსი სარდლობდა. ბრძოლებში ჩაებნენ იტალიელთა მე-8, რუმინელთა მე-3 და მე-4 არმიებიც.

ვოლგოგრადის ბრძოლებში, რომლის ტერიტორია 100 ათას კვადრატულ კილომეტრს მოიცავდა, მონაწილეობას იღებდა 2 მილიონი კაცი, 2 ათასი ტანკი, 26 ათასი ქვემეხი, 2 ათასამდე თვითმფრინავი. ქალაქში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მეტრი, რომ ყუმბარა ან ნაღმი არ გამსკდარიყო.

ვოლგოგრადის დამცველებმა გასაოცარი გმირობის ამაღელვებელი ფურცელი ჩაწერეს სამამულო ომის მატეანეში. ისინი შეუვალ კედლად აღიმართნენ მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ და არარაობად აქციეს გერმანელთა სარდლობის იმედები.

განუწყვეტელი დაბომბვის მიუხედავად, სატრაქტორო ქარხნისა და სხვა საწარმოების მუშები შეუპოვრად განაგრძობდნენ შრომას და მებრძოლებს შეუფერხებლად ამარაგებდნენ იარაღით.

ფრონტი სატრაქტორო ქარხნიდან ასეულ მეტრზე იყო დაშორებული, როცა ქარხნის კომუნისტთა კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ ყველა კომკავშირელი და კომუნისტი ადგილზე დარჩენილიყო და მტრის ჯოჯოხეთური ცეცხლის ქვეშ განეგრძო ტანკების გამოჭედვა.

ყოველდღიურად 150-180 ათასი ვოლგოგრადელი გადიოდა სამუშაოდ, რათა დახმარება გაეწია წითელი არმიის მებრძოლებისათვის. ისინი გულმოდგინედ ამაგრებდნენ ქალაქის ზღუდეებს, აგებდნენ საცეცხლე წერტილებს, თხრიდნენ ტანკსაწინააღმდეგო ორმოებს...

ერთი თვის ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა შეძლეს რამდენიმე ადგილას გადმოელახათ ვოლგა. ორად გაყოფილ ქალაქში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა თვითეული ეზოსა და კვარტალისათვის.

მუდამ საამაყოდ დარჩება ვოლგოგრადის დამცველთა საარაკო გმირობა და გამძლეობა, რამაც განცვიფრებაში მოიყვანა მთელი მსოფლიო. გენერალ ჩუიკოვის 62-ე ლეგენდარული არმია თვეების მანძილზე შეუპოვრად იგერიებდა მტრის რამდენჯერმე ჭარბ ძალებს. მებრძოლები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ ყოველი სახლისათვის, ყოველი სართულისა და ეზოსათვის.

„პავლოვის სახლი“, — ასე შეარქვეს ვოლგოგრადელებმა ერთ-ერთ ოთხსართულიან შენობას, რომელსაც სერჟანტ იაკობ პავლოვის მეთაურობით 22 ჯარისკაცი თითქმის ორი თვე იცავდა გერმანელთა გამუდმებული იერიშებისაგან.

„ვოლგის იქით არ არის მიწა!“ — ეს სიტყვები გენერალ როდიმცევის გმირული დივიზიის სნაიპერს ვასილ ზაიცევს ეკუთვნის, რომელმაც ასეულობით ფაშისტი გამოასალმა სიცოცხლეს.

„ვოლგის იქით არ არის მიწა!“ — ერთხმად იმეორებდნენ ვოლგოგრადის გმირი დამცველები და თავგამოდებით იცავდნენ ნანგრევებად ქცეული ქალაქის თვითეულ მტკაველს.

ოთხი თვის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, 1942 წლის შუა სექტემბერში ვოლგოგრადთან შეჩერებული იქნა გერმანიისა და მისი მოკავშირე ქვეყნების არმიების შემოტევა.

პარტია მიზნად ისახავდა ბრძოლებში მოექანცა მტერი, სისხლისაგან დაეწრიტა იგი და შემდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადაეყვანა წითელი არმია. პარტია მოთმინებით, მეთოდურად და ზუსტი გაანგარიშებით ამზადებდა ნიადაგს ომის მსვლელობაში ძირეული გარდატეხის შესატანად.

ვოლგოგრადის ფრონტზე გადამწყვეტი შეტევის დაწყების წინ დიდი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა იქნა ჩატარებული ჯარის ნაწილებში. ვოლგოგრადის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქალაქის დაცვაში, პირადად ესაუბრა მებრძოლებს, გაეცნო მათ საბრძოლო მზადყოფნასა და განწყობილებას. როგორც შემდეგ იხსენებდნენ მებრძოლები, ნიკიტა სერგის ძეს წვევამ, მისმა გულითადმა საუბარმა და შენიშვნებმა მეტი რწმენა და სიმტკიცე შეიტანა ჯარში.

1942 წლის 19 ნოემბერს, მძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ, ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ.

წითელი არმიის დარტყმების შედეგად მალე მთლიანად იქნა განადგურებული მტრის ჯარები, რომლებიც ფრონტის ფლანგებს იცავდნენ, ძირითადი დაჯგუფებები კი ჩვენმა არმიამ რკინისებურ მარწუხებში მოაქცია.

საბჭოთა სარდლობამ ულტიმატუმი წაუყენა ფელდმარშალ ფონ პაულუსს, რათა უარეყო უაზრო წინააღმდეგობის გაწევა და თავისი ჯარით ტყვედ დანებებულიყო. მას შემდეგ რაც ეს ულტიმატუმი უარყოფილი იქნა, ჩვენმა ჯარებმა რკალში მოქცეული მტრის განადგურება დაიწყეს.

1943 წლის 2 თებერვალს წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა მტრის არმიამ. ტყვედ წამოყვანილი იქნა 91 ათასი კაცი, მათ შორის ვოლგოგრადის დაჯგუფების სარდალი გენერალ-ფელდმარშალი ფონ პაულუსი, 24 გენერალი და 2.500-ზე მეტი ოფიცერი.

ალყაშემორტყმული დაჯგუფებების ლიკვიდაციის დროს მოსპობილი და ტყვედ წამოყვანილი იქნა 22 დივიზია, საბჭოთა მებრძოლებმა მინდორში აკრიფეს და დამარხეს 144.200 კაცის გვამი.

ვოლგოგრადის უმაგალითო კონტრშეტევის პერიოდში, რომელიც თვე-ნახევარი გრძელდებოდა, სულ მოსპობილი იქნა 32 დივიზია და 3 ბრიგადა. მტერმა დაკარგა 800 ათასი კაცი.

ომების ისტორიას არ ახსოვს სამხედრო ტექნიკით საუკეთესოდ აღჭურვილი რეგულარული ჯარების ესოდენ დიდი რაოდენობის გარემოცვისა და მათი მოსპობის მსგავსი მაგალითი.

ვოლგოგრადთან მოპოვებული ისტორიული გამარჯვება უპირველეს ყოვლისა მიღწეული იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკისა და უშუალო ხელმძღვანელობის მეოხებით.

ამ ბრძოლებში ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა ჩვენი დიადი პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი სიმტკიცე და ორგანიზატორული შესაძლებლობა. პარტიამ მტკიცედ შეაკავშირა საბჭოთა ხალხი სამშობლოს თავისუფლების დაცვისათვის, ჩაუნერგა გამარჯვებისადმი ურყევი რწმენა. ხალხმა იცოდა, რომ მხოლოდ ლენინურ პარტიას შეეძლო ომის განსაცდელში გამოეტარებინა ისინი და სანატრელ გამარჯვებამდე მიეყვანა.

ვოლგოგრადისათვის გამართულ სისხლისმღვრელ ომებში მასიურად გამოჩნდა საბჭოთა ადამიანების მაღალი პოლიტიკური შეგნება, საუკეთესო მორალური თვისებები, მათი სამაგალითო გმირობა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული. ვოლგოგრადი გახდა საბჭოთა ადამიანების სიმტკიცის, შეუდრეკელი რწმენის და ძლიერების სიმბოლო.

ვოლგოგრადთან მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებას უაღრესად დიდი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ვოლგოგრადი ფაშისტური გერმანიის მზის ჩასვლების დასაწყისი იყო, იგი იყო შემობრუნების ეტაპი ომის მსვლელობაში, ახალი, გარდამტეხი პერიოდის დასაწყისი. ვოლგოგრადის ბრძოლებში გერმანელთა განადგურებამ დასაბამი მისცა საბჭოთა არმიის მძლავრ შეტევას, რომელიც მალე 1.500 კილომეტრზე გაიშალა.

ვოლგოგრადთან მოპოვებულმა გამარჯვებამ არა მარტო საბჭოთა ხალხი აამაღლა მორალურად, არამედ მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანს ჩაუნერგა იმედი. მათ უკვე სწამდათ, რომ საბჭოთა არმია ის უძლეველი ძალა იყო, რომელიც მტკიცე ნაბიჯით გაივლიდა ათასობით კილომეტრს და ფაშიზმის ბუნაგში — ბერლინში დიდი ხნის ნანატრ მშვიდობის დროშას ააფრიალებდა.

დ. ქავთარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1945 წელს საბჭოთა ჯარებმა ჰიტლერელ დამპყრობლებისაგან ბრძოლებით გაათავისუფლეს ჩეხოსლოვაკია. იმავე წელს ჩეხურ ენაზე გამოვიდა პატარა წიგნი, რომელმაც შეძრა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანის გული. წიგნს ერქვა „რეპორტაჟი სახრჩობელიდან“. მისი ავტორი ჩეხი ჟურნალისტი კომუნისტი იულიუს ფუჩიკი იყო.

...ᲙᲠᲔᲛᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ!

ფუჩიკს ყველა იცნობდა.

იგი მაღალი, მხარბეჭიანი, მეტად ჯანსაღი და ლამაზი ვაჟკაცი იყო, ჰქონდა ნათელი სახე, ხშირი თმა და საუცხოო თეთრი კბილები. ეს კბილები ჯერ ჩეხმა პოლიციელებმა ჩაუმტვრიეს ერთ-ერთი დემონსტრაციის დროს, ხოლო შემდეგ გესტაპოელებმა.

მაგრამ კისერზე სახრჩობელის ყულფჩამოცმულმა მან მაინც შეძლო გაღიმება თავისი სპეტაკი, ადამიანური ღიმილით.

ჩვენ მას ვუყვარდით, ადამიანებო, და ჩვენი ბედნიერებისათვის მან გაწირა ყველაზე უფრო ძვირფასი რამ — სიცოცხლე.

მისი ცხოვრება იყო ბრძოლა და ამ ბრძოლას შეალია მთელი თავისი ტიტანური ძალა. დაბადებული 1903 წელს მელითონე მუშის ოჯახში, იგი აკვნიდანვე ეზიარა ცხოვრების სიავკარგეს. წამოჩიტდა თუ არა, მასში ცეცხლივით იბრალა ძველი თაბორიტების გაუტეხავმა, მოჯანყე სულმა. 1921 წელს იგი შევიდა პრაღის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე. სწავლობდა და მუშაობდა. იყო მიწის მთხრელი, თეატრის რეცენზენტი, ჟოკეისტთა მწვრთნელი, რეპეტიტორი, რეკლამების დამტარებელი, შავი მუშა მშენებლობაზე. ჭაბუკობიდანვე გადაეშვა რევოლუციური ბრძოლის ქარცეცხლში და ოცდახუთი წლის ასაკიდან დაპატიმრებამდე სათავეში ედგა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს „რუდე პრავოს“ ყველა ლეგალურ და არალეგალურ გამოცემას.

მელითონე მუშის ბიჭი გადაიქცა გამოჩენილ მწერალ-კომუნისტად, ჟურნალისტად და საზოგადო მოღვაწედ. იგი ღრმა და ურყევი კავშირით იყო შეკრული თავისი ქვეყნის ხალხთან, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ თავისი შეხედულებები ჩაენერგა ხალხისთვის, არამედ იმიტომ, რომ ხალხის შეხედულებები გამოეხატა, იგი არ წერდა იმისათვის, რომ ეცხოვრა, იგი ცხოვრობდა იმისათვის, რომ სიმართლე დაეწერა და ამ სიმართლის საშუალებით გავლენა მოეხდინა თავის მკითხველებზე.

ორჯერ, 1930 წელს და 1934 წელს ფუჩიკი ეწვია საბჭოთა კავშირს, „ქვეყანას, სადაც ჩვენი ხვალინდელი დღე უკვე გუშინდელი დღეა“ და თავისი აღფრთოვანება, რწმენა და სიყვარული უჩვეულო გულწრფელობითა და ოსტატობით გამოხატა თავის ბრწყინვალე სტატიებში.

როცა ჰიტლერულმა გერმანიამ ჩეხოსლოვაკია დაიპყრო, ფუჩიკი პატრიოტ მებრძოლთა პირველ რიგებში ჩადგა. კომუნისტების ხელმძღვანელობით შექმნილმა ერთიანმა ეროვნულმა ფრონტმა მძიმე და მედგარი ბრძოლა გააჩაღა დამპყრობთა წინააღმდეგ. ოკუპაციის ექვსი წლის მანძილზე კომპარტიამ ხუთჯერ დაკარგა თავისი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა. დაკარგა თავისი 25 ათასი ძველი წევრი. 1941 წელს ფუჩიკი ცენტრალური კომიტეტის მეორე შემადგენლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. იგი დააპატიმრეს 1942 წლის 24 აპრილს და არაადამიანური წამების შემდეგ 1943 წლის 8 სექტემბერს სიკვდილით დასაჯეს.

სწორედ საპატიმროში, გესტაპოს მარწუხებში დაწერა მან თავისი უკანასკნელი და უკვდავი „რეპორტაჟი სახრჩობელიდან“.

„ადამიანი არ პატარავდება იმის გამო, რომ მას თავს ჰკვეთენ, — ამბობდა იგი, — ამ ბრძოლაში ათასები დაეცემიან. მე ერთი მათგანი ვარ. რა მშვენიერებაა — იყო მეომარი უკანასკნელი ბრძოლისა“.

ჰიტლერელთა თავდასხმამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ფუჩიკი წერდა, რომ „გმირი არის ის ადამიანი, რომელიც გადამწყვეტ მომენტში აკეთებს იმას, რაც უნდა გაკეთდეს ადამიანთა საზოგადოების ინტერესებისათვის“.

მან გადამწყვეტ მომენტში გააკეთა ის, რაც საჭირო იყო ადამიანებისათვის. იგი თვითონ იყო გმირი და მაშინაც კი, როცა წამებისაგან გონმიხდილი სიკვდილს ებრძოდა საკანის ფილაქანზე, ადამიანებზე, სიცოცხლეზე ფიქრით ლამობდა აუტანელი ტკივილისა და უილჯობის დაძლევას.

იულიუს ფუჩიკი

„ვცოცხლობდი მხიარული ცხოვრებისათვის, ვკვდები მისთვის, და უსამართლობა იქნებოდა, რომ ჩემს საფლავზე მწუხარების ანგელოზი აღემართათ, — დასახიჩრებული თითებით წერდა იგი თავის „რეპორტაჟში“, — ჩვენ მკვდრებიც ვიცოცხლებთ თქვენი დიდი ბედნიერების მცირე ნაწილში, ჩვენ ხომ ამ ბედნიერებაში ჩვენი სიცოცხლე მოვათავსეთ“.

ფუჩიკს სწამდა ადამიანების ბედნიერება, სწამდა რომ მათ ნათელ მომავალში ჩაექსოვებოდა მისი სიცოცხლეც, მისი თანამებრძოლების მგზნებარე სიცოცხლე. მას სძულდა ომი, სძულდა ფაშიზმი — „ეს ბანდიტიზმი სახელმწიფო მასშტაბით“, და სჯეროდა, რომ ხალხები აღარ დაუშვებდნენ მის ხელმეორედ აღორძინებას.

ადამიანებო, მას ჩვენ ვუყვარდით! ვიყოთ ფხიზელნი!

ა. თამარიშვილი

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲣᲚᲘ ᲗᲘᲚᲘᲡᲘ

— გჯერათ თქვენ თილისმისა? — მკითხა გიორგი ასათიანმა და გაიღიმა.

— არა, — ვთქვი მე. — თქვენ?

— არც მე მჯერა, — მიპასუხა და ნეკიდან მომცრო ზომის ვერცხლის ბეჭედი მოიძრო — მასზე თავის ქალა და ძვლები იყო გამოხატული.

— ეს ბეჭედი მე ალჟირში მაჩუქეს, — ჩუმად, ჩურჩულით თქვა მან და მიამბო საიდუმლო ბეჭდის ისტორია.

ტუნისში, სადაც იმ დროს ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა იმყოფებოდა, მიმდინარეობდა დოკუმენტალური ფილმის „ალჟირის დღიურის“ გასინჯვა. ეს ფილმი გადაღებული იყო სამოცდაერთის აგვისტოში, და ახლა ასათიანი თავის ნამუშევარს უჩვენებდა. არაბულ ენაზე დუბლირებული ფილმი საჩქარად გადაეცა ალჟირს. სურათი ალჟირის მთავრობის წევრებს ძალიან მოეწონათ. ყველა ერთხმად ამბობდა, რომ ალჟირისადმი მიძღვნილი ბევრი ფილმი აქვთ ნახული, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მოუხდენია ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება.

ეს ფილმი ყველა ალჟირელს უნდა ენახა და აქვე იქნა შეკვეთილი „ალჟირის დღიურის“ 200 ანაბეჭდი, აქვე გიორგი ასათიანს შესთავაზეს გადაღება სრულმეტრაჟიანი ფილმი აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოზე, მის პირველ ნაბიჯებზე. წინა სურათში ჩვენ ვნახეთ მებრძოლი ალჟირი, ეს კი იქნება ფილმი იმაზე, თუ როგორ აშენებენ და ჰქმნიან ალჟირელები ახალ ცხოვრებას.

ბევრი თბილი სიტყვა ითქვა იმ საღამოს „ალჟირის დღიურზე“, მრავალჯერ ჩამოართვეს ხელი შეკრებილებმა რეჟისორ-ოპერატორს გიორგი ასათიანს.

განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო ალჟირის სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის იმ მეთაურთა და მებრძოლთა ძილოცვები, რომელთა საბრძოლო მოქმედებებიც იყო აღბეჭდილი ფილმში.



აი, გიორგი ასათიანთან მივიდა იუზეფ ლარბი — ალჟირის არმიის კაპიტანი, იმ დროს კი, მეთაური განაყოფისა, რომელსაც ქართველი კინემატოგრაფები იღებენ.

იუზეფ ლარბი მოეხვია გიორგი ასათიანს, მოიხსნა თითიდან ვერცხლის ბეჭედი და უთხრა: — ეს ბეჭედი საგვარეულო თილისმაა, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ჩვენს ოჯახს ყოველგვარი გასაჭირისაგან იცავდა, ახლა იგი მე მერგო და ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში სიკვდილისაგან მიფარავდა. ჰოდა, მეც უვნებელი გადავრჩი. ახლა კი მსურს თქვენ გაჩუქოთ იგი.

ასათიანი დიდხანს ამბობდა უარს ამ საგვარეულო რელიქვიის მიღებაზე, მაგრამ იუზეფი არ ცხრებოდა:

— ჩვენი მეგობრობის ნიშნად, — ამბობდა ის, — თქვენს მიერ გაცოცხლებული საბრძოლო მოქმედებების სამახსოვროდ უნდა აიღოთ ეს ბეჭედი, დაე ახლა მან თქვენც დაგიცვათ და მოგიტანოთ ახალი გამარჯვებები მუშაობაში.

ფილმის გადაღება აგვისტოში იწყებოდა. ამისათვის ასათიანი სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო, მოემზადებინა აპარატურა, თან წაეყვანა მასთან ერთად მრავალ კინოექსპედიციაში ნამყოფი, მისი ერთგული მეგობარი ოპერატორი ოთარ დეკანოსიძე. მაგრამ ასათიანმა გადაწყვიტა დრო არ დაეკარგა. „ალჟირის დღიურის“ გასინჯვის მეორე დღესვე თავი მოუყარა ყველა აუცილებელ დოკუმენტს და ტუნისიდან ალჟირში გაემგზავრა. მანქანის საჭეს თვითონ მიუჯდა. გვერდით „ახალი ალჟირის“ შესახებ მომავალი ფილმის პირველი კადრების გადასაღებად მომზადებული კინოკამერა ედო. იმ დროს ქალაქებსა და სოფლებში ტარდებოდა რეფერენდუმი. როგორ არ აღებენდა ეს მნიშვნელოვანი მოვლენა — საყოველთაო დაკითხვა, რომლის დროსაც ხალხმა თქვა: დიახ! იქნება დამოუკიდებელი ალჟირი! გიორგი ასათიანი დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში და იღებდა საყოველთაო სახალხო მხიარულებას: სასახარულო მღელვარებით შეპყრობილ ხალხს, ალჟირის რესპუბლიკის დროშებით აჭრელებულ სახლებს, თეთრ ტილოზე მწვანე ხუთქიმიანი ვარსკვლავი და ისეთივე ნახევარმთვარე რომ არის გამოსახული.

დაუღალავი კინორეპორტიორი ალჟირის არმიის ნაწილებსაც ეწვია. მათგან ხუთი კილომეტრის დაშორებით ფრანგთა ნაწილები იდგა. საბრძოლო მოქმედება უკვე შეწყვეტილი იყო, მაგრამ ჯარები ჯერ კიდევ არ გაეყვანათ. ასათიანმა გადაწყვიტა გაეღო ეს ხუთკილომეტრიანი ზონა. ალჟირელებმა უარი განაცხადეს ამ მგზავრობის ორგანიზაციაზე. ერთადერთი, რისი გაკეთებაც მათ შეეძლოთ, მანქანით უზრუნველყოფა იყო. ასათიანი კვლავ მიუჯდა საჭეს. როდესაც მიუახლოვდა საფრანგეთის ნაწილების განლაგებას, იგი გუშაგმა გააჩერა.

მოვიდა ოფიცერი.

ასათიანმა გააცნო თავისი ვინაობა და აუხსნა, რომ მას სურდა გადაეღო ფრანგული ნაწილების ალჟირში ყოფნის უკანასკნელი დღეები.

ოფიცერს არ შეეძლო თვითონ მიეცა ამის ნებართვა, მას სარდლობისთვის უნდა მიემართნა. ოფიცერმა ასათიანი დასტოვა გუშაგთან და თვითონ წავიდა.

გუშაგმა უბრძანა ასათიანს ხელები მაღლა აეწია, და ასე ხელებაწეული 45 წუთის განმავლობაში უცდიდა იგი ოფიცრის დაბრუნებას.

შემდეგ გამოიკვა, რომ გუშაგი წარსულში ესესელი ყოფილა. გადაღებებს ნება ასათიანს არ მისცეს.

სამი დღის შემდეგ გიორგი ასათიანი სამშობლოში გაფრინდა იმ მიზნით, რომ ახლო მომავალში კვლავ დაბრუნებოდა ალჟირის მიწას.

წასვლის წინ მას შეატყობინეს: შემთხვევითი შეჯახების დროს ბრმა ტყვიით მოკლული იქნა იუზეფ ლარბი.

ლ. პირადოვი,

ანდრე მორუა

მხატვარი პიერ დუში უკვე ამთავრებდა თავის ნატურ-მორტს — ღანგარში ჩადგმულ ყვავილებსა და თეფშზე დალაგებულ ბადრიჯნებს — როცა სახელოსნოში მწერალი პოლ-ემილ გლეზი შევიდა.

გლეზი ერთხანს თვალს ადევნებდა მეგობრის მუშაობას, მერე კი გადაჭრით წარმოთქვა:

— არ გამოდის.

დუშმა გაოცებით შეხედა სტუმარს.

— არ გამოდის, — გაიმეორა მწერალმა, — ასე შენ ვერაფერს ვერ მიაღწევ. ნიჭიც გაქვს, გულწრფელობაც, ტექნიკასაც ფლობ. მაგრამ ყველაფერი, რასაც შენ აკეთებ, უფერულია. შენი ფერწერა არ ყვირის, არ აოცებს კაცს. სალონის ხუთი ათას სურათს შორის შენი ტილოები არ იქცევენ გამოლენჩებულ მნახველთა ყურადღებას... არა, პიერ დუშ, არასოდეს ცნობილი არ გახდები. ცოდო კი ხარ.

— რატომ? — ჰკითხა გულუბრყვილო პიერმა და ამოიოხრა, — მე გამოვსახავ იმას, რასაც ვხედავ, ვცდილობ გადმოვცე ის, რასაც ვგრძნობ.

— განა მაგაშია საქმე, ძამია? შენ ხომ ცოლი და სამი შვილი გყავს. თვითეულ მათგანს დღეში სამი ათასი კალორია მაინც სჭირდება. სურათები მეტია, ვიდრე მყიდველი, უვიცი მეტია, ვიდრე მცოდნე, და თუ ეს ასეა, პიერ დუშ, მოიფიქრე რა შეგიწყობს ხელს იმაში, რომ ამოტივტივდე, რომ გამოირჩე უნიჭოთა და ხელმოცარულთა ბრბოსაგან.

— შრომა, — თქვა დუშმა, — შრომა და გულწრფელობა.

— ბავშვი ნუ ხარ, პიერ. ერთადერთი საშუალება სულელების გასაოგნებლად არის ის, რომ შექმნა რაღაც ბუმბერაზული. თქვი, სახატავად ჩრდილოეთ პოლუსზე მივდივარ-თქო. გაიარე ქუჩაში ფესკითა და ბურნუსით. გამოაცხადე შენი თავი ახალი სკოლის მამამთავრად. დაყენე სხვადასხვა სწავლული სიტყვების კორიანტელი: ექსტერიორიზაცია, დინამიურობა, აბსტრაქცია, დეტერმინიზაცია — და დაწერე რამდენიმე მანიფესტი. უარყავი რამე: მოძრაობა ან უძრაობა, თეთრი ან შავი ფერი, წრე ან კვადრატი. გამოიგონე ფერწერა ნეოკომერული, ცილინდრული, ოქტაედრიული ან ფერწერა ოთხ განზომილებაში...

ამ დროს საიდანღაც მონაბერმა ნაზვა და საამო სურნელებამ სახელოსნოში მყოფთ ამცნო ქალბატონ კოსნევსკაიას მოახლოვება. კოსნევსკაია ლამაზი ქალი იყო. მის იისფერ თვალებს ყოველთვის აღტაცებაში მოყავდა პიერ დუში. იგი გახლავთ იმ ძვირფასი ჟურნალების ხელისმომწერი, რომლებიც თავიანთ ფურცლებზე სამი წლის ბავშვების შედევრების რეპროდუქციებს ბეჭდავდნენ ხოლმე. პატიოსანი დუშის სახელი ამ ჟურნალებში არ მოიხსენიებოდა. ამიტომ ქალბატონი კოსნევსკაია მის შემოქმედებას მეტად ქედმაღლურად უყურებდა.

სტუმარი დივანზე დაეშვა, ახლად დაწყებულ ტილოებს თვალი შეავლო და ზიზღით გაიღიმა.

— წუხელ, — წამოიწყო მან, როგორც ყოველთვის, სწრაფად და მელოდიურად, —ერთ-ერთ გამოფენაზე გახლდით! ახ, რა ექსპრესიაა! რა ძალა! რა დახვეწილობა!

მხატვარმა მას აჩვენა პორტრეტი, რომელიც თვითონ ძალიან მოსწონდა.

— მშვენიერია, — გულგრილად თქვა კოსნევსკაიამ, მერე შეწუხებული წამოდგა და ჩიტივით წაფრთხიალდა, სწრაფი, მელოდიური, სურნელოვანი.

პიერ დუშმა პალიტრა კუთხეში ისროლა და სასოწარკვეთილი დივანზე დაეცა.

— არა, ჯობს დაზღვევის აგენტი გავხდე, ან ბანკის მოხელე, ან პოლიციის ინსპექტორი!.. ფერწერა უიღბლო საქმეა. უვიცებთან წარმატება მარტო ხელოსანს გაახარებს. ნიჭს კრიტიკოსები არ წყალობენ, ისინი გუნდრუკს უკმევენ თხუპნიებს. კმარა სისულელე!

პოლ-ემილი მეგობარს უსმენდა, პაპიროსს აბოლებდა და ფიქრობდა.

— მითხარი, გეთაყვა, — ჰკითხა მან ბოლოს, — შეგიძლია, ქალბატონ კოსნევსკაიას და ზოგიერთ სხვას, როგორც ამბობენ, სრულიად სერიოზულად განუცხადო, რომ შენ უკვე მთელი ათი წელია ემზადები ხატვის ახალ მანერაზე გადასასვლელად?

— მე?!

— შენ. ყური დამიგდე. მე დაუყოვნებლივ ვაცნობებ ჩვენს „რჩეულებს“ —საკმარისია ერთი-ორი სტატია რომელიმე სოლიდურ ჟურნალში —რომ შენ აარსებ იდეო-ანალიტიკურ სკოლას. ყველა ძველი პორტრეტისტი თავისი უვიცობის გამო ადამიანის სახეს სწავლობდა. ეს, რა თქმა უნდა, იდიოტობაა! ადამიანის ჭეშმარიტი გამოხატულება არის ჩვენი წარმოდგენა მასზე, მაგალითად, პოლკოვნიკის პორტრეტი იქნება ოქრონარევი ცისფერი ფონი გადასერილი ხუთი უზარმაზარი სირმით. ერთ კუთხეში დაიხატება ცხენი, მეორეში — ჯვარ-მედლები. ფაბრიკანტის პორტრეტი იქნება ქარხნის მილი და მაგიდაზე დაყრდნობილი მუშტი. წარმოგიდგენია, რას შესძენ მსოფლიოს, პიერ დუშ? შეძლებ ერთ თვეში ოციოდე იდეო-ანალიტიკური პორტრეტის დახატვას?

მხატვარმა სევდიანად გაიღიმა.

— მაგას ერთ საათშიც შევძლებ,—მიუგო მან, — მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, გლეზ, რომ მე რომ სხვა ვიყო, ეგ ამბავი დიდებულად მოგვარდებოდა.

—მერე რა! ვცადოთ!

— მე ლაყბობის ოსტატი არ ვარ.

— მაშინ, ჩემო კეთილო, თუ ახსნა-განმარტებისათვის მოგმართეს, პასუხი ცოტა დაგვიანეს, ჩიბუხს მოუკიდე, მოსაუბრე თამბაქოს კვამლში გაჰხვიე და წარმოთქვი უბრალო წინადადება: „გინახავთ ოდესმე, როგორ მიედინება მდინარე?“

— მერე, ეს რას ნიშნავს?

— არაფერს, — უპასუხა გლეზმა, — ამიტომ ყველა იფიქრებს, რომ აქ რაღაცა იგულისხმება, და როცა შენ აღმოგაჩენენ, როცა დაიწყებენ შენზე ლაპარაკს და ცამდე აგიყვანენ, ჩვენ მოვუთხრობთ მათ სიმართლეს ჩვენს წამოწყებაზე და გულიანად ვიცინებთ.

* * *

ორი თვის შემდეგ გაიხსნა პიერ დუშის ნაწარმოებთა გამოფენა. მას დიდი წარმატება ჰქონდა. ქალბატონი კოსნევსკაია, სწრაფი, მელოდიური, სურნელოვანი, გვერდიდან არ სცილდებოდა ახალ გენიოსს.

— ახ! — წამდაუწუმ გაიძახოდა იგი, —რა ექსპრესიაა! რა ძალა! რა დახვეწილობა! როგორ შეძელით ასეთი სინთეზის მიღება, ჩემო ძვირფასო?

მხატვარმა იყუჩა, მერე ჩიბუხი გააბოლა და წარმოთქვა:

— გინახავთ ოდესმე, ქალბატონო, როგორ მიედინება მდინარე?

მშვენიერ კოსნევსკაიას ტუჩები შეუტოკდა, მათში იგრძნობოდა სწრაფი და მელოდიური სიამოვნებათა დაპირება.

ბეწვისსაყელოიან ნატურ-პალტოში გამოწყობილი ახალგაზრდა ჟრუანტელ სტრუნსკი მნახველთა ჯგუფში ორატორობდა.

— უდავოა, აქ რაღაც არის! ძალიან ძლიერია! მაგრამ მითხარით, დუშ, საიდან გაქვთ ეს? რამ მოგცათ ბიძგი? ჩემმა სტატიებმა?

პიერ დუშმა ცოტა ხანს დააყოვნა, მერე გამარჯვებულის იერით მიაბოლა სახეში თამბაქოს კვამლი და წარმოთქვა:

— გინახავთ ოდესმე, ჩემო ძვირფასო, როგორ მიედინება მდინარე?

— შესანიშნავია! — წამოიძახა სტრუნსკიმ, — ჭეშმარიტად შესანიშნავია!

ამ დროს ცნობილმა სურათებით მოვაჭრემ, რომელმაც უკვე მოიარა მთელი სახელოსნო, მხატვარს ხელი გამოსდო და განზე გაიყვანა.

— დუშ, მეგობარო, — უთხრა მან,— დიდი ვირეშმაკა ხართ, ამ საქმის მოკვარახჭინება შეიძლება. მომანდეთ თქვენი სურათები და არ შეიცვალოთ ეს ახალი მანერა, სანამ არ გაცნობებთ. მე თქვენგან წელიწადში ორმოცდაათ სურათს ვიყიდი. მომეცით ხელი!

დუში დუმდა და გამოუცნობი სახით აბოლებდა ჩიბუხს.

სახელოსნო ნელ-ნელა დაცარიელდა. პოლ-ემილ გლეზმა უკანასკნელი მნახველის შემდეგ კარი მიხურა. კიბიდან მოისმოდა აღფრთოვანებული გუგუნი, რომელიც თანდათან ნელდებოდა.

მარტო რომ დარჩნენ, მწერალმა მხიარულად მოიფშვნიტა ხელები.

— აბა, რას იტყვი, ძამია? — წამოიძახა მან მოზეიმე ხმით, — ხომ დიდებულად მოვაწყეთ ყველაფერი? გესმოდა, რას ამბობდა ის ბეწვის საყელოიანი ყმაწვილი? ან მშვენიერი კოსნევსკაია? ან ის სამი მომხიბვლელი გოგონა, დაუსრულებლად რომ გაიძახოდნენ: „რა სიახლეა! რა სიახლე!..“ ახ, პიერ დუშ, მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ადამიანის უვიცობას საზღვარი არა აქვს. მაგრამ ამ გამოფენამ ჩემს ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

მან გამაყრუებლად გადაიხარხარა. დუშმა უკმაყოფილოდ შეიკრა წარბი და რადგან გლეზი კვლავ თავშეუკავებლად ხარხარებდა, დაუყვირა:

— ბოთე!

— მე ვარ ბოთე? — აღშფოთდა მწერალი, — მას შემდეგ, რაც ასე ბრწყინვალედ წარვმართე საქმე...

მხატვარმა ამაყად შეათვალიერა თავისი ოცივე იდეო-ანალიტიკური პორტრეტი და თავის თავში დარწმუნებული კაცივით უკმეხად მიუგო:

— დიახ, გლეზ, შენ ნამდვილი ბოთე ხარ. ჩემს ფერწერაში არის რაღაცა...

მწერალი გაოგნებული შესცქეროდა დუშს.

— არა, ეს მეტისმეტია! — დაიღრიალა მან, — გაიხსენე, პიერ, ვინ შთაგაგონა აზრი ახალი მანერის შესახებ?

მაშინ პიერ დუშმა ცოტა ხანს იყუჩა, მერე პირიდან კვამლის უზარმაზარი ღრუბელი გამოუშვა და თქვა:

— გინახავს ოდესმე, როგორ მიედინება მდინარე?

თარგმნა ა. კუსრაშვილმა

ჭალიაპინი

ოთხმოცდაათი წელი შესრულდა მსოფლიო ვოკალური და არტისტული გენიის თედორე შალიაპინის დაბადებიდან. წელსვე ოცდახუთი წელი სრულდება მისი გარდაცვალებიდან.

ვოკალურ-სცენურ ხელოვნებაში ვერ ნახავთ მეორე სახელს, რომელიც თავისი მომხიბვლელობითა და პოპულარობით შალიაპინს შეედრებოდეს.

ოცდახუთი წელიწადია სამუდამოდ დადუმდა იგი. ორმოცი წლის წინათ შესწყვიტა მან სიმღერა თავისი ხალხისათვის: უცხოეთში გადახვეწილს, საკუთარი ქვეყნის ნიადაგს მოწყვეტილს, ბედმა სამაგიერო მიუზღო: მიუხედავად საქვეყნო აღიარებისა და მზარდი წარმატებებისა, სიცოცხლის უკანასკნელი წლები ტანჯვაში გაატარა და სიკვდილის აგონიის ჟამს მის მიერ მიტოვებულ სამშობლოზე ტირილსა და გმინვაში ამოხდა სული.

კულტურის ისტორიისათვის სულ უკანასკნელ პერიოდამდე მომღერლის და, საერთოდ, არტისტის სახელის უკვდავება, ერთგვარად შეზღუდული იყო. მექანიკური ჩანაწერების ხარისხის გაუმჯობესებამდე შემსრულებლის ვოკალის ღირსება და მუსიკალობა სათანადოდ არ რჩებოდა შთამომავლობას. ყოველივე ამის მიუხედავად, შალიაპინის სახელის პოპულარობა კი არ კლებულობს, პირიქით: იგი სულ უფრო და უფრო მახლობელი ხდება ადამიანებისთვის და რჩება, როგორც უმაღლესი ვოკალური პრინციპების მეტრი. მის მიერ ჩაწერილი ყოველი სიმღერა მსმენელს უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას გვრის, მასზე დაწერილი ყოველი სტრიქონი უაღრესი გატაცებით იკითხება.

შალიაპინის სახელი ლეგენდად იქცა.

შალიაპინმა რუსულ ხელოვნებას დაუვიწყარი სამსახური გაუწია. მან მშობლიურ ვოკალურ და არტისტულ კულტურას ახალი გზები დაუსახა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მომღერლის უახლოესი მეგობარი და თაყვანისმცემელი მაქსიმ გორკი წერდა მის შესახებ: „ისეთი ადამიანები, როგორიც ის არის, მოგვევლინებიან იმისთვის, რომ ყველას მოაგონონ: აი, რა ძლიერი, ლამაზი, ნიჭიერია რუსი ხალხი!.. უნდა გიყვარდეს რუსეთი, ის უდიდესი ძალითა და მომხიბვლელი სილამაზითაა ძლიერი.

აი, რაზე მღერის შალიაპინი ყოველთვის, ამისათვის ცხოვრობს იგი. ამისთვის მეგობრული თაყვანი უნდა ვცეთ მას. თედორე ივანეს-ძე შალიაპინი ყოველთვის იქნება ის, რაც არის: თვალისმომჭრელ ნათელ და სასიხარულო შეძახილად მთელს ქვეყანაზე: აი, ის, რუსეთი, აი, როგორია მისი ხალხი — გზა მას, თავისუფლება მას!“.

სამოცზე მეტი წლის წინათ, მოხეტიალე, ღატაკი ახალგაზრდა შალიაპინი, საქართველოში, თბილისს ჩამოვიდა. ლუკმა პურის ძიებაში რკინიგზის სახელოსნოებში დაიწყო მუშაობა. თბილისელი მეგობრების რჩევითა და დახმარებით სიმღერის გამოჩენილ ოსტატთან — უსატოვთან დაიწყო მეცადინეობა.

შალიაპინი ყოველთვის მადლიერების გრძნობით იგონებდა თბილისს, სადაც დაიწყო მისი თავბრუდამხვევი, საოცარი კარიერა როგორც მომღერლისა. საინტერესოა, რომ სწორედ აქ, თბილისში, იმავე პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მაქსიმ გორკი. ეს თანადამთხვევა შემთხვევითი არ იყო: ორივეს ერთნაირ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება, საზოგადოებრივ სარბიელზე გამოსვლა და ორივეს ხელოვნება ღრმადაა გამსჭვალული დიდი რუსული სულისკვეთებით. გორკისა და შალიაპინის განუყრელი მეგობრობა ორმოც წელს გაგრძელდა. მხოლოდ უკანასკნელ ჟამს, როდესაც საზღვარგარეთ მყოფ მომღერალს რეაქციული, შავრაზმული ელემენტები შემოეგარნენ და შალიაპინმა მათი გავლენით პასკვილი შეთხზა საბჭოთა რუსეთზე და აქ ფირფიტების ბეჭდვის გამო საერთაშორისო სასამართლოში აღძრა საქმე თავისი სამშობლოს წინააღმდეგ, გორკიმ ამხილა შალიაპინის შეცდომები და, შემდეგ, შეწყვიტა მასთან მეგობრობა.

თბილისის საოპერო სცენაზე ფეხადგმული მომღერალი მალე რუსეთის უპირველესი თეატრების მთავარი მომღერალი გახდა. მისი სიმღერა გამსჭვალული იყო ღრმა ხალხურობით, ვოკალის დიდ

ცოდნითა და მუსიკალურობით. იქ, სადაც შალიაპინი მუსიკაში ვერ ნახულობდა შესაფერის დასაყრდენს, მას ლიტერატურული ნაწარმოები, ისტორიული ქრონიკები, ან თვით ცხოვრება ეხმარებოდა. გენიალური მუსიკალური ქმნილებების შესრულებისასაც კი იგი მარტო მუსიკალური სახის განსახიერებით როდი კმაყოფილდებოდა. ბორის გოდუნოვის ურთულეს პარტიაზე მუშაობის დროს, მუსორგსკის მუსიკალური დრამის დოდაარსის გახსნისას პუშკინის დრამატული პოემის ნიუანსებს, კლიუჩევსკის ისტორიულ ანალებს და ხალხში გაბნეულ ლეგენდებს სწავლობდა. ამიტომაა სწორი აზრი, რომ შალიაპინი მთლიანად და სრული სისავსით კომპოზიტორის ჩანაფიქრს კი არ გადმოგვცემდა მხოლოდ, არამედ კორექტივებიც შეჰქონდა მათში, ამდიდრებდა, ავსებდა და აღრმავებდა სახეს, ხსნიდა მათში ისეთ მხარეებს, რომლებზეც, შესაძლოა, კომპოზიტორს არ უფიქრია. ამითაა ახსნილი ის გარემოება, რომ ცხოვრებასთან უშუალო ურთიერთობა შალიაპინის სცენურ კონცეფციებს თავისი თანამედროვე ეპოქის მონაწილეს ხდიდა. თედორე შალიაპინის სახე სიმბოლურია. ეს საოცრად დემოკრატიული რუსეთის მილიანი ხასიათია. მუსიკაში ის პირველია, როგორც სიტყვის ხელოვნებაში პირველია ტოლსტოი, — წერდა გორკი.

შალიაპინის გენია განუმეორებელია. მისი სცენური შემოქმედების რეალისტური კანონების ნოვატორული აღმოჩენები უკვდავია. სწორედ ეს ნოვატორული გამოგონებები აღაფრთოვანებდა სტანისლავსკის და ხელს უწყობდა მას მკაფიოდ ჩამოყალიბებია თავისი სისტემა. დიდი რეჟისორი ამბობდა: სცენაზე რომ ისეთი მსახიობები იყვნენ, როგორიც შალიაპინია, დეკორაციები სრულიად არ იქნებოდა საჭიროო.

შალიაპინის ბიოგრაფია წინააღმდეგობებითაა სავსე, მაგრამ ძირითადი ხაზი მაინც წმინდა დემოკრატიული, ხალხურია. ამ ფენომენალურ მომღერალს დიდხანს არ აძლევდნენ „მისი უდიდებულესობის სოლისტის“ წოდებას. 1905 წლის მღელვარე დღეებში, მას შემდეგ, რაც შალიაპინმა დიდი თეატრის სცენიდან „დუბინუშკა“ იმღერა და მთელი დარბაზი აიყოლია, მეფე ნიკოლოზ მეორემ „ამ მაწანწალის“ საიმპერატორო თეატრიდან გაძევება მოითხოვა.

პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში, გორკისთან კაპრზე სტუმრობის დროს შალიაპინმა თავის მეგობარს ჰკითხა: — სიყალბეს ხომ არ დამწამებენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში რომ შევიდეო. დიდი მომღერალი შემდეგ წერდა: თუ სოციალისტთა პარტიაში არ შევედი, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ გორკიმ მეგობრულად მითხრა: — შენ ამისათვის არ ვარგიხარ. მე გთხოვ, ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე: არც ერთ პარტიაში არ შეხვიდე. იყავი არტისტი, ისეთი, როგორიც ხარ. ეს შენგან სრულიად საკმარისიაო.

1917 წლის რევოლუციას შალიაპინი კმაყოფილებით შეეგება, მაგრამ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გაგება მას არ შეეძლო. სამოქალაქო ომებით გამოწვეული პირველი წლების გაჭირვებები, ზოგიერთი დანაკარგი პირადი ქონებიდან, — მომღერალს საშუალებას არ აძლევდა დაეძლია თავისი წვრილბურჟუაზიული ბუნება. მას ძალიან მოსწონდა ის გარემოება, რომ პეტროგრადში მარინეს თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრად აირჩიეს და ლენინთანაც კი გაემგზავრა თეატრის საქმეების გამო.

1922 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ იგი საგასტროლოდ საზღვარგარეთ მიავლინა. თავის მეორე ოჯახში შექმნილი ატმოსფეროს გამო შალიაპინმა უკვე იცოდა, რომ ეს გამგზავრება საბედისწერო იქნებოდა. „მარია ვალენტინის ასული (მომღერლის მეორე ცოლი. ავტ.) სულ უფრო ჯიუტად და ჯიუტად მიჩურჩულებდა: გაქცევა, გაქცევაა საჭირო“... შვილებისადმი მოწერილ წერილში შალიაპინი იმედოვნებდა, რომ კიდევ ცოტა და სამშობლოში დაბრუნდებოდა, მაგრამ ამაოდ...

ისევე, როგორც მისი მეგობარი სერგეი რახმანინოვი საკონცერტო მოღვაწეობას საზღვარგარეთ „კატორღულ ცხოვრებას“ ეძახდა, შალიაპინიც თავის მოგზაურობას „ბნელ, მაგრამ ცივილიზებულ (გარეგნულად) ამერიკაში“, კატორღულ შრომას ადარებდა.

მაქსიმ გორკიმ მეგობრობა გასწყვიტა მასთან. თანდათან იმძლავრა სამშობლოს სიშორით გამოწვეულმა სევდამ. სამშობლოში დაბრუნება მისი ოცნება გახდა, მაგრამ ვერ მოერია თავისი ხასიათის სუსტ მხარეს — არ მინდობოდა, არ დაეჯერებინა მის ირგვლივ მცოცავი სიბინძურისათვის—რომელიც უწამლავდა სიცოცხლეს. ამას დაერთო შალიაპინის ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელიც რევოლუციური რუსეთის პირველი წლების დამახინჯებულ სურათს ხატავს.

სულიერად გატეხილი დიდი მსახიობი 1938 წელს გარდაიცვალა. სიკვდილის აგონიის ჟამს იგი რუსეთსა და თავის თეატრს ახსენებდა. ეს სიტყვები შეაცივდა მის ბაგეებს.

ა. ვარმარიძე

ადამიანი სიცოცხლეში

ერთდროულად მცხოვრები მოსახლეობა ძირითადად სამი თაობისაგან — მამების, შვილებისა და შვილიშვილებისაგან შედგება. შედარებით უმნიშვნელო წილს შეადგენს მეოთხე თაობა.

ყოველ თაობას თავისი წინა ან მომდევნო თაობისაგან დროის გარკვეული ინტერვალი აშორებს. დროის ეს ინტერვალი დემოგრაფიულ სტატისტიკაში ცნობილია, როგორც თაობების სიდიდის მაჩვენებელი და იგი წელთა განსაზღვრული რაოდენობით გამოიხატება.

რაც უფრო მოკლეა თაობის სიდიდე, ანუ დროის ინტერვალი თაობათა შორის, მით უფრო სწრაფად ხდება თაობათა ურთიერთშეცვლა, მით უფრო მოკლე ვადაში ახდენს ერთი თაობა თავის შევსებას მეორეთი. აქედან გამომდინარე, მით უფრო დიდია დროის ის ინტერვალი, რომლის განმავლობაში ერთდროულად უხდება ცხოვრება რამდენიმე თაობას— მამას, შვილს, შვილიშვილს. ამ გარემოებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თაობათა აღზრდის საქმეში, ოჯახური და ნათესაური კავშირის განმტკიცებაში, ცხოვრების გამოცდილებათა ურთიერთგაზიარებაში, თაობიდან თაობაში ბიოლოგიურ თვისებებთან ერთად გადადის შრომითი ჩვევები, ტექნიკისა და სოციალური პროგრესის შედეგები, მორალური და იდეოლოგიური შეხედულებანი...

ყოველივე ეს, ცხადია, საბოლოო ჯამში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანთა ცხოვრებაში, ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივ და მეურნეობრივ განვითარებაში.

თაობის სიდიდის, როგორც დროის ინტერვალის, რაოდენობრივი გაანგარიშების პირველ საინტერესო ცდას ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს (V საუკუნე ძვ. წ. ალ.) ნაწერებში ვხვდებით. აღწერს რა ეგვიპტის ისტორიას, ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ ეგვიპტის პირველი მეფიდან უკანასკნელ მეფე მეფესტამდე 341 თაობამ იცხოვრა. ჰეროდოტე ასაბუთებდა, რომ ადამიანთა სამასი თაობა 10 ათას წელს მოიცავს, ვინაიდან სამი თაობის სიცოცხლეს ას წელს შეადგენს.

2.500 წლის შემდეგ ინგლისელმა სტატისტიკოსმა კონორამ თანამედროვე სტატისტიკური მეთოდებით გამოთვალა და დაამტკიცა, რომ თაობის სიდიდე 33,3 წელს უდრის. კონორას მეცნიერულად გამოთვლილ და ჰეროდოტეს მიერ მარტივი საშუალებით მიღებულ შედეგებს შორის ასეთმა ზუსტმა დამთხვევამ მეცნიერთა დიდი გაოცება გამოიწვია.

ჰეროდოტეს, თაობის სიდიდის გაანგარიშება კი არ მოუხდენია, არამედ მისი მიახლოებითი შეფასება მოგვცა. ზუსტი მონაცემი კი იმიტომ გამოვიდა, რომ იგი მოხობილა მრგვალმა რიცხვმა — ასმა წელმა, რომელიც საშუალოდ სამ თაობაზე მოდის. ჰეროდოტეს გაანგარიშებაში გაცილებით დიდ ინტერესს იწვევს არა თვით რიცხვი, არამედ თაობის სიდიდის საკითხის სწორად დაყენება.

თაობის, როგორც დროის გარკვეული ინტერვალის განსაზღვრას, რომელიც საფუძვლად დაედო თაობის სიდიდის მეცნიერულ გაანგარიშებას, III საუკუნის მწერალი სენსორიუსი იძლევა. იგი თაობას განსაზღვრავს, როგორც დროის ინტერვალს შობლებსა და შვილებს შორის, ითვალისწინებს მამის ასაკს ბავშვის დაბადების მომენტში (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჰომეროსის კომენტატორებმა სწორედ ამ პრინციპის მიხედვით დაადგინეს „ილიადას“ ერთ-ერთი მთავარი გმირის ნესტორის წლოვანება, რომელიც ამის შემდეგ ლიტერატურის ისტორიაში შევიდა როგორც 80 წლის მოხუცი).

თაობის ერთ-ერთი პირველი მკვლევართაგანი იყო ცნობილი ფრანგი მათემატიკოსი ფურიე. 1816-1830 წლებში მან ბავშვების რეგისტრაციისას გამოთვალა მამების საშუალო ასაკი საშუალო ბავშვის დაბადების მომენტში. მან დაასაბუთა, რომ ეს ასაკი არის თაობის სიდიდე და იგი 33,3 წელს შეადგენს. ფურიეს ერთ-ერთმა თანამშრომელმა ასეთივე გაანგარიშება ჩაატარა დედების მიმართ, რომელთა საშუალო ასაკი საშუალო ბავშვის დაბადების მომენტში 28,3 წელი აღმოჩნდა.

1896 წელს ბუდაპეშტის სტატისტიკურ კონგრესზე თაობის შესახებ სპეციალური მოხსენებით გამოვიდა ავსტრიელი დემოგრაფი ინამალ-სტერნეგი. მისი მონაცემების მიხედვით, რომელიც მან 8 თაობის შესწავლის საფუძველზე მიიღო, თაობის სიდიდე 33-37 წლებს შორის მერყეობდა. ინამალ-სტერნეგის გამოთვლაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა ერთდროულად ცხოვრების ხანგრძლივობის მონაცემები, რომლებიც მან პირველმა მიიღო. მისი მონაცემების მიხედვით, მამისა და შვილის ერთდროულად ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა, ანუ შვილის ასაკი მამის გარდაცვალების მომენტში, შეადგენდა 24 წელს, შვილის სიცოცხლის ხანგრძლივობა მამის გარდაცვალების შემდეგ საშუალოდ 35.9 წელს აღწევდა, ხოლო პაპისა და შვილიშვილის ერთდროულად ცხოვრების ხანგრძლივობა, ანუ შვილიშვილის ასაკი პაპის გარდაცვალების მომენტში 11,7 წელს უდრიდა.

თაობის სიდიდის გაანგარიშების ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატისტიკისათვის საერთოდ დამახასიათებელია მატერიალური, სოციალური ფაქტორების უგულვებელყოფა. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს გერმანელი სტატისტიკოსი რიუმელი, რომელმაც თაობის სიდიდის გაანგარიშებას საფუძვლად დაუდო საქორწინო ასაკი და დაქორწინებულთა ნაყოფიერების პერიოდი. ამ მეთოდით გაანგარიშებისას თაობის სიდიდეზე განსაკუთრებით მოქმედებს ეკონომიური პირობები, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქორწინო ასაკს. რიუმელს მოუყავს მონაცემები გასული საუკუნის 60-70 წწ. გერმანიის იმ რაიონის მცხოვრებთა საქორწინო ასაკის შესახებ, სადაც მოქმედებდა კანონი მიწის მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ მამის გარდაცვალების შემდეგ. ამ რაიონში 35 წლის მამაკაცების ნახევარი უცოლო იყო. მისივე მონაცემების მიხედვით, საქორწინო ასაკი ევროპის უმეტეს ქვეყნებში იმავე წლებში შეადგენდა: საფრანგეთში — 30 წელს, ინგლისში— 28, ბელგიაში — 32, გერმანიაში — 30. შედარებით დაბალი იყო საქორწინო ასაკი რუსეთში, კანადაში, ავსტრალიაში, სადაც იგი საშუალოდ 25 წელს არ აღემატებოდა. შემდეგში ამერიკელმა სტატისტიკოსმა დენლიმ გამოთვალა, რომ საქორწინო ასაკის 1 წლით გადადება, ბავშვების რიცხვის 0,31 პროცენტით შემცირებას იწვევს.

დაქორწინებულთა ნაყოფიერების პერიოდი გამოიანგარიშება ასაკობრივი განსხვავებით პირველ და ბოლო ბავშვს შორის, რაც ადრე დაქორწინების შემთხვევაში, ბუნებრივია, უფრო დიდი იქნება. რიუმელის მონაცემების მიხედვით, იმავე პერიოდში დაქორწინებულთა ნაყოფიერების პერიოდი საშუალოდ 12 წელს უდრიდა.

15 წლის წინათ, როდესაც ბურჟუაზიული ქვეყნების სტატისტიკამ დაადგინა დასავლეთ ევროპის მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზრდის შეჩერების ხაშში პროცესი, ხოლო ცალკეულ ქვეყნებში მისი დეგრადაციაც კი, ევროპისა და ამერიკის სტატისტიკოსებს შორის დაიწყო ღრმა შესწავლა საკითხისა, თუ როგორ და რა ვადაში ახდენს თანამედროვე თაობა თავის თავის შეცვლასა და შევსებას.

ამჟამად მიღებულია, რომ თაობის სიდიდე — როგორც მშობლებსა და შვილებს შორის არსებული ასაკობრივი ინტერვალი — 24-36 წლებს შორის მერყეობს. თაობის სიდიდის გაანგარიშების ყველაზე სწორ და ამავე დროს მარტივ საშუალებად მიჩნეულია ის მეთოდი, რომ მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით გამოვთვალოთ მშობლებისა და შვილების საშუალო ასაკი. განსხვავება ამ ორ საშუალო ასაკობრივ სიდიდეს შორის შეადგენს თაობის სიდიდეს, ანუ დროის იმ ინტერვალს, რომელიც აშორებს ორ თაობას ერთმანეთისაგან.

საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკისათვის თაობის საკითხი ახალი პრობლემაა. ბურჟუაზიული დემოგრაფიული მეცნიერებისაგან განსხვავებით, ჩვენში თაობის შესწავლის მთავარი დემოგრაფიული ინტერესი მოიცავს როგორც თაობის სიდიდის, მათი ურთიერთშეცვლის ინტერვალის, ასევე მათი, როგორც ადამიანთა ფიზიკური ერთობლიობის, რაოდენობრივ განსაზღვრას; იგი არკვევს, თუ როგორია მათი მეურნეობრივი შედეგი, მათი ადგილი საერთო საკავშირო შრომის ბალანსში, ცალკეულ თაობათა წვლილი ეროვნულ შემოსავალში და, საერთოდ, თაობათა როლი საზოგადოების განვითარების პროცესში.

ყველა ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ეპოქის თაობისათვის. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, რომ ამდენი შრომა დაეხარჯოს ადამიანს მომავალი თაობის ბედნიერებისათვის, როგორც ჩვენში. კიდევ უფრო აქტუალური და საინტერესო ხდება თაობის საკითხი დღეს, როდესაც სკკპ XXII ყრილობის ტრიბუნიდან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა ხალხს აცნობა, რომ „საბჭოთა ადამიანების ჩვენი თაობა, ვიცხოვრებთ კომუნიზმის დროს“.

გია ფირცხალავა.

დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში ჩვენ სპეციალური კვლევის საგნად გავიხადეთ იაკობ გოგებაშვილის, როგორც გეოგრაფის მოღვაწეობა და დამსახურება. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ მის თხზულებათა მე-6 ტომს (თბ. 1958 წ.), რომელშიც დაბეჭდილია „ბუნების კარი“ და განხილულია საქართველოს გეოგრაფიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. „ბუნების კარს“ თან ერთვის ოსტატურად შესრულებული „კარტა საქართველოსი და ამიერკავკასიისა“ (1912 წ.). რუკას ავტორის გვარი არ აწერია. ი. გოგებაშვილი წინასიტყვაობაში წერს: „წინანდელი კარტა საქართველოსი და ამიერკავკასიისა შევასწორეთ, შევავსეთ, ახლად ამოვაჭრევინეთ ქვაზე და ისე ჩავურთეთ ამ წიგნის ბოლოში“. მაშასადამე, მსგავსი რუკა ადრევეც არსებულა. მართლაც, „ბუნების კარის“ პირველ გამოცემაში (1868 წელი) ნაშრომს დართული ჰქონია „კარტა კავკასიის აქეთა მხარისა“.

ი. გოგებაშვილი პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში წერს: „კარტა ამაზე ვრცელი შეუძლებელი იყო, რადგანაც მეტად ძვირად დაჯდებოდა და წიგნის ფასს გადიდებდა. ეს მოკლე კარტაც ოცდასამი თუმანი დაჯდა. აქ საჭიროდ ვრაცხთ განვუცხადოთ მადლობა უ. ვახტანგ თულაშვილს, რომელმაც შეადგინა ამ წიგნის დამატებული საქართველოს კარტა“. ე. ი. რუკის შემდგენი ყოფილა ვახტანგ თულაშვილი, რომლის რუკა აგრეთვე დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1869 წლის 15 ნოემბერს და უფასოდ დაურიგდა ხელისმომწერებს. 1884 წელს ი. გოგებაშვილს მეორეჯერ გამოუცია ვახტანგ თულაშვილის მიერ შედგენილი „საქართველოს კარტა“.

როგორც ცნობილია, ვახუშტის რუკები სტამბური წესით არასოდეს არ გამოცემულა, ხოლო ვახტანგ თულაშვილის მიერ შედგენილი და იაკობ გოგებაშვილის მიერ გამოცემული რუკა პირველია ქართული გეოგრაფიის ისტორიაში. იგი გახლავთ სტამბური წესითა და მასობრივი ტირაჟით გამოცემული საქართველოს პირველი რუკა. ქართველი საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოს რუკის გამოცემას. 1895 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 28) დაიბეჭდა ხელმოუწერელი წერილი, რომლის ავტორი კმაყოფილებით აღნიშნავს: „ამ 30 წლის წინათ პატივცემულმა ბ-ნ იაკობ გოგებაშვილმა დასტამბა საქართველოს რუკა (კარტა), რომელიც იმ დროს ქართველთაგან თუმცა სიამოვნებით იქნა მიღებული, მაგრამ იგი მალე მაინც ვერ გაყიდდა. ახლა, როგორც გვესმის, ასეთი კარტა საკმარისად საჭირო ყოფილა ჩვენში და ის რუკა, რომელიც „ბუნების კარის“ ბოლოშია მოქცეული, სანატრელია, რომ ცალკეც იყოს დაბეჭდილი სქელს ქაღალდზედ და საყოველთაოდ გასასყიდად მოიპოვებოდეს, რადგანაც, ჩვენს ხელოსნებში, რომელთაც სახალხო სკოლებში მიუღიათ სწავლა, დიდად ენატრებათ, რომ სახლში კედელზედ საქართველოს რუკა ჰქონდეთ ჩამოკიდებული“.

ახლახან გამოიცა რუსულად დოდაშვილის საყურადღებო ნაშრომი — „მარი ბროსე—ქართული მწერლობის მკვლევარი“. ამ ნაშრომში მოყვანილია ბაქრაძისადმი მიწერილი ბროსეს წერილი, რომელშიც, სხვათა შორის, გამოჩენილი მეცნიერი ქართული ხელნაწერების შეგროვებისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს. იგი ბაქრაძეს წერს, გთხოვთ „უფ. ნ. ღოღობერიძეს, ვ. თულაშვილს, ს. მელიქიშვილს, გ. წერეთელს მოახსენოთ ჩემს მაგიერ მადლობა და მშვიდობით სუფევის სურვილი“ (გვ. 119).

ყოველივე აქედან ნათლად ჩანს ვახტანგ თულაშვილის განსაკუთრებული დამსახურება ქართული გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის განვითარების დარგში. სამწუხაროდ, სულ ეს არის, რაც კი ჩვენთვის ცნობილია ვ. თულაშვილის შესახებ. სრულიად უცნობია ვახტანგ თულაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი მომენტები, მისი სურათი, მის მიერ შესრულებული რუკები.

თხოვნით მივმართავთ ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს, დაგვეხმარონ და შეძლებისამებრ მოგვაწოდონ მასალები, რომლებიც ნათელს მოჰფენს ქართული კარტოგრაფიის მოამაგის — ვახტანგ თულაშვილის ცხოვრებასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

გ. ზარდალიშვილი

ვინ არის ვ. თულაშვილი?

ევგენი ბართაია

ცისა და მიწის არნახულ ზეიმს

მიჰყვება მთვარის შორეულ აღმართს
ჩვენი გზა—ჩვენი სინათლის ხიდი.
სადღაც, მთის ძირას, გავარდა ნაღმი
და დაარღვია მთების სიმშვიდე.

ცათა ჩრდილები შეირხნენ წამით,
ხევში ირმებმა ბღავილი მორთეს...
გაღმა დარჩენილ მეგობარ ყვავილს
ხენი—მგოსნები უწვდიან ტოტებს.

აქ ახლა იწყებს ოცნება დუღილს,
ცამდე ამოდის ცხოვრება ჩვენი.
მთვარეს საკენკად ვარსკვლავებს ვუყრით,
მთვარეს დღეს ჩვენი ღიმილი შვენის.

ვიაროთ ისევ სულ ზევით, ზევით...
ჰაერი ახლა კიბეა დიდი...
ცისა და მიწის არნახულ ზეიმს
მიელტვის ჩემი სულის სიმშვიდე.

* * *

ბაღში ვარდის ხემ იხარა —
ყვავილი ამოიყარა.

ყვავილი მუდამ ცვივა და
ვარდის რტოები რჩებიან...
გუშინ შენ ფლობდი ვარდის რტოს,
დღეს, ხედავ, უკვე ჩემია!

ხვალ შენი იყოს, ზეგ—მისი,
მასზეგ — ვინც მოვა შემდეგა,
დღე დღეებს მისდევს, კაცი კაცს,
სიცოცხლე ასე შენდება.

დაიზრდებიან ნორჩები,
გაიშლებიან ვარდებად.
ნურც წვიმა მოვა, საზარი,
ნურც ქარი ამოვარდება...

იზარდე, ჩემო გოგონი,
იზარდე, ჩემო ბიჭუნი.
ჩემი სიცოცხლის სული ხართ,
თვით სულში წამოჩიტულნი.

სიმღერას ვინ გამიმტყუნებს!
ჩემი ალამი თქვენა ხართ.
ჩემი სალამი თქვენა ხართ.
ჩემი დიდება თქვენა ხართ.
მე ჩამოვალ და, თქვენ ახვალთ,
რაც მე ვერ ვნახე, თქვენ ნახავთ...
და მეც თქვენს ბაღში მიგულეთ.

* * *

მე მოველ... მხოლოდ შენის იმედით
და მოვიტანე ათასი ფიქრი.
მე მხოლოდ შენს ნაზ თვალებს მივენდე
და ისევ მივალ, და ისევ მივქრი...

თუ გამომყვები ჩემს ნათელ გზაზე,
შენ ნახავ სულის წვას, გაღიმებას...
მე ისევ წავალ, მე ისევ გავწევ...
არ შემიძლია აქ დაღვინება.

მე მოველ მხოლოდ შენის იმედით
და მოვიტანე ათასი ფიქრი.
მე ამ ფიქრებით შენს გულს მივენდე
და ახლა ისევ ჩემი გზით მივქრი.

ხოროგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლიონ ქორქია

ხორგა დიდი სოფელია. იგი ზუგდიდის რაიონში მდებარეობს, ფოთის მახლობლად. ხანამ კოლხეთის ველობს ამოაშრობდნენ, ხორგაც ისეთივე ბარის სოფელი იყო, როგორც ბევრი სხვა: ტალახიანი, ციებიანი. ახლა ხორგაში მანქანები დაქრიან, ციტრუსები ხარობენ. რკინიგზის ბაქანიც კი გაჩნდა. გაჩნდა ახალი სამკურნალო წყალიც, რომელმაც ნავთის ძიების დროს ამოხეთქა. წყლის ტემპერატურა 90 გრადუსს უდრის.

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. ძველაიამ მაღალი შეფასება მისცა ამ წყლის როგორც სამკურნალო, ისე სამეურნეო თვისებებს. მისი მინერალიზაცია ერთი სამად უფრო მაღალია, ვიდრე ცნობილი ციაშის წყლისა, და თბილისის კარდიოლოგიის ინსტიტუტის დასკვნით შეიცავს ნატრიუმს, კალიუმს, მაგნიუმს, რკინას, ქლორს, ჰიდროკარბონატს, რკინა-ალიუმინის ჟანგეულს და სხვა, რაც არ შედის ციაშის წყლის შემადგენლობაში. გარდა ამისა, ხორგას წყალს დიდი რაოდენობით აქვს გოგირდის გაზი.

ხალხმა დენა დაიწყო ხორგაში. დაიწყეს ორმოების თხრა, აბაზანების მიღება. გაჩნდა „კურორტი“.

ფოთის პოლიკლინიკის კარდიო-რევმატოლოგიური კაბინეტის გამგემ ექიმმა გიორგი ნერგაძემ საფუძვლიანად შეისწავლა ეს წყალი და მის შესახებ რამდენიმე წერილი მოათავსა ფოთის საქალაქო გაზეთში. გ. ნერგაძე ამას არ დაჯერდა და ზემდგომ ორგანოებში სათანადო მოხსენებებიც დაგზავნა, რათა საჭირო ყურადღება მიექციათ ამ ძვირფასი წყლისათვის. მაგრამ ხორგაში დღესდღეობით ისევ ერთი სახელდახელოდ აგებული ხის ფარღალალა ფარდული დგას, პრიმიტიული „ველური“ აბაზანებით. ეს არის და ეს. აბაზანა 50 კაპიკი ღირს, მისი ხანგრძლივობა 15 წუთია. ეს დრო დაწესებულია... მოლარის მიერ. ფარდულს ჰყავს გამგე გუგუული ნადარაია, რომელიც ოთხი წელია აქ მუშაობს, და მოხუცი დარაჯი პავლე ბარბაქაძე.

— რა სიმდიდრე გვაქვს და როგორი მოუვლელია! — გულის ტკივილით ამბობენ ფარდულის გამგეცა და დარაჯიც. რომ ჰკითხოთ, ზუსტად ჩამოგითვლიან იმ მრავალ ავადმყოფობას, რასაც ხორგას წყალი ჰკურნავს, მათ შორის ინიაზს, შიდაორგანოების დაჩირქებას, კუჭ-ნაწლავთა დაავადებებს, ძვლის მოტეხილობებს, ქალური ავადმყოფობას, ძვალ-სახსართა რევმატიზმს, კანის დაავადებებს და ა. შ. მოხუცი პავლე ჩამოსულ ავადმყოფებს მოუთხრობს ხორგას წყლის საოცარ თვისებებზე და ეს „ფსიქო-თერაპია“ გვარიანად ჭრის. პავლეს ხომ აქ ცოცხალ „დაკვირვებების წიგნს“ უწოდებენ.

მაგრამ ნამდვილი „დაკვირვებების წიგნი“? საადა... იმის მადლობელიც უნდა ვიყოთ, რომ ეს დაცხავებული თავლა გააშენეს და აბანო უწოდეს. სამაგიეროდ, გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის“ რედაქციაში და გიორგი ნერგაძის დაკვირვებების წიგნში მკურნალობის ფაქტოლოგია ზუსტადაა დაცული. აი ზოგიერთი რამ ამ მასალებიდან:

ფოთელმა დიასახლისმა გ. მეგრელიძემ ხელი მოიტეხა. ექიმ გ. ნერგაძის რჩევით ხორგას წყლით იმკურნალა და ტკივილები შეუწყდა. მაგრამ აქ მოხდა „სასწაულიც“. გ. მეგრელიძეს ოცდაორი წლის წინათ მიღებული ტრავმის შედეგად გაღუნული ჰქონდა ხერხემალი და წელში მოხრილი დადიოდა. ვერავითარმა მკურნალობამ ამ ხნის მანძილზე ვერ უშველა. და აი, მოტეხილი ხელის სამკურნალოდ ხორგას წასული 6 აბაზანის მიღების შემდეგ წელში გაიმართა.

მოქალაქე ქ. გურგენიძეს 1925 წლიდან ორივე ხელი სველი ეგზემით ჰქონდა დაავადებული. სად არ იმკურნალა, ვის არ მიმართა, მაგრამ უშედეგოდ, მერე ხორგადან წყალი ჩამოიტანა ფოთში, მიიღო აბაზანები და განიკურნა.

ეს ფაქტი ორმაგადაა საინტერესო: ხორგას წყალი არჩენს ეგზემასაც და უძლებს გადატანასაც, რის დროსაც არ კარგავს თავის სამკურნალო თვისებებს. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. ექიმ ნერგაძის დაკვირვებით, შეიძლება ხორგას წყლის ნალექის გადატანაც და აბაზანის მისაღებად მის ჩვეულებრივ წყალში გახსნა.

სამამულო ომის ინვალიდი ვ. რიაზანცევი ფსორიაზით იყო დაავადებული. იგი კრასნოდარის მხარის სტანიცა ლაბორჩკაიდან ჩამოვიდა ხორგას და აქ მიღებული აბაზანებით განიკურნა.

ასეთი მაგალითები უამრავია. მაგრამ ეს საქმეს არ ველის. ხორგას წყლის მიდამოები ახლაც გახრიოკებულია. მე პირადად ვიუავი იქ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ ღამის გასათევიც არ არის, არც რაიმე თავშესაფარი წვიმისა და უამინდობის დროს.

— ცოდოა, შვილო, ძვირფასი წყალია და ასე უპატრონოდაა მიგდებული, — შემომჩივლა ერთმა მოხუცმა ქალმა. ჩვენი წერილის მიზანიც სწორედ ისაა, რომ როგორმე გამოუძებნოს ხორგას წყალს „პატრონი“. ცხადია, ადგილობრივი საშუალებებით აქ კურორტი არ გაშენდება. ეს რესპუბლიკური ორგანიზაციების საქმეა. ჯერ კიდევ 1956 წელს ფოთის საქალაქო საბჭომ დააყენა ეს საკითხი „სადაც ჯერ არს“, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა.

იქვე, ხორგას „აბანოს“ პირდაპირ დგას აგურის ორსართულიანი შენობა. იგი ეკუთვნის ჩაის საცდელ მეურნეობას. აქ ცდიან, იხერხებს თუ არა ამ მიდამოებში ჩაი? საოცარია, ჩაის მეურნეობამ შეძლო აქ აგურის შენობის აგება, რატომ ვერ შეძლეს ეს იმ ორგანიზაციებმა, რომლებსაც ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ევალებათ? ჩაიც ხომ ადამიანებმა უნდა მოიყვანონ? აქაოდა ისედაც ბევრი გვაქვს სამკურნალო წყლებიო და არავინ ფიქრობს „თავის ატკიებას“ ამ საშვილიშვილო საქმის მოსაგვარებლად. ბევრი გვაქვს სამკურნალო წყლები, მართალია, მაგრამ მათზე მოთხოვნილებაც ხომ დიდია? გარდა ამისა, ყველა წყალს ხომ თავისი სპეციფიკური თვისებები აქვს?

ხორგას წყალი ჩვენი ხალხის სიმდიდრეა. მას მოვლა უნდა, და მოვლა დაუყოვნებლივ.

ეს ჩემი საქართველოა

ამბროსი ლოხანაძე

აფუებული მარცვალი
და მეხრე ღამენათევი,
წინათ ფერფლი და ნაცარი,
ახლა შუქი და ნათელი.

ახლა ბაღი და ბაღნარი,
ახლა ბრიალი შუქურთა,
გარს სხივებმომნალღვარი,
მთებზე აჭრილი ჩუქურთმა.

მუდამ ფხიზელი, თვალღია,
ცინცხალ ცვრით მიმონამული, —
ეს ჩემი ზეცის თაღია,
ჩემი მიწა და მამული.

ეს ჩემი საქართველოა,
ჩემი მკერდია მაგარი,
ჩემი მთა, ჩემი მდელოა,
ნაჯაფარ-ნაამაგარი.

ჩემი კერა და სახლია,
ჩემი ეზო და ვენახი.
კლდეებიც შემოსძახიან
მის ომახიან შეძახილს.

მთაწმინდის შუქში მძინართა
ჰანგებით დამშვენებული,
ფერფლიდან წამოიმართა,
მეორედ აშენებული.

ფოლიანტებს ეცლება

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიმიტრი არაყიშვილი

ვასილ გვეჯაძე

არქივი ადამიანის სულსა ჰგავს. სულივით მძიმეა და იდუმალებით გარემოსილი, ჩუმია და მომთმენი, მაგრამ საფრთხილოა და სათუთი, მოსაფერებელია და მოსავლელი ისევე, როგორც ცოცხალი კაცშვილი.

ნამდვილად, არქივის შესწავლა პირდაპირი ჩახედვაა კაცის გულში.

ეს რწმენა, რომელიც ძვალსა და რბილშია გამჯდარი, ცხადი გახდა მაშინაც, როცა დრო-ჟამისაგან დაყვითლებულ ფოლიანტებს ვფურცლავდით ჩვენი სათაყვანო კომპოზიტორის დიმიტრი არაყიშვილის ოჯახში. ბევრი წყლის ჩავლის შემდეგ ამ დარბაისელი, კეთილშობილი, პირშაქრიანი ადამიანის დაუკითხავად პირველად ჯეხებოდით მის ტკივილსა და სიხარულს; ვიმზირებოდით იქ, სადაც აშკარად დაინახება ყველაფერი: მცირეც და დიდიც, მრუდეც და მართალიც. ვიმზირებოდით მოწიწებით, მოკრძალებით და თვალწინ ილანდებოდა ჩრდილდაუდებელი ცხოვრების გზა. დაცრეცილი ფურცლებიდან თითქოს ამოიხედა შუბლდაღარულმა, თეთრთმიანმა, ნაჯაფარმა არაყიშვილმა და მომავალ თაობას ერთხელ კიდევ მამაშვილურად შემოგვძახა სიკვდილის წინ ანდერძივით დატოვებული სიტყვები:

— ბედნიერი ვარ, როცა ნიჭიერ მუსიკალურ ახალგაზრდობას ვუყურებ... ძალა თქვენს ხელშია. ჩვენ, მოხუცებს, წარსულში ბევრი ისეთი შავბნელი დღე გვახსოვს, რომ თქვენ მას სიზმარშიც ვერ იხილავთ... აბა, თქვენ იცითო, შვილებო! ისახელეთ და გვასახელეთო. გიყვარდეთო სამშობლო, ხალხი.

აჰა, საოლიავო, საფოფინო ფოლიანტებს მტვერი ეცლება. იხსნება ათი წლის წინათ, აგვისტოს ერთ ნაღვლიან დღეს შეკრული გრაგნილები. მთელი სისავსით წარმოდგება ჩვენს წინაშე მუსიკალური მოღვაწე, მკვლევარი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი დიმიტრი არაყიშვილი. ხელშესახები ხდება ამ ჭეშმარიტი შემოქმედის ნაოცნებარი და ნაფიქრალი, მისი წუხილი და ხალისი, ნატვრა და იმედი.

ოპერის შექმნა დიმიტრი არაყიშვილს სანატრელ ოცნებად გახდომია. ჯერაც მოსკოვის ფილარმონიული სასწავლებლის მსმენელს გაბედული ნაბიჯები გადაუდგამს. ათას ცხრაას წელს მას სადიპლომო ნაშრომად წარუდგენია ოპერა „ესმერალდას“ ერთი აქტი. ოპერის ლიბრეტო დაწერილა ვიქტორ ჰიუგოს რომანის „პარიზის ღვთისშობლის ტაძრის“ მიხედვით. ხალხური სასიმღერო და საცეკვაო მელოდიები დაედო საფუძვლად კომპოზიტორის სახელგანთქმულ ოპერებს.

არქივში დაცულია დედნები ოპერისა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. პირველი ვარიანტი ორი, მეორე— სამი, ხოლო ბოლო—ოთხი მოქმედებაა. დღემდე დაბეჭდილია ოპერის მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტი.

ათას ცხრაას თოთხმეტ წელს არაყიშვილს დაუმთავრებია ოპერის გაორკესტრება და იგი გადაუცია თბილისის ოპერის დირიჟიორისათვის. „თქმულებას შოთა რუსთაველზე“ სცენა უხილავს ხუთი წლის შემდეგ. ოპერა დაუდგამს ალექსანდრე წუწუნავას. სპექტაკლის მუსიკალური ხელმძღვანელობა გაუწევია ცნობილ დირიჟორს სტოლერმანს. შოთა რუსთაველის როლი შეუსრულებია განუმეორებელ ვანო სარაჯიშვილს, გულჩინასი ოღღა ბახუტაშვილ-შულგინას, აბდულ-არაბისა სანდრო ინაშვილს. პრემიერა ქართული კულტურის დღესასწაულად გადაქცეულა.

— მე მესმის ქართველების აღტაცება, — უთქვამს ჩვენს მეგობარს, სახელოვან მუსიკალურ მოღვაწეს, კომპოზიტორსა და დირიჟორს იპოლიტოვ-ივანოვს, — მათ პირველად იხილეს სცენაზე და მოისმინეს ყოველივე ის, რაც ასე მახლობელი და ძვირფასია გულისათვის: მშობლიური ტიპები, მშობლიური ენა და მშობლიური მოტივები.

ოპერის მოსმენისთანავე ხალხს ბევრი ჰანგი და მელოდია აუტაცებია. ნაღვლიან „ურმულს“ კი პირდაპირ გული და სული შეუძრავს. სიმღერის ინტონაციიდან გამომდინარე მუსიკალურ გამომსახველ შტრიხებს დამატყვევებელი ზემოქმედება მოუხდენია.

და, იმ დღიდან მოკიდებული, „ურმულის“ მელოდია წარმოუდგენელია არაყიშვილის სახელის გარეშე...

ოთხმოქმედებიან ოპერა „დინარასთვის“ ლიბრეტო შეუთხზავს ვალერიან გუნიას. არც ეს ნაწარმოებია მთლიანად გამოქვეყნებული. აქვეა „ნესტანი“ — ცდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მუსიკალური ინტერპრეტაციისა.

მხოლოდ სიმფონიური მუსიკა როდია ძირითადი და დამახასიათებელი არაყიშვილის შემოქმედებითი ბუნებისათვის. ამ ჟანრშიაც შეუტანია გარკვეული წვლილი გამოჩენილ კომპოზიტორს. აქაა ორი სიმფონიური სურათი „საზანდართა შორის“, იგივე „ჰიმნი ორმუზდს“, „ახალი აღმოსავლეთის ჰიმნი“ და სამი სიმფონია. ყველა მათგანი დასასტამბია.

არქივს დღემდე შემოუნახავს რამდენიმე კამერულ-ინსტრუმენტალური, თვრამეტი საგუნდო ნაწარმოები, ორი კანტატა, მის მიერ დამუშავებული ქართული ხალხური ერთხმიანი სიმღერები.

დიმიტრი არაყიშვილს მდიდარ მუსიკალურ შემოქმედებასთან ერთად დარჩენია სამოცდათოთხმეტი მეცნიერული შრომა და სტატია. შრომებისა და სტატიების ცალკე წიგნად გამოცემა ბევრს შესძენდა ქართულ მუსიკალურ კულტურას.

ქართული კლასიკური რომანსის ერთ-ერთ ფუძემდებელთაგანს მეტად თბილი და მგრძნობიერი მეგობრობა ჰქონია პოეტებთან. მარტო ლაღი და ლირიული გიორგი ქუჩიშვილის ლექსების ტექსტებზე შეუქმნია ჩვიდმეტი რომანსი.

შემორჩენილია ერთი მშვენიერი მოგონება. იგი კომპოზიტორის უმცროსმა ქალიშვილმა, მამის ძვირფასი არქივის მომვლელმა და მეპატრონემ თამარმა გვიამბო. გვიამბო სევდიანად, საოცრად მღელვარემ და ფიქრიანმა.

...მხცოვან კომპოზიტორს სიცოცხლის კვირაძალში ჩვენი გალაკტიონი სწვევია. უგუნებოდ ბრძანებულა. მეგობრისათვის უთხოვია, დაეკრა რამე. ოთახში ელექტროშუქი გამოურთავთ. ფანჯრებში მთვარე იხედებოდა, გალაკტიონის მოკამკამე მთაწმინდის მთვარე... გარეთ გმირთა მოედანი ზანგის ლოყასავით ლაპლაპებს. ფშვინავს თბილისური ღამე და ძინავს ჭადრებში ჩაფლულ ქალაქს. უკრავს ქართული მუსიკის ჯავარი. უსმენს ქართული ლექსის მეფე. იტყოდი, კაცი კი არა, ქვაზე აჭრილი ადამიანიაო. ცრემლები მორევია „ურჯა ცხენების“ და „მერის“ ავტორს. კარგახანს იმდუღრებოდა გული მთრთოლვარე მუსიკით. მცირე ექსპრომტიც დაუწერია. გალაკტიონის ხელით სუფთად გადაწერილი ლექსი დღემდე არ დასტამბულა და დიმიტრი არაყიშვილის არქივშია.

აი, ისიც:

მსგავსი რამ მე არ მსმენია,
ეს ხმაა მზისა და ჩრდილის.
მასში ხმოვანებს გენია,
გენია არაყიშვილის.

იგი სულია ივერთა,
სიმშვენიერის შიშველის,
ბრძოლისა და სიყვარულის,
ხმათა მათ გუთიშველის.
მადლობა, დიდი მადლობა...
ქართულმა ხმებმა მიშველეს...

არქივში შეუსწავლელია სამასზე მეტი წერილი. ეს მიმოწერა ფრიად თავისებურია და აქვს ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ვფიქრობთ, ერისათვის საინტერესო იქნება აზერბაიჯანული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლის ჰაჯიბეკოვის, იოლიტოვ-ივანოვის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის გოლდენვეიზერის, მუსიკოს-ფოლკლორისტის ბრუსოვას, პროფესორ კუზნეცოვის, დოქტორ ბელიაევის, პუბლიცისტისა და პედაგოგის კრუგლიკოვის, მუსიკოს-ეთნოგრაფისტის მასლოვას, პროფესორ რაბინოვიჩის, შაპორინის, კორნელი კეკელიძის, კოტე მარჯანიშვილის, დიმიტრი შოსტაკოვიჩის ბარათები.

დაცულია ზაქარია ფალიაშვილის უკანასკნელი ბარათი, დაწერილი ათას ცხრაას ოცდაცამეტი წლის ორ ივნისს:

„ძმაო დიმიტრი!

ამ წერილსა გწერ დიდის აღფრთოვანებით. ეს აღფრთოვანება გამოიწვია: იმან, რომ ჩვენი პატივცემული არონი (არონ ხოფერია — იმხანად კონსერვატორიის დირექტორი. რედ.) აგერ ხის ჩემთან. მნახე, მძიმედ დაავადებული და ლოგინში მწოლიარე. გიცდი. უეჭველად. შენი ერთგული ზაქარია ფალიაშვილი“...

მართლაც მეტად მდიდარია და მრავლისმთქმელი დიმიტრი არაყიშვილისეული არქივი. საჭიროა და გადაუდებელი მისი საფუძვლიანი შესწავლა-დამუშავება. აუცილებელია გამოქვეყნდეს კომპოზიტორის დაუბეჭდავი ნაწარმოებები. ასეთი კი უამრავია. ამ მასალებზე უნდა დაიწეროს კაპიტალური მონოგრაფია. კარგი და საშვილიშვილო საქმეა, თუ მოხერხდება საზოგადოებრივ საწყისებზე მუზეუმის გახსნა იმ ორ ოთახში მაინც, სადაც არქივია და კომპოზიტორი მუშაობდა. სიტყვამ მოიტანა და დავძენთ: უკვე დრო არის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარში შეტანილ იქნას დიმიტრი არაყიშვილის რატომღაც შემთხვევით მივიწყებული ოპერები, მით უმეტეს, მათ შემქმნელს მიმდინარე წლის ოცდასამ თებერვალს დაბადებიდან ოთხმოცდაათი წელი შეუსრულდა...

სდუმან დიმიტრი არაყიშვილის ძველებურ კარადებში ჩაკეტილი გრაგნილები. ფოლიანტები ინახავენ ბევრ საიდუმლოსა და საინტერესოს. იცდიან, დიდსულოვნად იცდიან ერის მუსიკალური წარსულის მეტყველი ანალები; მუდამდღე ელიან მკვლევარს, რომელიც თბილი, მზრუნველი ხელით გადახსნის მათ, გადაწმენდს მტვერს და ამოიცნობს დიდებული წინაპრების ფიქრებსა და ოცნებებს.

ქალაქის ველოსანი ნახატი ზ. წერეთელი



„ზეკი". ს. ზაქარიაძე



„შოკენიანა"



„უკვირკვირე თუთაბერი". კ. მარგველაშვილი.

„უკვირკვირე თუთაბერი" კ. სალინდელაძე

ა.ბალაბუევი

F-26728

მტკვარზე

„ბედების ტბა"

ალექსანდრე ბალაბუევმა დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი და შემდეგ, როგორც გრაფიკოსმა მუშაობა დაიწყო გამომცემლობებსა და ჟურნალ-გაზეთებში. ა. ბალაბუევი არა მარტო გრაფიკოსია, არამედ ის მხატვარი-პორტრეტისტიცაა, მას კალმით და ფანქრით შესრულებული აქვს: ელისო ვირსალაძის, ოთარ თაქთაქიშვილის, ოდისეი დიმიტრიადის და სხვების პორტრეტები, რომლებიც სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში". ა. ბალაბუევს აგრეთვე აკვარელით შესრულებული აქვს თემატიური კომპოზიციები სამამული ომის თემაზე. ამას გარდა ა. ბალაბუევს ჩვენ ვიცნობთ, როგორც ნიჭიერ ფოტოხელოვანს. მისი მხატვრული გემოვნებით შესრულებული ფოტოსურათები ხშირად იბეჭდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში და სპეციალურ ფოტოგამოფენებზე ჯილდოებსაც ღებულობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბორის ჩხეიძე

მოთხრობა

მხატვარი ელგუჯა ბერძენიშვილი

ყოჩი ლეო ნათესავებს ეყრება

ბინის შუაგულში მოქცეული კარგად მოზრდილი სასტუმრო ოთახი სავსე დახვდა. მძინარეებს იატაკზე ფეხს ვერ აუქცევდა კაცი. გასასყიდად გამოფენილი თეკვზებივით ნათესავები ერთიმეორეზე მიწყობით იწვნენ, ზოგი თავბოლოშექცევითაც კი. მძინარეთა შორის მაზინვე გამოიცნო მარიკო. ბასილაძეების ოჯახს შუკედლებული ეს სტუმარი გაბოს ცოლისდა იყო. ახირებულობა დასჩემდა ძაძიას. რამდენად მეტი უჩნდებოდა ბავშვები, მით უფრო ებდუჭებოდა თავის საკუთარ ნათესავებს. ცდილობდა ყველა ახლოს ჰყოლოდა.

მეტისმეტად ამოიჩემა თავისი პატარა დაი, მარიკო. ერთი დღით მისი მოცილება არ შეეძლო. ერთ ხანს ისე ამოჩემებულად გვერდიდან არ იშორებდა უმცროს მაზლს ყოჩ ლეოს, რომელიც სამხედრო ვალდებულებამოხდილი ამ ერთ კვირაში დაბრუნდებოდა შინ. ამის დამადასტურებელი დეკეშა, თუმცა არავისთვის გაუმხელია, გაბოს გულის ჯიბეში ედო. ერთიც ვნახოთ და ყოჩი ლეო ძაძიამ ძველებურად მიიღოს? ეს ხელგაშლილობაზე მეტი იქნებოდა. ცოლის ასეთი ზნე ქალაქელი მაცხოვრებლისათვის გამანადგურებელ სენად მაჩნდა. ყოჩ ლეოს ვინ დაეძებს. ცოლისდა ვერ მოუცილებია შინიდან. მარიკომ ბასილაძეებისას დაიდო ბინა. შინ, თავის სახლისაკენ არც თვითონ ეწევა გული, არც ძაძიას უშვებს. მაშასადამე, ბასილაძეებისას საუზმობს, სადილობს, ვახშმობს. ძველ პიანინოსაც ის უბარდღუნებს. ეს კიდევ რა არის! ბასილაძეებისას იუთოვებს, იკერავს, ცვეთს ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ლოგინს, იკავებს საცხოვრებელ ფართობს.

წყალსადენის ღმუილი ძლიერდება. გარეთ უფრო ციგად გაჰკივიან: რძე, მაწონი, რძე, მაწონი! ბოლოს ამას წყლის შხუილიც მიემატა. ვინ მოუშვა ონკანი? ვინ და რად მიიჩვია ასე მერძევე და მემაწვნე, რომ მისი ხმაური, ბასილაძეების ეზო-კარზე ასე უტიფრად გაისმის? სახლი სულ ზანზარებს. რატომ, რატომ არ უფრთხილდებიან შინაურები წყალსადენ მილებს? ზედახვევის საბუმბავ მანქანებს, წყალს თბილისიდან კოჯრამდე რომ მიერეკება, მაღალი წნევა აქვს. ნებაზე თუ მიუშვი, წყლის შეკუმშული ნაკადი ბეტონის კედელს გაარღვევს, დამდღვნის, ღვართქაფს გაატანს. ბასილაძეების სახლის კედლები კვადრატული აგურით და გაცრილი მიწის ალიზისაგან არის ნაგები. აბა, იგი რა წნევას და ნაკადს გაუძლებს. დახეთ, დიდი „ვენტილი“ მართლაც გაუღიათ. წყლის შადრევანი ეზოს ონკანშიც ამოჩქეფს. ეს კი ნამდვილად მერძევე-მემაწვნის ოინია. მოვა ზედახვევში, აქ, ბასილაძეების ეზოში მოწყურდება, ხელის გადაბანა და პირისახეზე წყლის შესხმაც აქ მოუნდება. ჩანს, უმიზეზოდ არ დაეხეტება ასე ხშირად. აბა, დილაადრიანად რად მოვა, შემოსძახებს: მაწონი, მაწონიო, პირველად ჩამოსხმული, არაენიანი რძე ბასილაძეებისთვისო.

„რძე-მაწვნის გასაღების გარდა სხვა მიზეზიც მოძებნე, გაბო“. შეიძლება კაცი უცოლოა და მარიკოს უთვალთვალებს. დიახ, ასეა, და ეს ალიაქოთი ამ დილით, აქეთ მერძევე-მემაწვნის მიეკონებული შეძახილები, იქით ეზოში „ვენტილების“ მოშვება, მილების ღმუილი, მზის სხივები ფანჯარაში სულ იმ გომბიო მარიკოს მოწყობილია.

ჩაასმინა არცთუ თავისმა ხმამ გაბოს. ჩაასმინა, მოწამლა და ამით არ დაკმაყოფილდა: რაც ბასილაძეების სახლში უკმაყოფილება, გულძვირობა, გასაჭირია, ისიც სულ მარიკოს დაბრალა.

ჩაძახილით მოშხამულმა გაბომ კვლავ დაათვალიერა სასტუმრო. თავში ხელები წაიშინა. აი, ოჯახში სიმწრის მიზეზის, მარიკოს ლოგინი. საბანი გვერდზე გდია. გოგო კი იქ არ არის. ასე უხმაუროდ როგორ ადგა, გაძვრა და აღარ ჩანს? გრძნეული ხომ არ არის!

შემოკედლებულ დას გაბოს ცოლი ძაძია სასტუმროში აძინებდა თავის ტოლებთან, რომლებიც ბასილაძეების სახლში არ ილეოდნენ.

აგერ, აი, იმ ერთსაფოლიან, მავთულისბადიან ლოგინზე იწვა ქალი და ბანგდალეულივით ეძინა. ფეხითაც ეთრიათ, არ გაეღვიძებოდა. თურმე თვალს განგებ ხუჭავდა, ნამდვილად კი ფხიზლობდა. ახლა გასცა თავი. სიძეს დრო უხელთა, ჩუმად ადგა ადრეულა. ხმაური ატეხა, ფარდა გადასწია, ისევ ჩაწვა, სული გატვრინა, ვითომ მე არაფერ შუაში ვარო. ახლა თვალსა და ხელშუა გაუძვრა ჭინჭრაქა ჩიტივით. დიახ, ის არის ყველაზე უღონდება ვისმეს გული. გაბოს თავზე უნდა გადაიაროს ყველა ქარიშხალმა. აი, თუნდაც ძაძა. ეზოს განგრამია. ნახეთ, რა უდარდელად ძინავს. არც წყლის შხუილი ესმის, არც ჩლარტების ტყაპუნი აღვიძებს, არც მერძევე-მემაწვნე ბიჭის ხმაური აშფოთებს. მარტოა გაბო მთელ ქვეყანაზე. ცოლ-შვილის, დედის, მრავალრიცხოვანი და-ძმების მარჩენალი და მეთაური ამოუბუებიათ. ამ ბოლო დროს, ძაძიას ხელგაშლილობის გამო, დედა—ასილოს გულჩვილობის გადამკიდეს, ცოლისდაც ბასილაძეებს შეეხიზნა. გაბოს დაეწვა კისერზე კიდევ ერთი ზედმეტი სარჩენი. იმას არავინ კითხულობს, შეუძლია თუ არა ამდენი. გიგეთ, ვინაც არის გაბო: ერთი რაღაცა ტექნიკუმი დაუმთავრებია. აქ ბულალტრად მუშაობს, იქ მოანგარიშეობას ეწევა ფარულად. სხვაგან ანგარიშგება აკორდად აქვს აღებული. გაბოს ძირითადი ხელფასით ბასილაძეები იცვამენ, მოანგარიშეობიდან შემოსავლით იკვებებიან, აკორდის ფასით კი... ეჰ, სად მიდის, კაცმა არ იცის. ბრძენს უთქვამს, მამაკაცი ოჯახის ვირიაო და სწორი ყოფილა.

ივლისი ილევა. დღისით სიცხის ალმურით ითანგება ქალაქი. ეზოში, ქუჩაში, ჩრდილშიც სუნთქვა ჭირს. სიმხურვალისაგან მოთენთილ ადამიანს ოფლით სველი ტანსაცმელი არ უშრება. ღამითაც ნაკლებ არ ცხელა. მართო დილით, მზის ამოსვლამდე, ჩამოივლის კოჯრიდან მცირეოდენი სიგრილე. მალე, როგორც კი სხივთამფრქვეველი მნათობი ცაზე ამოიმართება, ლურჯ გუმბათს, ქვეყანას რომ ზემოდან წამომხობია, ცეცხლს შეუკიდებს. მაშინ ის მცირე სიგრილეც გაქრება, რაც განთიადის წინ იგრძნობოდა. გაბო ამ ასიცხების საათს წამებასავით ელის, არ იცის სად გაერიდოს. ძაძიას კი დარდი არა აქვს. ხელჩარსაგვადაფარებული ნებივრად, არხეინად გორაობს ლოგინზე. გაბომ იცის: რარიგ მაგრადაც არ უნდა ეძინოს ძაძიას, გულში თანჩაყოლილი სიფრთხილე მაინც აქვს. ეს სიფრთხილე, ძილის დროს მახვილი ყური, ძუძუთა ბავშვიანი ქალის ის ძილ-ღვიძილია, რომელიც დედას ღამით უმალვე ატყობინებს ბავშვის ოდნავ წამოტირებას, არ გამოაპარებს ქმრის დილით შინიდან წასვლას და არ გააგონებს თუნდაც კლდის ჩამონგრევის ჭუხილს.

ასე და ამნაირად, იმ დილით ქმრის საძინელ ოთახში შესვლა-შებრუნება ძაძიას ისევე არ გამოპარვია, როგორც პირველად, ადგომისას გასვლა არ დარჩენია გა-



უგებელი. ამიტომაც ქმრის შებრუნებისას ოდნავ შეიძრა. ამით თითქოს უთხრა, გააგებინა, ვიცი აქ ხარო და გვერდის შებრუნების უმალ ლამაზი ფეხები გაშალა, თვალგაუხელელმა ხელის ფათურით ჩარსავი წაიფარა.

ძილმღვიძარმა ქალმა საწოლის ის მხარე და ტახტიც გაასწორა, რომელზეც გაბო ისვენებდა და იძინებდა. ამ მოქმედებით ძაძიამ ქმარი თითქოს მიიპატიჟა, თუ დასვენება დაგაკლდა, მოდი, წამოწექი, კვირა დილაა, სამსახურში მაინც არ მიდიხარო. გაბო ვერ მიუხვდა. საწოლზე არც დაწვა, არც ჩამოჯდა. იქვე მახლობლად კედელთან აეყუდა, ჩუმად, უხერხულად პირი აეწლაპუნა. ძილღვიძილში ძაძიას, რა თქმა უნდა, ქმრის ამნაირი საქციელი არ გამოეპარა, რაღაც უკეთური იგრძნო, ძარღვები აუთამაშდა. ცუდი მოლოდინის განცდამ დილის ტკბილ ძილს, მოსვენებას ქედაფი შეასხა.

— ძაძიავ! — შეესმა ქალს გამყინავი ხმით. — როდის აგზავნი თავის სახლში მარიკოს? — აქ ბრძანების კილოც გაურია: — მოაცილე ჩემ სახლს ეგ შენი დაი. თორემ... თორემ... არ ვიცი რას ვიქმ.

ძაძიამ ესაოდა მაგრად მძინავსო, არაფერი მესმისო, ცხვირი აახხინა. გაბო ამან შეცდომაში ვერ შეიყვანა. იცოდა და ატყობდა კიდეც: ცოლს მისი სიტყვები კარგად ესმოდა. უყურადღებობამ მთლად გადარია კაცი.

— გესმის, ქალო, როდის აგზავნი-მეთქი შენ მარიკოს? — ხმას აუწია. — მე ისედაც ბევრი მყავს მხრებზე ჩამოკიდებული სარჩენი. თუ ახლო ხანში შენს დას თავიდან არ მომაცილებ, თმით დავითრევ, გავაგდებ ზედახვევიდან.

— ჩემო კარგო! — ნახევრად გაახილა თვალი ძაძიამ, — ჩემო კარგო, ეგეთი მუქარისა, აბა, რომელ ცოლს ეშინია! ხედავ, გოლი არც მე ამომივარდა საბუდრიდან. ცუდია მამაკაცმა კრიჟანგობა და წუწურაქობა შეიმჩნიო. სუუ-მეთქი, სუუ...

ნახევრად დაცინვით, ნახევრად მუდარით, თითქმის უდარდელად გამოედავა თვალებში ძილჩამდგარი ძაძია. ზეწაბოუწევლად ლოგინზე შეტრიალდა. ქმარს ის გულმკერდი და მუდამ ღიმილით განათებული სახე უჩვენა, რომლის დანახვაც კაცს ხავერდივით არბილებდა. ეს ნაცადი ხერხი იყო. ამ მანერით და შემპარავი, ტკბილი სიტყვებით ძაძიას ბევრჯერ გაუტანია თავისი, განუიარაღებია, დაუმშვიდებია გამძვინვარებული ქმარი და შინაურები. მაგრამ დღეს საქმე სხვარიგად დატრიალდა.

— შენი ფიქრით, — გაბომ ხმას სულ აუწია, რაც არასოდეს არ ჩაედინა. — მარიკოს გატანა არაფერი გვიჯდება? უფასურად მოგვდის?

— მე ის მონარჩენი პურით გამყავს. იმ პურის ნამუსრევებით გამყავს, რასაც ჩემი მდგომარეობის ქალები ბეღურებს უყრიან რაფაზე. შენ თვითონ იცი, რა აზიზი მჭამელია ჩემი დაიკო. იმაზე იტყვიან ხალხში, ხუმრობით არის ის თუ მართლა, ღარიბი, დაქცეული კაცის საცოლედ არის გაჩენილიო. ჰოდა, თუნდაც მაგისი და, თუნდაც ერთი ჩიტის შენახვა!...

— ერთი ჩიტის! — სიტყვა წაართვა გაბომ. —ლამაზად ნათქვამია. მე კი არაფერს მკითხავ. აგერ, ამ სამ დღეში, ყოჩი ლეოც მოგვეშატება და მაშინ ნახავ.

— დიახ. არც მეტი, არც ნაკლები. ერთი ჩიტის შესანახი ხარჯიც არ ჭირდება ჩემ მარიკოს. — ყოჩი ლეო თითქოს სმენას არ მისწვდომ, ძაძიამ არ ახსენა. — მესამე ზაფხულია ქალი ჩითის ერთ კაბას ცვეთავს. მის ტოლებს იმ კაბასთან შეკერილი ტანსაცმელი დაავიწყდათ. აბა, მარიკო გასინჯე? ძველი, სამი წლის კაბა ახალივით აქვს მოვლილი და შენახული.

ამ სიტყვებს ძაძია სიცილით, გულის წარმტაცი წარბების თამაშით ეუბნებოდა ქმარს. ამ ჯერზე მიზანს მოახვედრა.

გაბო გაადნო, მოალბო ცოლისაგან სიტყვების გატრიზავებამ და მდგომარეობის გაბიაბრუებამ. აქამდე განუცდელი შემსუბუქება იგრძნო. გაძლების უხილავი და მძიმე ტვირთი გაუნახევრდა.

არა მარტო ცოლს, რომელიც თავისთავზე უფრო უყვარდა, საკმაო იქნებოდა სხვა ვინმეს გადაეღო ძაძიასებრ თვალების ხამხამი, წარბების აჭიმ-დაჭიმვა, გაეგონა ტკბილი ხმა, რომ გაბო მაშინვე თავს მის ტყვედ გააცხადებდა. ამ დილითაც ასე მოხდა რამდენიმე ხნით. ძაძიას სამწუხაროდ ეს წუთები არ გაგრძელდა.

მერძევე-მემაწვნის ყვირილის, მილების ღმუილით ხელნაკრავად, ავად გაღვიძებულ გაბოს გული ისევ მალე გაუქვავდა. „რა გადაეკიდაო“, — ფიქრობდა ძაძია და ვერაფერს მიმხვდარიყო.

წუხელის ბასილაძეებისას მომხდარი ერთი შემთხვევა გაბოს გარდა არავინ იცოდა. ამ შემთხვევამ გაუქვავა გული კაცს.

წინა დღით გაბომ დეპეშა მიიღო: უმცროსი ძმა, ყოჩი ლეო იტყობინებოდა, შინ ვბრუნდებიო. დეპეშა დედასაც არ უჩვენა, ჯიბეში ედო. შეეჩვია ოჯახიდან ძმის შორს ყოფნას. ვეღარ წარმოედგინა მისი ისევ იმ ჭერქვეშ დაბრუნება, სადაც გაბო, ძაძია და მათი პატარა შვილები ცხოვრობდნენ.

—„აქ მარიკო, იქ ყოჩი ლეო, აქ მარიკო, იქ ყოჩი ლეო“, — უტრიალებდა სულ ერთთავად გონებაში. ამ რამდენიმე სიტყვას ჩუმად, უხმოდ, ტუჩებში მარცვლავდა.

აქეთ თუ იქით ნათესავებზე ცოლსა და ქმარს ლაპარაკი ხშირად მოსვლიათ. დავაში ყოველთვის ძაძია გამდიოდა გამარჯვებული. ქმარი უთმობდა. ახლა გაჯიქდა. ჩვეულებრივად თავი აღარ დაუნია. ოღონდაც შენ იყავი კმაყოფილი, აგრე იყოსო. ამან ძაძია მეტისმეტად დააღონა. უმცროსზე დარდმა უფროსი და უცეცხლოდ დაწვა, სხეულზე ალი შეუნთო. მშობლების გარდაცვალებიდან დაწყებული მარიკოს მარტო, თავისთავის ამარა დატოვება ეძნელებოდა ძაძიას. მომაკვდავი დედის ანდერძი ახსოვს და როგორ დაავიწყდება: ჩემი სამარე თუნდაც მეორე დღეს წაიშალოს, მაგარი ხის კუბოც არ მინდა, ოღონდ მარიკოს ყურადღება არ მოაკლდეს, ცუდად არავის გადაეკიდოსო. აი, დადგა გამოცდის დღე. რა იღონოს ძაძიამ? იქ, გაღმა, კუკიაზე მარტოკა, ცარიელ სახლში გოგონა ვერ გაძლებს. ძაძიას აქ, ზედახვევში, ქმრის საყვედურებიც ანგარიშგასაწევად მიაჩნია. მართლაცდა ბასილაძეები რა მოვალეები არიან, მათი რძლის, მოყვანილი ქალის უმცროსი და შეიკვედლონ? ძაძიას არც მზითევი მოჰყოლია და არც შემდეგ რაიმე ღირებულების მემკვიდრეობა დარჩენია ქოჩორაძეებისაგან. მარიკოც ხელმოცარულია. რვაწლიანი სკოლა დაუმთავრებია. ჯერ ვერც სამუშაოდ გასულიყო, ვერც სამსახური ეშოვნა. ძაძია საგონებელს მისცემოდა: რა და, როგორ ეშველნა, როგორი გზა ეჩვენებინა უმცროსი დისათვის. მაგრამ ჯერ ვერაფერი მოეხერხებინა.

გოგონა ნიშნის კაბაში ამოდიოდა. კუკური ვეებერთელა ბუტკოდ იშლებოდა. დღითი დღე მომხიბლავი ხდებოდა. ადვილი არ იყო მისი სილამაზისათვის თვალი ვისმე გაესწორებინა.

— ამ საღამოს, — კვლავ დამარცვლით წარმოთქვა გაბომ, — შინ დაბრუნებისას, ძაძიავ, მარიკო აქ აღარ დამხვდეს. სადამდე გავჭიმო ფეხები ხელფასის შემყურე კაცმა, არ ვიცი, ღმერთმანი.

მოიმიზეზა ქმარმა. ცოლი უფრო დაღონდა. ეს რაღაც ახალი და ცუდი რამ ჩასახულიყო გაბოს ისედაც არცთუ მხიარული მამაკაცის ბუნებაში. სიმწრისაგან ცოტა აკლდა, ქალმა მოთქმა დაიწყო, რომ ამ დროს საშველიც გაჩნდა.

—· შენ, ჰეი, გაბო! — ჩაერთო ვაჟისა და რძლის ლაპარაკში სამზარეულოდან დროით გამოსული დედა ასილო. — კრიჟანგობა, მართალია, ჯერ არავის უთქვამს სახელგამეხი ზნეაო. — ხმას დაუწია. — თუ ამ დილით მიგეჩქარება სადმე, წადი, ახლავე გასწიე. შინდან ადრე გასულ მამაკაცს, გახსოვდეს, მოშხამული სიტყვის შინ დატოვებას ჟამი და ხურვება გერჩიოს.

დედის დარიგებამ გაბო გააცა და ჩაფიქრა. აქ ბევრი რამ ისე არ იყო, როგორც მას ეჩვენებოდა. თუნდაც დედა... ვინ იტყვის მომჭირნე არ არისო. მარჯვენა ხელიდან მარცხენას ადვილად არაფერს მისცემს. ასეთი ხასიათის ადამიანი შვილის ნაცვლად რძალს ეკმაგება. ძაძიას ეს გამოქომაგება, ამ დილით, მარიკოს ზასილაძეებისას დარჩენას ნიშნავდა დიდი ხნით, იქნება სულაც, გათხოვებამდე.

როგორ, როგორ დაიმსახურა ჯერ ძაძიამ, მერე კი მარიკომ, მოხუცის ეგზომ ყურადღება, განსაკუთრებით „გომბიომო“, — ძალიან უკვირდა. და უკანასკნელ საათს, თუმცა ადრინდელი გაბედულებით კი არა, მაინც გაიბრძოლა:

— ლაპარაკი ადვილია. — უთხრა დედას. — აბა, ერთი შოვნაც სინჯეთ! სამსახურში, აკორდულ სამუშაოში წელიწადი ისე გამელალება ხელიდან, საკუთარ პიროვნებაზე, ჩემ თავზე კაპეიკს ვერ დავხარჯავ შიში, აქ, ოჯახს მოაკლდება-მეთქი.

ეს საჩივარი თავის თავზე გაბომ მშვიდად კი არ თქვა, დაბალი ხმით ჩაიღმუვლა. ქუდს ხელი მოავლო, ქალაქში გასასვლელად გარეთ გაიწია. მაგრამ იქვე ფეხის გადაუდგმელად გაშეშდა. შემოსასვლელ კარზე გარედან კაკუნი ატყდა. გაბოს ამან ნერვები სულ აუშალა. ჯანდაბას იქითაც ჰქონია გზა ასე ადრე ასეტიალებულს. ჯერ შვიდი საათიც არაა. რა დროს ოჯახში სტუმრის მისვლაა. ძაძია ლოგინში ნებივრობს, დედა-ასილო სამზარეულოში მიმალულა. მარიკოს ასისტენტობით იქ ქვაბებთან, ტაფებთან, თეფშებთან, ტილოებთან ეწევა ოჯახის სულ უფროსი ქალი დოსტაქრობას. შემოსასვლელ კარს უფრო მკვახედ უკაკუნებენ. გაბომ საათი იძრო შარვლის ჯიბიდან. არა, ჯერ შვიდიც არ შესრულებულა. მზემაც საქმე გააჭირა. მცხუნვარე სხივებით სახლს გარშემოსვევია. კაკუნი არ ნელდება და თანდათან ძლიერდება. ვიღაც ძალიან საჩქარო საქმეზე უნდა იყოს მოსული. თორემ ამ დროს... და გაბო, კარის გასაღებად თოკს, კაუჭზე რომ აბია და ზემოთ, საძილე ოთახშია აყვანილი, ხელის მოვლებით ფრთხილად გამოსწევს. ბრინჯაოს საკეტი ჩხაკუნებს, ერთი წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება.

გაბომ რომ ვიღაცას კარი გაუღო, ქალებს და უმცროსებს ყველას გაუგიათ. მოსულის დალაპარაკებას ელიან. მალე ძაძიას სმენას მისწვდა გაოცებისაგან ქმრის შესუსტებული, ქალურ კილომდე დასული სიტყვები:

— მე შენ დღეს კი არა, ჯერ ერთ კვირასაც არ გელოდი. ამას შეხედეთ! მოსულა. დეპეშას მავთულზე თვითონაც გამომბმია.

— თვითმფრინავით წამოვედ!—მიუგო სტუმარმა.

— კაცო, ვინ მოსულა, რა მოსულა, რა დეპეშა. კარგად გამაგონე, რას ამბობ!

მიაძახა ქმარს ძაძიამ. ლოგინზე წამოჯდა. აი, თურმე რად ნერვიულობდა ქმარი. დეპეშა მიუღია. ვიღაცას ელოდა, ოღონდ ასე მალე არა. აქეთ მარიკო დაიჭრინა, იქით დედას გაედავა, ცოლს დათმობა დააკლო ბაუბრის დროს. დეპეშის მიღებაზე ხომ ერთი კრინტი არ დაცდენია. და რადგანაც ქმრისაგან პასუხს ვერ ელოდა, საწოლიდან ერთბაშად წამოიწია. შეელვებულ ცქვიტი ქალი პერანგისამარა გადმოხტა დათვის ტყავზე.

მანცდამაინც დილის შვიდ საათზე დიდად მოსარიდებელი არავინ უნდა ყოფილიყო მოსულთაგანი. ამ დროს, უთენია, ქალაქელ მოსახლისას ან ძალიან ახლო ნათესავი ქალი შედის მეტისმეტად სასწრაფო საჭიროებისათვის, ან ფოსტალიონი დარეკავს და შემოაღებს, შინაც მოურიდებლად შემობობდება ტყავის ბოხჩით. ფოსტალიონს ხომ მთელ ქვეყნიერებაზე, თბილისში თუ ბუფალოში, ყველგან შინაურივით ხვდებიან და მათ ჩაუცმელი, გულმოჭრილპერანგიანი ქალებიც არ ერიდებიან. მოსული ფოსტალიონი არ გამოდგა.

— დედილო, ყოჩი ლეო მოსულა,—დაიყვირა სასოწარკვეთილმა გაბომ. მერე თითქოს შენ ყაჩაღი შემოიჭრაო, ცოლი გააფრთხილა: — აი, იქ, გარეთ, ქვის კიბეზე დგას ქუჩიდან შემოსასვლელში. კარსუკან დარაბას ეფარება.

— მოგელანდა თუ რა?

მიაწვდინა ხმა ძაძიამ. ძალიან გაოცდა ქმარი ასე რამ დააფრთხოო. ყოჩ ლეოს სახელად ეძახდნენ შინიდან რამდენიმე წლის წინათ წასულ გაბოს ძმას, ძაძიას მაზლს, ასილოს უმცროს, ქალაქში გოგოების მიერ აპოლონივით ამოჩემებულ ბასილაძეს. ამაში გოგოები დიდად არ სცდებოდნენ. ლეო არა ერთხელ ჰყოლიათ ნატურად დაქირავებული თბილისის გამოჩენილ მხატვრებს, მათ შორის ყველაზე ცნობილ ლადო გუდიაშვილსაც კი.

— როგორ თუ მომელანდა! დიახ, ნამდვილად ის დგას კარს იქით!

გაბომ თოკს ხელი უშვა. კარმა გაიჯახუნა, საკეტი ჩაიჩანგლა.

— კარს რად უხურავ! — შეუტია ძაძიამ. — შენსავით ისიც ამ სახლშია თვალახელილი. ახლავე გამოჭკარი თოკს ხელი. კაცი შინ შემოუშვი. ვის გაუგონია ძმების ეგეთი შეხვედრა? სხვა არა იყოს რა უბანში თავი მოგვეჭრება!

გაბოს არაფერი ესმოდა. თოკის გამოსაწევად, კარი რომ კვლავ გაღებულიყო, ხელს არ აქანებდა. გაუბედავი, მშიშარა მეზავრივით მოულოდნელად გამოჩენილი მდინარისა და საეჭვო ფონის მისადგომთან გახვევებულიყო, განძრევისა ეშინოდა.

— ახლავე გაუღე! — გაანჩხლდა ძაძია. — თორემ, გახარება არ მომაკლდეს, ხომ ხედავ, ზეზე ვარ. თუ უფროსი ძმა არა, მე გავუღებ კარს შენ ღვიძლზე ნადებ ძმას. ჰეი, ქმარო, დედაშენ ასილოს სახლი, თუნდაც ყოჩი ლეო კაცის მკვლელი იყოს, ჯერ იმისიც არის. როცა გაგეყრება, აქედან წავა, სხვაგან დაესახლება, მაშინ შენი ნებაა, გინდა გაუღებ, გინდა არა.

ცოლის შეგონებამ ახლოს გაქნეული, დაკრული დანის წვერივით იმოქმედა ქმრის არსებაზე. ეგონა, ფოლადმა კანი გამიფატრა, შიგნით ხორცში ღრმად ჩაერჭოვო. ხელი მოისვა გულის ფიცარზე, სისხლი ხომ არ მოთქრიალებს ჭრილობიდანო.

არა, არ უნდოდა კვლავ შინ მიეღო ერთხელვე შორს წასული მხატვრების „ნატურშიკი“, ძმა, ყოჩი ლეო და ასეთი გამწარების წამს უეცრად თვალი მოჰკრა შემოსასვლელი კარისაკენ პერანგისამარა, ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ცოლს.

— ტანთ ჩაიცვი, სხეულზე მოიფარე რამე! — მიაძახა.

— კა, ეს კიდევ რაღა არის, შენ ძმას მარიდებ, მიფრთხილდები? — ესროლა ძაძიამ. — გმადლობთ! დიდი ხანია დარიგებას გადავეჩვიე, აღარც ზნეობას ვისწავლი ვინმესგან.

გამშრალი კაცი კედელს მიეყრდნო. ქალმა უფრო გაბედულად გასწია კარისაკენ. საღამურ თეთრეულში ფეხების ბლანდვით, ტანსაცმელი მეტად გრძელი გამოდგომოდა, გაიარა ცოცხებით, ტილოებით, სკამებითა და საწოლებით ახორავებული ოთახისა და ტალანის-მაგვარი განყოფილება. კართან მიიჭრა, საკეტი ხელით გამოსწია, გააღო. ერთხელ უკან მოიხედა, გაბო სადა დგასო. მაგრამ ვერავინ დაინახა. გაბო გამქრალიყო. მალე შემოსასვლელი კარის იქით, კიბის ერთ საფეხურზე ტერფი დააბიჯა. იქ წინ აეშოტა, ეს არის, შინ დაბრუნებულ, სამხედრო ვალდებულებამოხდილ ვაჟკაცს. ეს ის კაცი იყო, ვიზეც ქმარმა შეიცხადა, ყოჩი ლეოაო. ძაძიამ ერთხელ კიდევ მოიხედა. მაგრამ გაბო კი არა, ოჯახის მრავალრიცხოვან წევრთაგანიც არავინ იხედებოდა კიბისაკენ ჩამოსასვლელზე.

მაინც სად გამქრალიყო უფროსი ძმა, ბასილაძეების წესით მამის უფლებებით აღჭურვილი, ოჯახის მეთაური? ამაზე სასიხარულო წუთები, როგორიც შორიდან შინ დაბრუნებაა, ხომ ნათესაობას, სახლს, იშვიათად შეხვდება ხოლმე. დიდი ხნის უნახავი ძმა, ღვიძლზე ნადები ნათესავი, ოჯახში თვალახელილი და აღზრდილი ვაჟკაცი შინ შემოდიოდა.

გაბო საძილე ოთახში დაბორიალებდა. სანამ გადასაცმელ კაბას ნახავდა, რომ ცოლისთვის გადაეგდო, აჰა

სხეულზე მოიფარეო, კარგა დრო გასულიყო. ძალიან, ძალიან უნდოდა ყოჩ ლეოს ძაძია შინაურულად არ დაენახა. ვერ მოახერხა. დაიგვიანა. როცა ტანსაცმელი სადღაც ბალიშქვეშ აღმოაჩინა და კვლავ კიბისაკენ გასწია, რძალი და მაზლი ერთმანეთს გადახვეოდნენ. ძაძია მკერდზე იკრავდა შინ დაბრუნებულ, ბასილაძეების ნაშიერ ლამაზ ვაჟკაცს.

გაბომ ამ სურათის დანახვაზე ამოიკვნესა, თან ხელი თვალებზე მიიფარა. როცა კვლავ გამოიხედა, ძაძიას ლეო შინ შემოჰყავდა.

ბასილაძეების ამ მოყვანილ ქალს, ქმრის დედმამიშვილებში ყოჩი ლეო ყველაზე ახლობლად მიაჩნდა. ეს მაზლი ისე უყვარდა, როგორც უყვართ ქალებს შვილად აყვანილი ბავშვები. ამიტომაც სიცოცხლეს უწამლავდა ქმრის უხამსი ეჭვი. ასეთი ცუდი და უგუნური, როგორიც ყოჩი ლეოს გამოჩენის წუთს იხილა, ძაძიას ჯერ არ ენახა გაბო.

წესით, ცხოვრების მაგალითის მიხედვით, თუკი ვისმე უნდა სძულებოდა ქმრის უახლოესი ნათესავი, ღვიძლზე ნადები, რომ იტყვიან, ქონების გამყოფი მაზლი, მას, ძაძიას არ უნდა ყვარებოდა ყოჩი ლეო, შეზარებოდა მისი შინ გამოჩენა.

ზედახვეულ ბასილაძეებისას რძალს ქმრის დედმამისშვილი არ ეზარებოდა. ამ ოჯახში ახლო ნათესავების შემამტკიცებელ დუღაბად მოყვანილი ქალი გამხდარიყო. გაბოს კი, ასილოს ერთ-ერთ უფროს ვაჟს, მამის შემდგომ ოჯახის მეთაურს, თვალით არავინ დაენახვებოდა. და-ძმები და სიმამრიშვილები შეძულებოდა, მობეზრებოდა.

გაბო იმ ასაკში გადამდგარიყო, როცა ადამიანს ახლობლები, ნათესავებია ისინი თუ მეგობრები, თვალით აღარ სურს დაინახოს. მაგრამ ვერც მათ სიშორეს და ავად ხსენებას იტანს.

ასეთი განწყობილებით შეპყრობილ ქმარს, ბოლო ხანებში, ძაძია ვეღარ ცნობდა. გაბოში ეძებდა და ვეღარსად პოულობდა გათხოვებამდე გულმხიარულ, ენაწყლიან, გულითად ქმარს.

სად გაქრა, რა მოუვიდა?

რაღაცის გამო, შეიძლება შინაგანად გაუკულმართების შედეგად ქმარი ისე შეიცვალა, როგორც ნათელი დღე ღამით. ბიჭობაში გულქართული ვაჟი, შუაკაცობას გადაბიჯების წინ, ეჭვიანობით სავსე ტოსარად იქცა. ბოლო დროს, ყველა მამაკაცში, ძმა იყო ის თუ ნაცნობი, მეტოქეს და მოსისხლე მტერს ხედავდა. ახლობლობა ვერავისი ეშნოვებინა, განდგომილად გაძლებაც უჭირდა. ასეთი გაუზნევება ცოლმა ქმარს კარგა ხნის წინათ შენიშნა. ძაძია სირცხვილმა დაწვა. თავის გულს ასკდებოდა, ნეტავი ოთხი შვილის დედამ ეჭვის სამაბი როდის და რით მივეციო. ბოლოს გაბომ გულღრძუობაც გამოიჩინა, მარიკოს ახირება სხვა არა იყო რა. ჰირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად მოითხოვა „უმწეო“, გასათხოვარი ქალი, ყოველ წუთს გასაფრთხილებელი ახალგაზრდა. ძაძიას შინიდან მოეშორებინა, იქ ძმისათვის კარის გაღება შეეზარა.

როცა კარგად აწონ-დაწონა ქმრის საქციელი, ქალმა აღმოაჩინა, რომ შებერებული მეუღლე ჩირად არ უფასებდა ოჯახში ერთგულად ტრიალს. ყოჩი ლეო ძაძიამ გამოკვება, გაიყვანა დავაჟკაცების ასაკში. ამას ყველა ზედასეველი ფიცით დაადასტურებდა.

დედამილი სამუშაოზე დადიოდა ქალაქში. უმცროსი შვილისათვის დრო სულაც არ მოეპოვებოდა. ეს უმცროსი ლეო გახლდათ. შინ, ოჯახის მომვლელად რძალი იყო დარჩენილი და ისიც სახლში, წამით გარეთ გაუსვლელად, ფუსფუსებდა. ძაძიას აქამდე ეგონა, ახალგაზრდა ცოლის შინ გამომწყვდევა აუცილებლობა არისო, რადგანაც ბავშვები ზედიზედ უჩნდებოდა. ახლა, ყოჩი ლეოს შინ დაბრუნების დღეს, სულ სხვა რამე აღმოჩნდა და გამოირკვა. თურმე ნუ იტყვით, გაბო იმთავითვე, შეუღლების პირველი თვეებიდან ეჭვიანობდა. აქამდე ამას ქმარი სიტყვებით ფარავდა, ან ლაჩარსა და ქალაჩუნას, ძალა არ ყოფნიდა თავისთავი გამეჭღავნებინა.

ყოჩი ლეოს გამოჩენის წუთს ეს უხამსი გრძნობა, რასაც სახელად უსაფუძვლო ეჭვიანობა ჰქვია, რომლის ახლოს გაკარებასაც ოდნავადაც ვერ იტვირთებს ზნეფაქიზი ქალი, ერთბაშად ამოტივტივდა მაღლა, მოწამლა ოჯახის წმინდა ჰაერი. აბა, რას ჰგავდა! გაბოს ვერ აეტანა ძმის შინ მოსვლა იმ მიზეზით, რომ მის გარდა თუნდაც ყოჩი ლეო თვალს მოჰკრავდა ძაძიას.

მან, დიახ, მან, ძაძიამ გამოზარდა უმცროსი მაზლი. მიდის სკოლაში დილით ლეო—ძაძია მიართმევს საუზმეს, ქუჩაზე ბიჭებთან ნაბრძოლი შინ თავთხლეგადადენილი დაბრუნდა? რძალი ცხვირ-პირს მოჰბანს, კოპებს ცივი ტილოთი დაუამებს, შემოხეულ ხალათშარვალსაც დაუკერებს, ღამით ლოგინსაც ძაძია გაუშლის. ამისათვის დედამილმა ასილომ თვალისჩინივით შეეთვისა და შეიყვარა, გარედან მის ოჯახში შემოჭრილი, ერთ-ერთი უფროსი ვაჟის ლამაზი ცოლი. უბრალოდაც კი არ მიმართავდა რძალს; რაგინდა გაფოფრილი არ ყოფილიყო, ასილო, ჯერ თავს დაიმშვიდებდა, ხმას დაიამებდა და მერე ეტყოდა: „ძაძია, ჩემო თვალის სინათლევ, აბა აქ ყაისნაყს სად ხედავ, შენ ქალობას ხელი დაჰყავი, მომაწოდეო“.

მოყვანილი ქალისაგან, ქმრის ახლობლებში ძაძიასებრ გულით ჩართვა ქალაქში ხშირი შემთხვევა არ იყო. ზედახვევში ასილოს გარდა სხვასაც ბევრს ჰყავდა რძლები. ძაძიას მაგალითი არსად გამეორებულა. მოყვანილი და შინ დახვედრილები ერთმანეთს შორის ძაღლს იკლავდნენ.

ბასილაძეებიდან თერთმეტი, ყველა ერთ კერიასთან დაბადებული, აღზრდილი და-ძმა გამოდიოდა გარეთ. გაბო ამ სათვალავში ერთი ყველაზე უფროსთაგანია, ძაძიას გამოზრდილი ყოჩი ლეო — მეთერთმეტე და უკანასკნელი.

ნაამაგარი მაზლის დანახვის უმალ სიხარულის ალი შემოედო ქალს სხეულზე. ვარაუდობდა შვილების პატრონი ქალი, მის უფროს ვაჟსაც მოუწევდა ხუთიოდე წელიწადში ვაჟკაცის ეს თაფლადასავალი, სამხედრო სამსახურის მოხდა. მთელი არსება აუჯანყდა ქმრის წინააღმდეგ. მისი ხმის გაგონება სმენას შეურაცხყოფდა.

შინ დაბრუნების სიამით აფოფინებული ყოჩი ლეო, გაოგნებული მიყრდნობოდა სახლის კედელს. ფერწასული გაუნძრევლად იდგა თავისთვის.

სანთელივით ჩამოქნილი ახოვანი ვაჟკაცი დარჯაკებში გამოხარატებულ ინ სვეტს მოგაგონებდათ, რომელიც მის ხელოვნებს ჯერ უბრალოდ აუყუდებიათ. შორს დამდგარან, მისჩერებიან, ბჭობენ, საიმედო დასაყრდენი როდის და სად შეუდგან დედაბოძად სახლსაო.

და აი, ბოძის ერთი გამოლელ-გამომხარატებელი ოსტატი, ძაძია, ყოჩი ლეოს ეცა. გაბოს გულის გასახეთქად, მძლავრი მკლავები ახლა უფრო გაუჭირა. ასე გულმკერდზე მიბაწრული, თვალტანადი მაზლი, საძილე ოთახში შეიყვანა. სამი-ოთხი წლის მანძილზე ნათესავების მოფერებას სრულიად გამოთიშული კაცი, ნაჯარისკაცალი, საწოლზე ჩამოიჯინა. მალე ფანჯარას ჩამოფარებული ჩალის ფარდა აახვია. ოთახში სინათლე დატრიალდა. მერე თეთრეულში ჩაფლულ-ბიმალულ თოთო, ეკვსიოდე თვის ბიჭუნას სახე გამოუჩინა. აჰა, დაინახეო, უთხრა მაზლს და თვითონაც მის გვერდით ჩამოჯდა.

რძლისაგან დედაშვილურად მიღებამ ყოჩი ლეო სულ მოთამფლა. სასოებით შესცქეროდა ჩვილ ძმისწულს. საქებრად ერთსა და იმავეს ლუღლუღებდა: „ამას ხომ მოჭიდავედ გამოვიყვან, ბასილაძეებისათვის ჩვეული ბიჭია“.

— ლეო, — ჩამოუგდო უმცროს მაზლს სიტყვა ძაძიამ. — შენ სამსხედრო ვალდებულება მოიხადე ხომ? ღვთის მადლით, არც მე გავმცდარვარ. მეხუთე ძმისწული დაგახვედრე. ამაზე მეტი სამსახური, ქოჩორაძეების ქალს, მისი ქმრის ნათესავ-გვარისათვის კიდევ რა შეუძლია? დედამილთანაც კეთილად ვთავსდები. განა, ასე არ არის? აბა, დედაშენს შეეკითხე? თუ ჩემზე ავი გითხრას რამე, დამტუქსე, შემაჩვენე! როგორც გინდა, მლანძღე.

ყოჩი ლეო ხმის ამოუღებლად უსმენდა ძმის ცოლს. ხანდახან, თანხმობის ნიშნად, თავს დააქნევდა. მერე ისევ და ისევ, სულგატრუნული ჩააჩერდებოდა, აფუებულ ბალიშის ყურზე, დილის ტკბილი ძილით მობანგულ ბიჭუნას. საამო იყო ეს განუწყვეტელი ცქერა ძმისწულის პირისახეზე. ბავშვის ყოველი ნაკვთი, კანის ფერი, ქოჩორი, ძილში გაღიმება, ხან გაბოს მოგაგონებდა — ნაჯარისკაცალს, ხანაც თავის უფროს ძმებს და გათხოვილ დებს, ბიძეს და მამიდებს.

ყველაფერი, რაც ამ დილით მოხდა: შინაურების კარგი თუ ცუდად შეხვედრა, შინ არყოფნის დროს ჩასახული და გაჩენილი ძმისწულის ხილვა ნაჯარისკაცალს მაცოცხლებელ განცდად უოტინებდა ძარღვებში. ამიტომ უნდოდა ეცეკვნა, ემღერა, ეფრიალნა. მაგრამ როგორღაც კრიჭა შეჰკროდა, ღიმილი არ მოსდიოდა პირზე, ვერც თვალებს ახელდა მთლად, თუნდაც ორიოდე სიტყვის სათქმელად პირში ენას ვერ იბრუნებდა.

სამი წლის მანძილზე ყოჩ ლეოს საკმაოდ შემოხარჯოდა მოზარდისათვის დამახასიათებელი აღტაცება და არა ნაკლებ სწრაფად გამქვინავრება. ისღა მოახერხა, რომ ფრთხილად მოიხარა, ბიჭუნას თანდაყოლილი, ჯერ შეუკრეჭელი, ბერის ქოჩორი, რასაც ქალები ბუდისასაც ეტყვიან, გადაუწია, საფეთქელზე ეამბორა. ცოტა ხნით ბავშვს ლოყა ლოყაზე მიადო. როცა აიწია, ლოგინს ორიოდე ნაბიჯით გამოსცილდა, ძაძიას ხელები დაუჭირა, დაუკოცნა. ამის შემდეგ გარშემოც მიმოიხედა. გაბო მოძებნა, გამწარებით მოუნდა გადახვეოდა, გადაეკოცნა უფროსი ძმა.

გაბო არსად ჩანდა, ის უკანა კარით ქუჩაში გასულიყო. ზედახვევის ქუჩით თავქვე დაშვებულს ქალაქის შუაგულისაკენ აეღო გეზი, გზაც იქით ჰქონდა.

არა, არ ელოდა გაბო ყოჩი ლეოს შინ მშვიდობით დაბრუნებას. არ გაუხარდა ძმის გამოჩენა ზედახვევი. ამ სიგლახის შეგრძნობა და შეგნება არცხვენდა ხანდაზმულ უფროს ძმას და მიერეკებოდა შინიდან შორს, ქალაქის უკიდეგანობისაკენ.

ასე ეგონა ბევრს ბასილაძეების სახლშიც.

შვილის გამოჩენით ბედნიერი ასილო სამუშაოდ აღარ წასულა სახელოსნოში. მოხუც ქალს მუხლებმა უღალატა. შინიდან გარეთ ფეხის გადადგმა ვეღარ შეძლო. სიხარულით აბნეულდაბნეული დედა განმარტოვდებოდა. კუთხიდან კუთხეში მიმოდიოდა. ხან კედელს აეტუზებოდა, ხანაც დაულაგებელ სახლში უადგილოადგილას წამოწვებოდა. სიხარულის წამებში არავითარი სამუშაოს დარდი არ ჰქონდა. ასილომ ისიც იცოდა, დაგვიანებით გამოცხადებაზე ან დღის მოლად გამოშვებისათვის შემჩნევას არ ჰკადრებდნენ. თმაგათეთრებულ ქალს საპენსიო ასაკისათვის კარგა ხანია მიეღწია.

ასილო სამუშაოს თავს არ ანებებდა. ხელში მომარჯვებულ ხელსაწყოების მოცილება, მაკრატელი იყო ის, უთო, ნემსი, საკერავი მანქანა თუ საზომი ზონარი, თითქმის აშინებდა. შინ დაჯექი, მოისვენეო, ვერ გაახსენებდნენ. არტელის პატარა „ოტელიერში“ ბავშვების ტანსაცმლის გამომჭრელად თავის დღე და წუთისოფელი განუწყვეტლად მუშაობდა.

უფროსები, თანატოლი მუშები, დიდად არაფერზე აწუხებდნენ მოხუც გამომჭრელს. ქალი საკმაო ხელოვნებით ჭრიდა ბავშვის ტანსაცმელს. სხვაზე უკეთ კიდევ შეეძლო ჟურნალებში გამოქვეყნებული სურათებიდან ახალი ტანსაცმლის მოხაზულობისა და მშვენების ქსოვილზე გადატანა.

ყველაზე ძვირფასი კი სხვა რამ იყო. ატელიეში ახლად შემოყვანილ ხელგაუწაფავ გოგოებს, ხშირად უქნარა ხნიერ ქალებსაც, ჯადოქრის გრძნეულობით ხელად შეასწავლიდა გვირისტს, საღილე ჭრილის ამოხვევას, საკერავი მანქანის ხმარებას და ზედ ნაჭრის გამართვას.

„არა, უტვინოდ არ მივლია მიწის ზედაპირზე. თერთმეტი შვილი გავზარდე, ყველა უკლებლივ ყოჩი ლეოთურთ, თბილისში მყავს. ბევრი დავასახლე, ბევრსაც დავასახლებ“, — ანგარიშობდა ასილო. თანაც ერთ ადგილზე გაშეშებულიყო. ხმის გასაცემს ელოდა. უცდიდა, როდის შებრუნდებოდა მისკენ შინ ახლად დაბრუნებული ვაჟი, როდის მიუძღვნიდა შობილი მშობელს მის წილ ალერსს. ეს ხომ სხვაზე ადრე ეკუთვნოდა ასილოს. ამიტომაც უკმაყოფილოდ იცქირებოდა ძაძიასკენ, რომელსაც ყოჩი ლეო გონიერ, წარმტაცი საუბრისა და მიხალისების ბადეში გაეხლართნა. რძალთან ასე გართული ნამლევა დედისაკენ არ იხედებოდა. ასილოსაც მოთმინება არ დალევია, როცა იქნება მოვაგონდებიო. არც მოტყუვდა.

ყოჩ ლეომ უეცრად თვალი დააფეთა და ოთახში ვიღაცის ძებნა დაიწყო. მალეც მიაგნო კუთხეში მიფარებულ დედას. მაშინვე მოცილდა რძალსა და ძმისწულს. მძლავრ მხარ-მკლავებში მარწუხებივით ჩაიჭრა სიბერისაგან დალეული მშობელი. ასილოც ეხვეოდა შვილს. დამჭკნარ, ცივ ხელებს ბრმასავით უთათუნებდა ბეჭებზე, მხრებსა და პირისახეზე. თითებით უვარცხნიდა შავგრუზა ქოჩორს.

საჭირო არ არის აღწერო მშობლის გრძნობები ხანგრძლივად უნახავ შვილთან შეხვედრის წამებში. ისეთი დედა, აბა, სად არის, რომელსაც შობილი თავისთავზე ნაკლებად ყვარებია და ეს გრძნობა სულის ამოსვლამდე განელებია! ასილოც არ წარმოადგენდა გამონაკლისს. დედის დიდი სიყვარულით უყვარდა თერთმეტი შვილი და ყველაზე მეტად უმცროსი, ნამლევა. მასზე ამოსდიოდა მზე.

(გაგრძელება იქნება)

რელიგია დაჩაგრული ქმნილების ამოოხვრაა, უსულგულო სამყაროს სულია, უსულგულო დროების სული. იგი ხალხის ბანგია.

კ. მარქსი, ფ. ენგელსი

ყველა ეკლესიის ძირითადი ამოცანა ერთი და იგივე იყო: ჩააგონონ დაბეჩავებულ ღარიბებს, რომ ბედნიერება მათთვის დედამიწაზე არ არის, რომ იგი მათთვის გამზადებულია ცაზე და რომ უცხო ძიასთვის გაწეული შრომა ღვთის სამადლო საქმეა.

მ. გორკი

ღმერთს შეუძლია თავი გაიმართლოს მხოლოდ იმით, რომ იგი არ არსებობს.

სტენდალი

რელიგიურ ცრურწმენათა ყველაზე ღრმა წყაროა სიღატაკე და სიბნელე; სწორედ ამ ბოროტებას უნდა ვებრძოლოთ.

ვ. ი. ლენინი

ეკლესია ხომ იერარქიას წარმოადგენს? მაშასადამე ის არის უთანასწორობის დამცველი, ხელისუფლების წინაშე მლიქვნელი, მტერი და მდევნელი ადამიანთა შორის ძმობისა, და ასეთად რჩება დღემდე.

ბ. ბელინსკი

მეოცნებენი ქმნიდნენ რელიგიას, უვიცებსა და ბრიყვებს სწამდათ იგი, ხოლო მატყუარები მას მხარს უჭერდნენ...

ყველაზე დიდი ცრუმორწმუნეობის ეპოქები ყოველთვის ის ეპოქები იყო, როდესაც ყველაზე საშინელი დანაშაულებანი ხდებოდა.

ვოლტერი

სიკვდილის დღე

ღვთის ნებითა და სახელით

(მხოლოდ ფაქტები)

1499 წელს ესპანეთში ქრისტიანებმა დაწვეს მაჰმადიანთა 80.000 „საღვთო წიგნი“ — ყურანი, 1490 წელს — 70.000 ებრაული ბიბლია.

პარიზში 1572 წლის 24 აგვისტოს „ბართლომეს ღამეს“ კათოლიკებმა ამოოლიტეს 2000 ჰუგენოტი, ხოლო მთელს საფრანგეთში — 30.000 კაცი.

1492 წელს დიდი ინკვიზიტორის ტორკვემადას ბრძანებით ესპანეთიდან განდევნეს 800.000 ებრაელი, ბევრი ებრაელი უსასტიკესი წამებით დასაჯეს.

ინკვიზიციამ მთელს ევროპაში გაულიტა რამდენიმე ათეული მილიონი სრულიად უდანაშაულო ადამიანი. მარტო კოცონზე დაწვა და წყალში დაახრჩო 9 მილიონზე მეტი კაცი, ორჯერ მეტი კი მიწისქვეშა საპატიმროებში ჩაალპო.

მარტო ტორკვემადამ, როგორც გადმოგვცემენ, პირადად დაწვა 10.220 კაცი.

1546 წელს ჟენევაში (შვეიცარია) ერთბაშად დაწვეს 500 „კუდიანი“ ქალი.

1669 წელს სოფ. მორში (შვეიცარია) ინკვიზიციამ სამართალში მისცა 300 ბავშვი. 15 ბავშვი და 84 ქალი კოცონზე დაწვეს ვითომდა ეშმაკთან კავშირის დაჭერისათვის.

ვინ იყვნენ ეს ინკვიზიტორები და „ღვთის მოციქულნი“, რომლებიც ასე დაუნდობლად „წმენდდენ დედამიწას ცოდვილებისაგან“? როგორი იყო მათი ზნეობრივი სახე?

პაპი ალექსანდრე IV ბორჯიას საყვარლად ჰყავდა თავისი საყვარლის ორი ქალიშვილი.

პაპი ალექსანდრე VI თავის ვაჟთან ერთად საყვარლად ჰყავდა საკუთარი ქალიშვილი ლუკრეცია, ჰქონდა დიდი ბარამხანა .და თვლიდა, რომ მრუში იყო მხოლოდ ის, ვინც 28.000-ჯერ შესცოდებდა.

პაპი იულიუს II, რომელმაც სიცოცხლე მოუსწრაფა 200 ათას კაცს, დაიღუპა სიფილისისაგან.

პაპი ლევ X კარდინალებმა პაპად იმიტომ აირჩიეს, რომ სიფილისით იყო ავად და ფიქრობდნენ მალე ჩაძაღლდებოდა. 8 წლის მანძილზე მან გაფლანგა 140 მილიონი მანეთი.

პაპი იოან XII 2000 ცხენს ინახავდა და აჭმევდა მათ ფინიკებს ღვინით. მან მთელი საპაპო საროსკიპოდ გადააქცია, თვითონ კი დაიღუპა სხვის ცოლთან მრუშობის დროს.

ეკლესიის მსახურნი სასტიკად დევნიდნენ და სპობდნენ ყოველივე მოწინავისა და პროგრესულს.

მათ დიდი ინგლისელი მეცნიერი როჯერ ბეკონი 15 წელი აწამეს საპყრობილეში; 1572 წელს დაჭრავებული მკვლელების ხელით მოკლეს ფრანგი მათემატიკოსი პიერ რამუ; 1619 წელს ინკვიზიციამ კუდიანად გამოაცხადა, ენა მოსჭრა, ჩამოახრჩო და შემდეგ თავის წიგნებთან ერთად დაწვა იტალიელი მეცნიერი ვანინი.

3

გამოჩენილი მოაზროვნე თომას კამპანელა მათ 27 წლის მანძილზე ჰყავდათ ჩამწყვდეული ჯურღმულში; აწამეს და ცოცხლად დაწვეს დიდი მეცნიერი ჯორდანო ბრუნო; საპყრობილეში ჩააგდეს და აწამეს გალილეო გალილეი; ჯერ სიკვდილი მიუსაჯეს, მერე კი „ცოდვების მოსანანიებლად“ იერუსალიმში გადაასახლეს ანატომიის მამამთავარი ექიმი ანდრია ვერზალიუ; სასტიკად სდევნიდნენ წიგნის საბეჭდი მანქანის გამომგონებელს გუტენბერგს, მის მიმდევარს ესტიენ დოლეს კი 1546 წლის 8 აგვისტოს საშინელი წამების შემდეგ ენა მოსჭრეს, პარიზში მოპერის მოედანზე ჩამოახრჩეს და დაწვეს. იმას კი, ვინც ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიის უმდიდრესი ბიბლიოთეკა დაწვა, ეპისკოპოსის ხარისხი უბოძეს.

როცა პაპმა პიი XI შეიტყო იტალიელი ფაშისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ამბავი, შვებით ამოისუნთქა:

— მრავალი თვის შემდეგ დღეს პირველად მეძინა მშვიდად, — უთხრა მან ერთ-ერთ თავის კარდინალს.

როცა 1933 წელს ჰიტლერელები ხათავრში მოექცნენ გერმანიას, ვატიკანი აღტაცებული მოესალმა მათ.

ეკლესიის მსახურთა ლოცვა-კურთხევით ფაშისტებმა 10-12 წლის მანძილზე გაულიტეს ათეულ მილიონობით ადამიანი, მათ შორის 6 მილიონი ებრაელი, რომელთა ჯალათი ადოლფ ეიხმანი 1960 წელს დაპატიმრებამდე იმალებოდა ვატიკანის მიერ გაცემული ყალბი პასპორტით.

და როცა საბჭოთა არმიის ძლევამოსილი დარტყმებით ნგრევა იწყო ჰიტლერულმა „მესამე რეიხმა“, მის საშველად ვატიკანის ყვითელ კედლებიდან გამოფრინდნენ მშვიდობის მტრედები — პაპი ემუდარებოდა ანტიჰიტლერული კოალიციის ხალხებს: „არ გადაუხადონ უსამართლობისათვის უსამართლობით... არ ისარგებლონ სამხედრო უპირატესობით... აპატიონ ქრისტიანული მოწყალებისათვის უგვანო ყაჩაღს“ ე. ი. ჰიტლერს.

ახლა კი „წმიდა ტახტი“ მეურვეობას უწევს ამერიკელ, დასავლეთ გერმანელ, ესპანელ ომის გამჩაღებლებსა და მათ ავანჩავანებს (სურათები 4-5). ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში 22 არქიეპისკოპოსია, 136 ეპისკოპოსი და 40 ათასი მღვდელი; ესპანეთში — 50 ათასი მღვდელი, 50 ათასი ბერი და 15 ათასი მონაზონი, იტალიაში — 70 ათასი მღვდელი და 400 ათასი ბერ-მონაზონი.

ინგლისის ეკლესიის მეთაური არქიეპისკოპოსი ფიშერი თავგამოდებით ქადაგებს ახალი ომის გაჩაღებას და ხმისჩახლეჩამდე გაჰყვირის: „ატომური ბომბი ცუდი არ არის თავისი ბუნებით“.

ამერიკული იმპერიალიზმის სულიერი მამა კარდინალი სპელმანი, ის კარდინალი სპელმანი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ხოტბას ასხამდა ჰიტლერს და მარჯვენას ულოცავდა კორეელი ხალხის სისხლში შეღებილ ამერიკელ ბობის, სასოებით შენიშნავს:

„სამყარო შექმნილია სიკვდილისათვის“.



4

„სულმოფენის“ მოლოდინში

თანამედროვე მეცნიერების ფანტასტიკური განვითარების ეპოქაში, ატომგულის დაშლისა და კოსმიურ სამყაროში ადამიანის შეჭრის ხანაში რელიგიური ცრურწმენები მეტად უაზროდ და უსუსურად გამოიყურება.

ღვთისმოსავი მამები ვერ აქარწყლებენ მეცნიერების ვერც ერთ ბრალდებას, ვერ ამართლებენ ეკლესიის მსახურთა ბარბაროსობის ვერც ერთ აქტს, ბარბაროსობისა, რომელსაც მარტო ევროპაში 12 მილიონი კაცის სიცოცხლე შეეწირა. ჩვენ პასუხისმგებლები არ ვართ ინკვიზიტორების დანაშაულებრივ მოქმედებაზე, — აცხადებენ „წმინდა მამები“. მღვდელ ვ. ჭოგოფისადმი მიწერილ წერილში ა. ბებელი აღნიშნავდა: „თქვენ ამბობთ, რომ არ შეიძლება დავადანაშაულოთ რელიგია ეკლესიის ცალკეულ მსახურთა მოქმედებისა და ქცევისათვის. ეჰ, პატივცემულო, კი მაგრამ თუ ეს ღვთისმსახურნი არა გამონაკლისის სახით, არამედ, როგორც წესი, დასაბამიდან დღემდე სრულებით არ აქცევენ უურადღებას რელიგიის ზნეობრივ ფორმებს და, პირიქით, ყოველდღე სცოდავენ მათ წინაშე, მაშინ რაღა ფასი აქვს ამ რელიგიას?“

მართლაცდა რა ფასი აქვს ღვთისმოსაობას, რომელიც ადამიანის სისხლითა და ცრემლითაა შეზავებული?

რელიგიური სექტის „ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ეკლესიის“ მიმდევრებმა ამას წინათ დუშეთის რაიონის სოფელ ძეგვის ერთ-ერთ გამოქვაბულში მხეცურად მოკლეს ამავე სექტის წევრი ვითომდა მისი სულის გაწმენდისათვის.

შეხედეთ ამ ნახევრად შიშველ, დამახინჯებულ ქალს. იგი რელიგიური სექტის „საჭურისების“ წევრი გახლავთ. რა უგუნურებამდე, რა ცხოველურ ფანატიზმამდე უნდა მიეყვანა იგი რელიგიური ცრურწმენებს, რომ ასეთი ბარბაროსული აქტი ჩაედინა საკუთარი თავის მიმართ? (სურათი 1)

ან რომელი მორალით, რა ზნეობრივი ნორმებით ხელმძღვანელობენ ორმოცდაათიანელთა სექტის მესვეურები, როცა ასეთ მძიმე ფიზიკურ და მორალურ ტრავმას აყენებენ მორწმუნეებს? (სურათი 2)

„სულმოფენის მოლოდინში“ ექსტაზში შესული სექტანტები ტირიან, კვნიან, ხოხავენ მიწაზე, სკამებსა და იატაკს ახლიან თავს (სურათი 3). ყოფილი სექტანტი ნიკოლოზ გამრეკელი ასე აგვიწერს ორმოცდაათიანელების ლოცვის შემზარავ სურათს: „მე კარგად მახსოვს მათი სახეები. თვალდახუჭულნი სულმოუთქმელად ლაპარაკობდნენ უაზრო „უცხო ენაზე“, ხელებს იქნევდნენ, იგრიხებოდნენ, აკეთებდნენ რაღაც არაადამიანურ მოძრაობებს, გაჰკიოდნენ.

ხშირია შემთხვევა, როცა სექტის წევრები ფიზიკურად ავადდებიან და „ღვთაებრივად სულმოფენილნი“ საავადმყოფოებში ხვდებიან.

და ყოველი ეს ხდება მეოცე საუკუნეში, მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი აყვავების პერიოდში, როცა ადამიანი სულ უფრო თამამად ევლინება მთელს სამყაროს, როგორც მისი მპყრობელი და მბრძანებელი.

უფრო დიდი უაზრობის წარმოდგენა შეუძლებელია.

რელიგიური გადმონაშთების შესახებ

ჩვენს ქვეყანაში რელიგიური გადმონაშთების არსებობის მთავარი მიზეზი ზოგადი კანონზომიერებით — საზოგადოებრივი ყოფიერებისგან საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამორჩენით აიხსნება. რელიგია სხვა იდეოლოგიურ ფორმებთან შედარებით განსაკუთრებით კონსერვატიული და მდგრადია. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ რელიგია ათეული საუკუნეების განმავლობაში ინერგებოდა ადამიანთა შეგნებაში, არამედ თვით რელიგიური კულტისა და წეს-ჩვეულებების თავისებურებებით, ჩვეულებების, რომელნიც, როგორც ხალხშია ნათქვამი, ხშირად „რჯულზე უმტკიცესია“.

სოციალიზმის აშენების შედეგად ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს რელიგიის სოციალური ფესვები, მაგრამ კომუნისტური ფორმაციის განვითარების პირველ ფაზაზე ჯერ კიდევ ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, რომელნიც ხელს უშლიან რელიგიური გადმონაშთების სრულ ლიკვიდაციას.

ავიღოთ თუნდაც ბუნების სტიქიური ძალების გამანადგურებელი მოქმედება ადამიანთა სიცოცხლესა და მათ საქმიანობაზე. მართალია, ადამიანმა უდიდესი გამარჯვება მოიპოვა ბუნებაზე და ამჟამად კოსმიური სივრცეების დაპყრობის ეპოქაში, იგი ბატონობს მის ძალებზე, მაინც არის შემთხვევები, როცა ეს ძალები „ამბოხდებიან“ და მიწისძვრების, გვალვების, წყალდიდობებისა და სხვა სტიქიური უბედურების სახით ჯერ კიდევ გავლენას ახდენენ ადამიანთა შეგნებაზე.

ეკლესიის ნაკლი

რა თქმა უნდა, ამჯერად ადამიანის დამოკიდებულებას ბუნების ძალებზე ვერ ჩავთვლით რელიგიური გადმონაშთების შემორჩენის ძირითად მიზეზად, მაგრამ უდავოა, რომ სტიქიური უბედურებანი ხელს უწყობენ რელიგიური გრძნობებისა და ფანატიზმის გაღვივებას.

ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს განსხვავება ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის. ეს განსხვავება ცხოვრების სხვა სფეროებთან ერთად რელიგიის საკითხშიც ვლინდება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რელიგიური გადმონაშთები უმთავრესად შემორჩენილია მოსახლეობის გაუნათლებელ ნაწილში.

რელიგიის მდგრადობისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის აგრეთვე მრავალი ქალის მიჯაჭვულობა დამაჩლუნგებელ, ერთფეროვან, მეშჩანურ ოჯახურ ყოფასთან, რაც ძალიან ხშირად მათ ჩვენი იდეოლოგიის გავლენის გარეშე სტოვებს. ამიტომაა, რომ ჩვენს ქვეყანაში მორწმუნეთა უმრავლესობა სწორედ ქალებია.

საბჭოთა საზოგადოებაში რელიგიური გადმონაშთების არსებობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის გავლენა წარმოადგენს. იმპერიალიზმის იდეოლოგიური ზეგავლენის არსენალში რელიგიას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. სწორედ ასეთი დანიშნულებისაა ბრუკლინის (აშშ) „იეღოველთა“ სექტის ცენტრი, რომელსაც უძლიერესი რადიოსადგური, საავიტაციო ავტომანქანები და რამდენიმე ასეული პროპაგანდისტი ემსახურება. ბრუკლინში მსოფლიოს 80-მდე ენაზე მილიონიანი ტირაჟებით გამოდის რელიგიურ-პროპაგანდისტული ლიტერატურა, გამოდის ჟურნალი „ბაშნია სტრაჟი“ („გუშაგის კოშკი“), რომელიც 16 ენაზე, მათ შორის რუსულსა და უკრაინულზე, იბეჭდება. ბრუკლინის ცენტრის მესვეურები თავგამოდებით ცდილობენ თავიანთი ლიტერატურისა და ხმის შეწვდენას სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. ამას ზოგჯერ ახერხებენ კიდეც ჩვენში არსებული სექტების მეოხებით. ისინი მოუწოდებენ სექტის მომდევრებს არ დაემორჩილონ საბჭოთა ხელისუფლების კანონებს, უარი თქვან საბჭოთა დაწესებულებებსა და საბჭოთა არმიაში სამსახურზე, არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და ა. შ. „იეღოვისტები“ თესენ სიძულვილს კომუნისტური პარტიის, კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციის მიმართ. გამოდიან რა მშვიდობის კეთილშობილური იდეების წინააღმდეგ, ისინი ქადაგებენ „წმინდა ომის“ — „არმაგედონის“ — აუცილებლობას.

ჩვენს საზოგადოებაში რელიგიური გადმონაშთების მდგრადობის ხელის შემწყობ ობიექტურ ფაქტორთა რიცხვს ეკუთვნის რელიგიის გნოსეოლოგიური ფესვებიც.

გნოსეოლოგიური ფესვების პრობლემა რთული პრობლემაა. იგი ადამიანის მიერ ობიექტური სამყაროს ასახვის რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესთან, სამყაროს შემეცნებასთან არის დაკავშირებული. ადამიანის მიერ ობიექტური სინამდვილის ასახვა ხორციელდება ცნებების საშუალებით სპეციფიურ სუბიექტურ ფორმებში, რომლებიც ადამიანის შეგნების თვისებას წარმოადგენენ. ასე რომ ადამიანის შემეცნება ყოველთვის ორ მხარეს შეიცავს: ობიექტურს, დაკავშირებულს მასთან, რის ასახვაც ხდება, ანუ ასახვის ობიექტთან, და სუბიექტურს, რომელიც ადამიანის შეგნების მოქმედებასთან, ადამიანის აზროვნებასთან, ასახვის ფორმასთან არის დაკავშირებული. ყოველ „განზოგადებაში“, ყოველ ცნებაში კი, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, „არის ფანტაზიის გარკვეული ნაწილი“. ამიტომ ცნებების საშუალებით ობიექტური სამყაროს ასახვა ყოველთვის შეიცავს „ფანტაზიის ცხოვრებიდან მოშორების შესაძლებლობას; კიდევ მეტი: აბსტრაქტული ცნების, იდეის ფანტაზიაში (საბოლოო ჯამში — ღმერთში) გარდაქმნის შესაძლებლობას (ამასთანავე ადამიანისათვის შეუმჩნეველ, შეუცნობად გარდაქმნის)“.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი ცნება, განზოგადება, აბსტრაქცია წარმოადგენს ადამიანის გონების ნებისმიერ ლოგიკურ კონსტრუქციას, რომელსაც არაფერი შეეტყვისება ადამიანის გარემომცველ სამყაროში. პირიქით, სწორედ ცნების საშუალებით ახერხებს ადამიანი ობიექტური სინამდვილის საგნების ზოგადისა და არსებითის დაჭერას, რაც მას სამყაროს მოვლენათა უფრო ღრმა და სრული შემეცნების საშუალებას აძლევს. მხოლოდ ცნებების საშუალებით შეიძლება საგანთა სპეციფიური შინაგანი შინაარსის, მათი განმასხვავებელი ნიშნების ასახვა.

შემეცნების სწორედ ამ სუბიექტური მხარის მოწყვეტას ობიექტურიდან, შემეცნების სუბიექტური მხარის გაამბსოლუტებასა და გაბერვას მივყავართ იდეალიზმამდე და საბოლოო ჯამში რელიგიამდე.

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში რელიგიური ცრურწმენების შემონახვის ახსნა მხოლოდ ობიექტური ფაქტორებით არ იქნებოდა სწორი. რელიგიური გადმონაშთები ჩვენს ქვეყანაში უბრალოდ არ არსებობენ, მათ აქტიურად ნერგავენ და ამტკიცებენ ეკლესიის მსახურნი და სექტანტები, ამიტომ საბჭოთა კავშირში რელიგიური გადმონაშთების მდგრადობისა და გამოცოცხლების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის ნაკლოვანებები და შეცდომები, რომლებსაც ადგილი აქვთ მშრომელთა მეცნიერულ-ათეისტურ აღზრდაში.

სკკპ XXII ყრილობაზე მიღებულ ისტორიულ პროგრამაში ნათქვამია: „საჭიროა სისტემატურად ვეწეოდეთ ფართო მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას, მოთმინებით განვმარტავდეთ რელიგიურ რწმენათა უსაფუძვლობას, რომლებიც წარსულში წარმოიშვა იმ ნიადაგზე, რომ ადამიანები დაბეჩავებულნი იყვნენ ბუნების სტიქიური ძალებით და სოციალური ჩაგვრით, არ იცოდნენ ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების ჭეშმარიტი მიზეზები. ამასთან უნდა დავეყრდნოთ თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს, რომელიც სულ უფრო სრულად გადაგვაშლის სამყაროს სურათს, ზრდის ადამიანის ბატონობას ბუნებაზე და ადგილს არ უტოვებს რელიგიის ფანტასტიკურ ჩმახვას ზებუნებრივი ძალების შესახებ“.

ზ. ფორაქიშვილი



ინათა. ვანო გელაშვილმა ოდის კარი გამოაღო და აივანზე გავიდა.

ეს ზამთარს შეესწრო თოვლივით გათეთრებული პაპა, ასი კეკლუცი გაზაფხული და ასი პურადი შემოდგომა ნახა. წლევანდელი ზამთრის სუსხიანმა დილამ ახალი სიხარული და ბედნიერება მოუტანა ბერიკაცს.

მოუსვენრად დაფუსფუსებს პაპა ვანო აივანზე და თან შვილების, შვილიშვილებისა და შვილთა შვილიშვილების სახელებს ითვლის, ითვლის და, ცოდვა გამხელილი სჯობია, ყველას სახელი მაშინვე როდი ახსენდება.

სურამის უღელტეხილიდან ამოწვერილი ზამთრის მიმქრალი მზე ნელ-ნელა მაღლდება ჩხერიმელას მთაზე და ღიმილით დასცქერის სერებზე შეფენილ ფერებსა და ბაღჩა-ბაღებს, არწივის ბუდეებივით მიმოფანტულ კოპწია ოდასახლებს.

აი ეს სამი, ერთმანეთზე უკეთესი ოდები ვანო გელაშვილის ნაშიერებს ეკუთვნით. ზოგ-ზოგის წაბაძვით გაყრა-გაყოფაზე როდი დაუჭერიათ თვალი მის შვილებსა და შვილიშვილებს. მამისეული კერის ირგვლივ დაიბუდეს მათ, მამისეული კერის ირგვლივ გააჩაღეს ჩაუმქრალი კერია.

ამაყობს ვანო გელაშვილი თავისი ფუძემყარი ქართული ოჯახით, ამაყობს, რომ ერთ დროს შიშველ-ტიტველი ყმა და ბოგანო, ბედნიერი ცხოვრების გაზაფხულს ეზიარა, რომ მის მკერდზე უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი ბრწყინავს.

ამაყობს ბედნიერი კაცი ვანო გელაშვილი, რომ მის უფროს ვაჟიშვილს ლადოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭეს, რომ მომდევნო ვაჟიშვილს დავითს, შვილიშვილ ვაჟას, რძლებს მარგალიტასა და სონიას საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები უმშვენებთ მკერდს...

ზესტაფონის რაიონის სოფელ ლაშის კოლმეურნეები სიხარულით ულოცავენ ბერიკაცს ოჯახის ოცდამეთორმეტე წევრის შეძენას.

საპასუხოდ კეთილად იღიმება ბაბუა ვანო, იღიმება და ფიქრებში წასული ამბობს სათქმელს:

— ბედნიერი ცხოვრება დაუდგა მშრომელ ხალხს, ყოველ დღეს ახალი სიტკბო და სიხარული მოაქვს, ჰოდა, ყველამ ვიმრავლოთ და ვიდღეგრძელოთ, ჩემო ძვირფასო შვილებო!..

ეფექტი ოჯახი

ტექსტი და ფოტო ი. ტერელაძისა

„მისმინე, ძმაო სალიერი, როცა ნისლივით შავი ფიქრი შემოგესიოს, გახსენი ბოთლი უდარდელი შამპანიურის ან და „ფიგაროს ქორწინება“ გადაიკითხე“.

ა. პუშკინი, „მოცარტი და სალიერი“.

ვედიხართ ნევროპათოლოგთან.

უბალისოდ შესჩივით, რომ გადაღლილი ხართ, ყველაფერი მოგბეზრდათ, ნერვები აღარ გივარგათ, რომ გულს „გრძნობთ“ და ღვიძლიც გაწუხებთ.

— უნდა დაისვენოთ, გეთაყვა, — გირჩევთ ექიმი, — რეგულარულად უნდა იკვებოთ და უეჭველად უნდა მიიღოთ ყოველდღიური ბიბლიოთერაპია.

დიახ, თქვენ სწორედ გაიგეთ, წიგნი ზოგჯერ შეუდარებელი მკურნალია. ჯერ კიდევ XVII საუკუნის ცნობილი ინგლისელი ექიმი საიდენჰემი ხშირად „უწერდა“ ავადმყოფს იმ დროის ყველაზე მხიარულ და გავრცელებულ წიგნს — სერვანტესის „დონ-კიხოტს“. მან მშვენივრად იცოდა, რომ კარგი განწყობილება კეთილ გავლენას ახდენდა ავადმყოფზე.

ცუდ განწყობილებას შეუძლია ადამიანი დააავადოს. ასე „ავადდებიან“ მარტოობით, მოწყენილობით, გაღიზიანებით. გუნებაწამხდარ კაცს ეკარგება გარემოსადმი ინტერესი, ცუდად სძინავს, ცუდად ჭამს, უსიამოვნო ფიქრები იპყრობს. ასეთ დროს განსაკუთრებულ სამკურნალო ძალას ავლენს წიგნი. იგი ავადმყოფის უურადღებას აშორებს უსიამოვნო ფიქრებსა და განცდებს, უუმჯობესებს განწყობილებას, უვსებს იძულებითი უსაქმობის საათებს „დადებითი“ ემოციებით.

ამ ემოციების მძლავრი გავლენა ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ ფუნქციებზე ახლა არავის ეჭვს არ იწვევს. ჩვენს მიერ განცდილი რისხვა და ტკივილი, შიში და სიხარული — ეს ერთმანეთისაგან განსხვავებული სხვადასხვა ემოციური მდგომარეობა, მეტად რთულია და მათი გამოვლინებისათვის მონაწილეობას იღებს მთელი ნერვიული სისტემა.

ი. პავლოვის მეთოდით პირობითი რეფლექსების შესწავლის შემდეგ ფიზიოლოგებმა დაადგინეს, რომ გარედან მიღებული გაღიზიანება, რომელიც ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქში აღგზნებას იწვევს, ქერქქვეშა ვეგეტატიური ნერვიული ცენტროების საშუალებით სწრაფად ვრცელდება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებზე და, მაშასადამე, ყველა შინაგან ორგანოზეც, საიდანაც ტვინის ქერქში საპასუხო სიგნალები იგზავნება.

ასე რომ, თავის ტვინის ქერქის მდგომარეობა ანუ ჩვენი ფიქრები, განწყობილებები და გრძნობები პირდაპირაა დაკავშირებული შინაგანი ორგანოების მოქმედებასთან.

საკმარისია, კაცმა უსიამოვნო ამბავი შეიტყოს, რომ მას მაშინვე ეკარგება მადა, ემატება სისხლის წნევა, ეწყება ტკივილები გულის არეში. ზოგჯერ უეცარ ამბავს შეუძლია შუახნის არცთუ ისე ჯანმრთელი კაცი გულის ინფარქტამდეც მიიყვანოს. ასეთი ინფარქტი სხვა არა არის რა, თუ არა შინაგანი ორგანოების რეაქცია გარეშე გამაღიზიანებელზე ანუ ფსიქიური ტრავმის საპასუხოდ მიღებული გულ-სისხლ ძარღვთა სპაზმი.

„პირობითი“ გამაღიზიანებლებს შორის რომლებიც ადამიანში სხვადასხვა ემოციურ რეაქციებს იწვევენ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვას. სიტყვა ზოგჯერ უფრო ღრმა ცვლილებებს იწვევს ორგანიზმში, ვიდრე რომელიმე ფიზიკური ზემოქმედება. შემთხვევითი არაა, რომ ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ სპარსული მედიცინა მკურნალობის სამ ძირითად მეთოდიდან — „სიტყვით, მცენარით და დანით მკურნალობიდან“ — პირველსა და მთავარ როლს სიტყვას ანიჭებდა.

ბიბლიოთერაპიაც სწორედ სიტყვის მეოხებით ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების მოხდენის ერთ-ერთი რთული ფორმაა.

მაშასადამე, თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ წიგნები ჭკურნავენ ადამიანებს.

მაგრამ ყველა წიგნის წაკითხვა როდია ავადმყოფისთვის სასარგებლო. ეჭვით შეპყრობილმა ავადმყოფმა, რომელიც დღენიადაგ თავის მდგომარეობაზე ფიქრობს, არც უნდა წაიკითხოს ზოგიერთი სამედიცინო წიგნი. ასეთ ლიტერატურას სარგებლობის მაგივრად შეუძლია ზიანი მიაყენოს ავადმყოფს, გამოიწვიოს მასში „ბიბლიოგენური“ ნევროზები, ანუ ამა თუ იმ სენით დაავადების, განუკურნებლობისა და სიკვდილის აკვიატებული შიში.

წიგნი უნდა შეირჩეს პიროვნების გონებრივი განვითარების, გემოვნების, განწყობილებისა და მდგომარეობის მიხედვით. ავადმყოფობის დროს საჭიროა ისეთი წიგნების ან ჟურნალების კითხვა, რომლებიც ადამიანში „დადებით“ ემოციებს იწვევენ. რა თქმა უნდა, არ შეიძლება კატეგორიულად ითქვას: „გრიპის დროს წაიკითხეთ ტოლსტოი, ინფარქტის დროს კი — ილფი“.

ბევრი ავადმყოფის აღიარებით, წიგნი მათთვის გამოჯანსაღების უდიდესი სტიმულატორი ყოფილა. გიხსენეთ, რა უებრო „წამლობა“ გაუწევია ადამიანებისათვის ნიკოლოზ ოსტროვსკის, ჯეკ ლონდონის, ბორის პოლევოის ნაწარმოებებს. ისინი სიმხნეევეს უნერგავდნენ მათ, მატებდნენ ძალას სნეულების დასაძლევად. ვ. ი. ლენინი ავადმყოფობის დროს ხშირად თხოვდა ნ. კ. კრუპსკაიას ჯეკ ლონდონის მოთხრობის „სიცოცხლის სიყვარულის“ წაკითხვას.

მაგრამ წიგნი ყველაზე უფრო მაინც ბავშვებს სჭირდებათ. აბა შეხედეთ, როგორი ყურადღებითა და ინტერესით ისმენს ავადმყოფი ბავშვი ზღაპრებს. იგი აღარ ტირის, ავიწყდება ყელის ტკივილი ან გასიებული ჯირკვლები. სამწუხაროდ, ჩვენს ბავშვთა საავადმყოფოებსა და სანატორიუმებში ჯეროვნად არ აფასებენ მკურნალობის ამ მეთოდს. ექთანი მარტო წამლებს კი არ უნდა ურიგებდეს ბავშვებს, არამედ უნდა ართობდეს კიდეც მათ, კარგად, გამოთქმით უკითხავდეს საინტერესო წიგნს.

ბიბლიოთეკის შექმნა საავადმყოფოში, სანატორიუმსა თუ კლინიკაში არა ნაკლებ საჭიროა, ვიდრე, ვთქვათ, რენდგენის კაბინეტის მოწყობა. სამწუხაროდ, სამედიცინო საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტების მუშაკებს დღემდე არ მოუთითებიათ მკურნალ ექიმებისათვის, თუ რომელი ნაწარმოებების გამოყენება შეიძლება „წამლად“.

ეს კი მეტად მნიშვნელოვანი საქმეა.

ი. ფიშინა, ვ. ლევი.
ექიმები.

ქართველ ოპერა

ქართველ მკითხველს ახლახან მივაწოდეთ წიგნი, რომელშიც საქართველოს საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის ფონზე მოთხრობილია საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ ხელოვანთა, კერძოდ, მომღერალთა შესახებაც. მაშინ საკმაო მასალის უქონლობის გამო შრომაში არაფერი გვითქვამს იტალიაში თავის დროზე მომღერალსა და ამჟამად სიმღერისა და სცენური ხელოვნების მასწავლებელ სონია დუმბაძეზე. იგი, უეჭველად ყურადღების და სათანადო დფასების ღირსია, რადგან ამჟამადაც ნაყოფიერ შემოქმედებით პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა მილანში.

სონია დუმბაძემ მშობლიური და რუსული ვოკალური ხელოვნების დაუფლების გარდა ზედმიწევნით შეისწავლა იტალიური ენა და სიმღერის მანერა, უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები და წარმატებით გამოდიოდა იტალიის საოპერო და სა-

ოჯახში მეუღლესთან.

კონცერტო სცენებზე. ხანდაზმულობის მიუხედავად, სონია დუმბაძის სიმღერაში დღესაც მოჩანს იტალიური სკოლის შუქმფენი ტრადიციები და დიდი ხელოვანის ოსტატობა. საოჯახო მაგნეტოფონზე ჩაწერილ იტალიურ, რუსულ და ქართულ სიმღერებში, რომლებიც მილანიდან მივიღეთ, სონია დუმბაძის საშემსრულებლო ოსტატობა ტექნიკური მეზობლებით თუმცა ოდნავ დაჩრდილულია, მაგრამ ოდესღაც სიკეთით მადლმოსილი ვოკალური შესაძლებლობა აშკარად ჩანს.

ჩვენს მიერ მილანელ ტუვედ მონათლული სონია დუმბაძე დაიბადა 1904 წელს სოფელ შემოქმედში, მუსიკალური ტრადიციებით განთქმულ და გამოჩენილ ქართველ მგალობელ-მომღერლის დავით ანტონის ძე დუმბაძის ოჯახში. მშობლებისაგან სონიას ბავშვობაში ხშირად სმენია ქართული ხალხური მუსიკის საამო ჰანგი, მოგუგუნე საგალობლები და ტკბილი ძილისპირული. ბუნებრივ მემკვიდრეობით სმენასთან ერთად ის დაჯილდოებული იყო აგრეთვე მოწკრიალე ხმით. რადგან ქუთაისის წმიდა ნინოს სასწავლებელში ჩინებული სიმღერითაც გამოიჩინა თავი, მშობლებმა ხელი შეუწყვეს ნიჭიერი ქალიშვილის მუსიკალურ განათლებას. სონიამ გაამართლა იმედები. 1920 წელს მისაღები გამოცდები ჩაბარა თბილისის კონსერვატორიაში და მეცადინეობას შეუდგა პედაგოგ ანა ჯაუელის ვოკალურ კლასში.

მოკლე ხნის შემდეგ კონსერვატორიის პროფესორმა თვრამეტი-ცხრამეტი წლის ქალიშვილში საიმედო მომავლის მომღერალი შენიშნა და უმაღლესი ვოკალური განათლების მისაღებად მილანს მიავლინა. იქ სონია დუმბაძე ჯერ თავის ყოფილ მასწავლებელ ჯაუელთან მეცადინეობდა, შემდეგ კი ცნობილ



სკონიამილიოს შვილ ვანცოსთან და რუს პიანისტ ხლებნიკოვთან. შემდეგ სიგმა დე გრახისთან მუშაობდა და მათ ერთად შექმნეს სიმღერის შესანიშნავი სკოლა. თავდაპირველად, როდესაც უსტაპენდიოდ ძლიერ გაუჭირდა, მეცადინეობა მიატოვა და იტალიურს ასწავლიდა საბჭოთა მოქალაქეებსა და სტუდენტებს. სხვადასხვა მიზეზების გამო ვოკალურ სფეროში მუშაობის ნებას არ აძლევდნენ; კოსმეტიკა შეისწავლა და თავს ისე ირჩენდა. სონია დუმბაძე გვატყობინებს: „რამდენი ვიშიმშილე და რამდენი ვიტანჯე, რომ მიმეღწია მიზნისთვის! ცხოვრებაში ბედმა არ გამიღიმა... აი, ცხოვრობენ სტუდენტები აქ და სწავლობენ, მე კი შიმშილით ვკვდებოდი".

მეუღლე ჯოვანო ბონოს ხელშეწყობით დიდი ხნის შეწყვეტილი სწავლა სონია დუმბაძემ 1937 წელს დაასრულა. მიუხედავად ორი ოპერაციისა, წარმატებით გამოდიოდა საოპერო და საესტრადო სცენებზე. მას იწვევდნენ მილანის საბჭოთა საკონსულოში გამართულ ოქტომბრის რევოლუციის წლისთავებისადმი მიძღვნილ საღამო-კონცერტებზეც. მწვავე კონკურენციამ და გულის საშინელმა ტკივილებმა მიატოვებინა არტისტული კარიერა. „რაც ჩემს სიცოცხლეში ვიტირე,—გვწერს იგი,—არ ვიცი კიდევ როგორ შემრჩა ხმა. ბევრი ტანჯვა გამოვიარე... მაგრამ ჩემს მიზანს მაინც მივაღწიე და თუ ღმერთმა ჯანმრთელობა მომცა, შევეცდები უველას დავუმტკიცო ჩემი ხელოვნება".

შრომისმოყვარე სონია დუმბაძემ, მართალია, საოპერო და საესტრადო სცენა ძალაუნებურად დათმო, მაგრამ როგორც კი ომი დამთავრდა, პედაგოგიურ სარბიელზე გამოვიდა და იტალიას ბევრი სასახელო მომღერალი შესძინა, პირველ რიგში ცნობილი სოპრანო რინა კეკი, რომელიც დიდი წარმატებით მღეროდა იტალიაში, ვენაში, ზალცბურგში, ბერნში, პარიზში, ნიუ-კასტლში, ბაზელში, დიუონში, მონაკოსა და ფრანკფურტში. სონია დუმბაძის გაზრდილი სოპრანო ჰაუზერი მრავალ ქვეყანაში მართავდა კონცერტებს, ხოლო ცნობილი ბარიტონი ოსკარ სკოლიონი დიდად უმადლის უცხოელ გამზრდელს იმ ტრიუმფალური გამარჯვებისთვის, რომელიც მან დასავლეთ ევროპის უდიდეს თეატრებში მოიპოვა. იგი მოღვაწეობდა აგრეთვე იტალიის რადიოსა და ტელეში, საფრანგეთისა და იტალია-შვეიცარიის რადიოში. ქართველი ოსტატის მიერ მომზადებული ბარიტონი ოსკარ სკოლიონი ამჟამად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა კოსტა-რიკის წმიდა ეოსეს კონსერვატორიაში. ბევრი, ძალზე ბევრი მომღერალი აღზრდია ჩვენს თანამემამულეს.

კამერული მუსიკის საერთაშორისო თეატრალური გაერთიანების დირექტორ ეფრემ კაზაგრანდეს მიერ გაცემულ მოწმობაში ნათქვამია: „ქალაქ მილანში მცხოვრები ქალბატონი სონია დუმბაძე არის სიმღერისა და სცენიური ხელოვნების მასწავლებელი. ამასთანავე იგი არის ღირსშესანიშნავი კონსულტანტი ლირიული სიმღერის ჩვენი ცენტრისა. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სხვადასხვა ეროვნების ბევრი ახალგაზრდა არტისტი, რომლებიც ამჟამად თეატრის პროფესიონალები გახდნენ, ან საესტრადო კონცერტებზე გამოდიან".

ხუთი წელია სონია დუმბაძემ მოიკითხა და მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოში.

აგნო თავისიანებს საქართველოში, გულთბილი მიმოწერა აქვს მათთან და დებისა და ახლობელი ნათესავების ხილვის სურვილმა შეიპყრო: მილანში უთვისტომოდ გამომწყვდეულ თავისუფალ ტუვეს მოენატრა მშობლიური მიწა, ხალხური სიმღერები, ძველი ქართული რომანსები. მოენატრა და იმღერა კიდეც ისე, რომ შიგ ჩააქსოვა ის სულიერი ტანჯვა, გრძნობა და სიყვარული, რომელიც მისი დუხჭირი ცხოვრების მკრთალი ანარეკლია.

საინტერესოა მცირე ამონაწერები მისი ალალმართალი წერილებიდან. „თქვენ ვერ წარმოიდგენთ, — იწერება იგი მილანიდან, — თუ რა ცუდია შორს ყოფნა... მე აქ კერძო მასწავლებელი ვარ და სულ ვოცნებობ, იმედიც მაქვს იმისა, რომ ჩემი ქვეყანისთვის ოდესმე სასარგებლო ვიქნები. კარგი პირობებიც რომ მქონდეს აქ, სიბერეს ვერ შეაჩერებს. მაგონდება, რა ახალგაზრდა ჩამოვედი და ახლა თუ მეღირსა ჩემს ძვირფას სამშობლოში ჩამოსვლა, მოხუცებული უნდა ჩამოვიდე. ვტირი და ვწუხვარ, მაგრამ სამშობლოს ჰაერმა შეიძლება განმკურნოს ყველა ავადმყოფობისაგან. აქ ძლიერ ძნელია ცხოვრება და როგორც კი გაუმჯობესდება, შევეცდები ჩვენს ძვირფას სამშობლოში ჩამოვიდე".

ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, სონია დუმბაძესაც ეღირება თუ არა ამჟამად თბილისის კონსერვატორიის მასწავლებელ ნინო ცერცვაძის მსგავსად სამშობლოს ხილვა, თუ იტალიაში ხანგრძლივად მოღვაწე ყოფილ კოლეგა ელენე თარხნიშვილის უიღბლო ბედს გაიზიარებს, მაგრამ ერთი რამ კი გვჯერა: ქართული ვოკალური კულტურის ჯერ დაუწერელ ისტორიაში მაინც აღიბეჭდება იმისი სახელი, ვინც თავის ხალხს, კულტურას, ნათესავებს ასე შეტრფის და შენატრის.

ამირან ცამციშვილი

მილანის სტუდიაში.



ჩემპიონატი დაიწყო ასე...

1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი დღეც გათენდა. შეხვედრა ავსტრიის ეროვნულ ნაკრებთან გვქონდა. მე კვლავ სათადარიგო სკამზე მოვხვდი. სხვა დროს, ალბათ, სიბრაზისაგან ავღრიალდებოდი. მამშვიდებდა, რომ პეპე, ზიტო და გარინჩაც ჩემს დღეში იყვნენ.

სათადარიგოებს ისღა დაგვრჩებოდა, ბრაზილიის გულშემატკივართა მცირე ჯგუფს მივმატებოდით... უქმად არც ჩვენ ვყოფილვართ.

ავსტრიელთა წინააღმდეგ ბრაზილიის ნაკრები ასე გამოიყურებოდა: ჟილმარი, დე სორდი, ნ. სანტოსი, დინო, ბელინი, ორლანდო, ჟოელი, დიდი, მაცოლა, დიდა, ზაგალო. მართლაც, დიდებული ანსამბლია, არა?! ცხადია, ავსტრიის ნაკრები ჩვენს ბიჭებს ვერ გაუძლებდა. მაგრამ დახეთ, პირველი ტაიმი იწურება და ჩვენებმა ვერ იქნა და ვერ გაარღვიეს ავსტრიელთა დაცვის კედელი. მხოლოდ უკანასკნელ წუთში შეძლო მაცოლამ ავსტრიელთა კარში პირველი ბურთის გატანა.

ჩვენი გულშემატკივრების პატარა წრემ ისე იღრიალა, მთელი სტადიონი დაფარა.

დაიწყო მეორე ტაიმი. ბრაზილიელთა მარცხენა მცველი ნილტონ სანტოსი წინ გაიჭრა და მეორე გოლი გაიტანა. მატჩის უკანასკნელ სეკუნდზე, როცა მსაჯი საფინალო სასტვენის მიცემას აპირებდა, ბრაზილიელებმა ანგარიში სამამდე გაზარდეს.

ჰინდლსში (ჰინდლსი პატარა დაბაა გეტებორგთან) დაბრუნებულები მხოლოდ პირველ გამარჯვებაზე ვსაუბრობდით. მწვრთნელი ვინსატე ფეოლა კმაყოფილი იყო. კმაყოფილი იყვნენ მაჩადო და დელეგაციის სხვა ხელმძღვანელებიც. საზეიმო განწყობილებას, სხვებთან ერთად, მეც ვიზიარებდი.

ჩვენს შემდეგ მოწინააღმდეგესთან — ინგლისის ეროვნულ ნაკრებთან — მატჩი ულევის სტადიონზე შედგა. მუხლი საგრძნობლად გამომიკეთდა. იმედი მომეცა.

— აი, ვის ეყოლება მაგარი დაცვა! — ამბობდნენ ჩვენი ბიჭები. სხვები უფრო ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი:

— საკმარისია ერთი გოლი და მერე ბრინჯივით დაიბნევიან ეგ თქვენი ინგლისელები! ოპტიმისტები მაინც უმცირესობას შეადგენდნენ. ბრაზილიელთა შორის ბევრი იცნობდა ინგლისელების თამაშს და ეჭვი არ ეპარებოდათ, ბრძოლა შეუპოვარი იქნებოდა. მხოლოდ ფეოლა იყო მშვიდად. მისი სიმშვიდე თანდათან ფეხბურთელებსაც გადაედო.

თამაშის წინ ყველანი კარგ გუნებაზე ვიყავით. საკუთარ შესაძლებლობებს არავინ აზვიადებდა, მაგრამ არც მოწინააღმდეგეს უფრთხოდნენ.

გულში იმედი მიჭიატებდა, მეგონა, ამ მატჩში მათამაშებდნენ. ყველას ვუმტკიცებდი, რომ თამაში შემეძლო. ექიმმა მითხრა: ამ მატჩში კიდევ არა, მაგრამ შემდეგში უეჭველად ითამაშებო. შემდეგში!... მე კი როგორ მინდოდა ინგლისელების წინააღმდეგ გამოსვლა. ვავა, რომელიც წინა თამაშზე სათადარიგო სკამზე იჯდა, ახლა დიდას ცვლიდა.

ჩვენი ზოგიერთი ხელმძღვანელი, ბრაზილიელი ჟურნალისტები და რამდენიმე ფეხბურთელიც, შეეცადნენ სხვა თამაშებს დასწრებოდნენ, უნდოდათ მოწინააღმდეგეზე წარმოდგენა ჰქონოდათ. მე სხვა მატჩებს ყურადღებას არ ვაქცევდი, მხოლოდ ბრაზილიის ნაკრების თამაში მაინტერესებდა. მოწინააღმდეგთა გაცნობით არც გარინჩა იწუხებდა თავს. რაკი სიტყვამ მოიტანა, მოგახსენებთ: გარინჩაზე გულდამშვიდებული კაცი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. ოთხი ბავშვის მამა თვითონაც ბავშვს გავდა (ამჟამად გარინჩა შვიდი შვილის მამაა. **რ ე დ ა ქ ც ი ა**).

ინგლისელებთან თამაში თავიდანვე გამწვავდა. ნათელი გახდა: მათთან ფონს იოლად ვერ გავიდოდით. ინგლისელები შეუპოვრად იცავდნენ საკუთარ კარს, მაგრამ, როგორც ბურთს დაეუფლებოდნენ, ჭრძელი გადაცემებით კონტრშეტევაზე გადადიოდნენ. ჩვენი თავდამსხმელები თავს არ იზოგავდნენ. პირველ ნახევარში „კობრები“ ჩინებულად თამაშობდნენ. ანგარიში მაინც ვერ გახსნეს. ყველას, ვისაც სათადარიგო სკამზე მოგვიწია ჯდომამ, მოთამაშეებზე ნაკლები დღე არ დაგვდგომია. ნერვიულობისაგან ვცმუტავდით და აღარ ვიცოდით რა გვექნა.

— ღმერთმა დასწყევლოს. ბურთი თითქოს კარს გაურბის!

— ნუთუ, ინგლისელები შეძლებენ თამაშში გარდატეხის შეტანას?

მატჩის მეორე ნახევარი ჩვენთვის ორმოცდახუთწუთიანი ტანჯვა-წამება გახდა. ფრე თითქოს ამ თამაშისათვის განგებას წინასწარ განესაზღვრა. და აი, — მსაჯის საფინალო სასტვენის ხმაც — 0:0. ბიჭებმა მგლოვიარეებივით დატოვეს მწვანე მოედანი. გააჩნდათ კიდეც ამის საბაბი. ფეოლა და მაჩადო არცთუ ისე უკმაყოფილონი ჩანდნენ. — მთელი მატჩის განმავლობაში ჩვენ უკეთ ვთამაშობდით, ვიდრე ინგლისელებიო, — განაცხადეს მათ. ასეც რომ არ ყოფილიყო, ცხვირის ჩამოშვების დრო სად გვქონდა. ვფიქრობდით, მომავალ მოწინააღმდეგეზე. წინ საბჭოთა კავშირის გუნდთან შეხვედრა გველოდა.

დიდი გამარჯვება

საბჭოთა ფეხბურთელებთან შეხვედრამდე სამი დღე დარჩა. მათ შესახებ ხმები დადიოდა, რომ ბრაზილიური ტაქტიკისათვის ისინი ყველაზე საშიში მოწინააღმდეგენი არიანო. ზოგიერთები იმასაც ამბობდნენ: მათ ჩვენი წვრთნაც და თამაშიც ფირზე გადაუღიათ და ახლა ბრაზილიური ფეხბურთის „მეცნიერულ ფორმულებს“ სწავლობენო. მე და ჩემს ბევრ ამხანაგს ეს ამბავი თითქმის გვსიამოვნებდა. ფეოლას

(გაგრძელება. იხ. № 1)

შვეიცარიაში პირველივე წვრთნის დროს შემაწუხა მტკივანმა მუხლმა.

— ექიმი გადაწყვეტს, დარჩები, თუ უკან მოგიწევს დაბრუნება!... — მითხრა მაჩადომ.

ექიმმა მუხლი გამისინჯა და იმედიანად განაცხადა:

— ეს ბიჭუნა თუ ნამდვილი ვაჟკაცია, მაშინ მუხლი რამდენიმე დღეში მოურჩება და თამაშსაც შეძლებს.

— მე ვაჟკაცი ვარ! არ დავაყოვნე პასუხი.

ყველას გაეცინა.

ამ დღიდან მკაცრი კონტროლის ქვეშ მოვხვდი. მარიო ამერიკო თბილ კომპრესებს მადებდა. ასეთივე პროცედურებს უტარებდნენ პეპესა და დიდის. ისინი იტალიაში დაშავდნენ.



— გაბედულად! — ჩვეულებისამებრ ომახიანად შესძახა ვავამ, როცა მსაჯმა თამაშის დაწყების ნიშანი მისცა.

ბრძოლა დაიწყო. ბურთი თამაშში რუსებმა შეიყვანეს. ბურთი მაშინვე გარინჩას ფეხებში აღმოჩნდა. ბრაზილიელთა გარემარბი პირდაპირ გადავიდა შეტევაზე და არტისტული დრიბლინგით ღრმად შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. ბეგონა გარინჩა ბურთს ცენტრში ჩამოაწოდებდა. მან მოსდენილი ფინტით გვერდი აუარა ერთ-ერთ დამცველს და მოწყვეტილად დაარტყა კარში. იაშინი ჰაერში გაფრინდა, მაგრამ ბურთს ვერ შესწვდა. — „გოლი!“ ის იყო უნდა მეყვირა, რომ სიტყვა ენაზე შემაცივდა: ბურთი ძელს მოხვდა და მოედანზე დაბრუნდა. თუ არ ვცდები, ისევ გარინჩამ დაარტყა. ბურთი ამჯერად აცდა კარს.

პირველ წუთებში მაყურებლებმა დაბნეულობა იგრძნეს რუსების დაცვაში. გარინჩა ქარივით დაქროდა მოედანზე. ჩვენ მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდით: რაც შეიძლება მალე გავიტანოთ გოლი!.. უცებ ბურთთან დავინახე დიდი. მან ჯერ მაიძულა ორ ნოთამაშეს შორის გაგჭრილიყავი და მერე ისე დამისვა ბურთი ფეხზე, თითქოს პოზიციაც და მანძილიც წინასწარ გამოთვალა. ბურთი წინ გავატარე და მთელი ძალით დავარტყი. იაშინის უზარმაზარი სხეული ისევ გაიჭიმა ჰაერში და სიტყვა „გოლი“ ისევ შემახმა ბაგეზე. ბურთი კვლავ ძელს მოხვდა. ამის ატანა აღარ შემეძლო. და სასოწარკვეთილმა დავიყვირე: ეშმაკმა წაიღოს!

დიდიმ ხმამაღლა გაიცინა: დაწყნარდი, ყმაწვილო! გოლი ახლავე იქნება.

მუხლმა ჩხვლეტა დამიწყო. ტკივილისთვის ვის ეცალა. ბურთი კვლავაც დიდიმ მიიღო. ბურთის მისაღებად მივემზადე. დიდიმ უფრო ხელსაყრელ პოზიციაში ვავა დალანდა... მილიმეტრებში გამოზომილი გადაცემა. ვავა ურტყამს. გოლია! მიწაზე გაშხლართული იაშინი ნაღვლიანი თვალებით შემოგვყურებს. გახარებულები ვავას შემოვეხვიეთ. ანგარიში 1:0 ტაიმის ბოლომდე არ შეცვლილა. მე მთელი დანარჩენი დროის განმავლობაში ვცდილობდი კარისაკენ გასაძრომი ხვრელი მეპოვა და ანგარიში გამეზარდა. ორჯერ ვერ გამოვიყენე ნაღდი შესაძლებლობა. ალბათ, სიზუსტეს მეტისმეტი მონდომება მაკარგვინებდა.

მეორე ნახევარში ჩვეული რიტმით ვთამაშობდით, მოწინააღმდეგეს ყოველი მხრიდან ვუტევდით. ჩვენი დაცვა საბჭოთა ფეხბურთელებს საშუალებას არ აძლევდა, შეტევა განვევითარებინათ. რუსების გიგანტ მეკარეს ამოსუნთქვის საშუალებას არ ვაძლევდით. თამაშის დრო იწურებოდა. დიდისაგან მეორედ მივიღე დაუჯერებელი სიზუსტით გათვლილი გადაცემა. შევამჩნიე: ვავას მოხერხებული პოზიცია ეკავა და ბურთი მას გავუჭერი. დარტყმა! ბურთი ბადეში გაეხვია. მიწაზე მჯდომარე იაშინმა თვალი გამოგვაყოლა. მე ვავასთან მივირბინე. უნდა გენახათ, რა ბედნიერი იყო იმ წუთში ბრაზილიელთა ცენტრფორვარდი.

საღამოს, როცა საზეიმო სადილის შემდეგ დასაძინებლად დავწექით, ვიგონებდი თამაშს და რიტრაჟამდე, ვერ იქნა და ვერ მოვსუბუქე თვალი.

დაუვიწყარი გოლი

პინდლსში ჩვენი ცხოვრების რიტმი არ დარღვეულა: წვრთნა, საექიმო შემოწმებები. მარიო ამერიკო გაუთავებლად ოხუნჯობდა ჩემზე, შინ დასაბრუნებლად რომ ვიყავი რამდენიმე დღის წინ გამზადებული. მე აღარა მიჭირდა რა, პეპე კი, სამწუხაროდ, ვერ განიკურნა იტალიაში მიღებული ტრავმისაგან. მაგრამ თუნდაც ჯანმრთელი, გუნდთან ველარ შეთამამდებოდა. სპეციალისტების აზრით, ფეოლას არ უნდა შეეცვალა ის შემადგენლობა, რომელიც საბჭოთა კავშირის გუნდის წინააღმდეგ გამოიყვანა. ეს შემადგენლობა ყველაზე ძლიერი და შეხმატკბილებული აღმოჩნდა. ფეოლა იძულებული გახდა თავდასხმაში მაინც შეეტანა კორექტივი, რადგან უკანასკნელ თამაშში ვავა დაშავდა.

მე ხშირად ვფიქრობდი იმ ფეხბურთელებზე, რომლებმაც ვერ იგემეს თამაშის სიხარული და გული შემტკიოდა მათზე. უეჭველია, ისინიც ძალზე განიცდიდნენ ამას, მაგრამ არც ერთ მათგანს კრინტი არ დაუძრავს, საყვედური არ დასცდენია. მაურო, მაგალითად, ბელინის დუბლი იყო (ეს ის მაუროა, ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიელებმა ცენტრალური მცველის პოსტი რომ მიანდვეს. **რ ე დ ა ქ ც ი ა**). მაურო შესანიშნავი ფეხბურთელია. ბევრი ამტკიცებს, იგი გუნდის კაპიტანსაც ჯობიაო. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი ფეხბურთელიც არ იმჩნევდა განაწყენებას. იგივე შეიძლება ითქვას მეკარე კასტილიოზეც.

(გაგრძელება იქნება)

ვერავინ „აღარ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძენმა სკულპტორმა პიგმალიონმა ქალის ულამაზესი ფიგურა გამოაქანდაკა. სკულპტურა იმდენად მშვენიერი იყო, რომ პიგმალიონს გატაცებით შეუყვარდა იგი. საუკუნეების მანძილზე ფიქრობდნენ, რომ ეს ამბავი ლეგენდა იყო, მხოლოდ ზოგიერთს სჯეროდა, რომ ადამიანს შეუძლია შეიყვაროს მარმარილოდან ან ხიდან გამოკვეთილი ქანდაკება. ცხოვრებამ დაამტკიცა ძველი გადმოცემის სიმართლე.

ქანდაკება, რომლის შესახებაც ახლა მოგითხრობთ, ხისგან არის გაკეთებული და იტალიის ერთ-ერთი საპორტო ქალაქის ლა სპეზიის მუზეუმში დგას. მუზეუმის კურატორს თავიდანვე დიდი საფიქრებელი გაუჩნდა — მას გონებადაკარგული ადამიანებისაგან უნდა დაეცვა ძვირფასი ქანდაკება. საქმე იმაშია, რომ მუზეუმში ხშირად მიდის მოქარით სავსე წერილები, რომლებშიც იმუქრებიან ქანდაკების მოტაცებას ან დაჩეხვას. რამდენიმე წლის წინათ იტალიის პარლამენტში წინადადებაც კი შეიტანეს, — დაეწვათ ქანდაკება, როგორც ოდესღაც კუდიანებს წვავდნენ ხოლმე.

ამ ქანდაკებასთან დაკავშირებული ამბავი დაიწყო 1866 წელს, როცა ხმელთაშუა ზღვაში გასულმა იტალიური ფრეგატის „ველოსის“ ერთ-ერთმა მეზღვაურმა მოულოდნელად დაიყვირა: „ზღვაში ადამიანი მოჩანს!“ კაპიტანმა ბრძანა, დახმარება გაეწიათ მოცურავისათვის. მალე ნათელი გახდა, რომ ეს „მოცურავე“ ხისაგან გამოკვეთილი ოქროსთმიანი ქალის ქანდაკება იყო. როცა იგი გემბანზე ამოიტანეს, ყველას თვალში ეცა პედესტალზე გაკეთებული წარწერა — „ატალანტა“. მეზღვაურები მთელი მოგზაურობის მანძილზე თავს იტეხდნენ იმაზე ფიქრით, თუ შუა ზღვაში საიდან გაჩნდა ასეთი ქანდაკება. ისინი საათობით ისხდნენ ქანდაკების წინ და ტკბებოდნენ უჩვეულო სილამაზით.

როგორც კი „ველოსმა“ ღუზა ჩაუშვა იტალიის ერთ-ერთ ნავსადგურში, ატალანტა ნავით გადაიტანეს ნაპირზე და საზღვაო მუზეუმს ჩაბარეს.

1928 წელს ატალანტა შეიყვარა მუზეუმის ერთ-ერთმა შუახნის თანამშრომელმა, რომლის მოვალეობაში დარბაზებში სისუფთავის დაცვაც შედიოდა. ერთხელ, როცა იგი ქანდაკებას მტვერს წმენდდა, თავი ვეღარ შეიკავა და ატალანტას გადაეხვია. ეს შენიშნა ექსკურსიათმძღოლმა და მნახველებს ღიმილით უთხრა, ეს კაცი შეუყვარებულიაო. თანამოსამსახურეებმა დაცინვა დაუწყეს „პიგმალიონის მიმდევარს“. იგი ცდილობდა თვალი აერიდებინა ატალანტასათვის, მაგრამ როცა იძულებული იყო მისთვის მტვერი გადაეწმინდა, ყოველთვის ჩასჩურჩულებდა დამცინავი სიტყვა — „შეშლილი“. ერთ საღამოს დარაჯი სანატორიუმში გაემართა და ზღვაში დაიხრჩო თავი.

1948 წელს, როცა ქალაქ ლა სპეზიის სამხედრო-საზღვაო ბაზაში გერმანელები იდგნენ, ოფიცერმა ერიკ კურცმა ნახა ატალანტა.

— ეს ქანდაკება ჩემთან უნდა წავიღო, — უთხრა მან მუზეუმის კურატორს, — დღესვე გამოვგზავნი მანქანას.

კურცმა ატალანტა სახლში მიიტანა, მთელი თვის მანძილზე გულმოდგინედ მალავდა მას და უახლოეს მეგობრებსაც კი არ უჩვენებდა. 1944 წლის 18 ოქტომბერს კურცი სამსახურში არ გამოცხადებულა. იმ ხანებში ლა სპეზიის რაიონში აქტიურად მოქმედებდნენ პარტიზანები და გერმანელები შეაშფოთა კურცის მოულოდნელად გაუჩინარებამ. პატრულები მივიდნენ მასთან სახლში და კარი შეამტვრიეს. კურცი მშვენიერი ქანდაკების ფეხებთან იწვა ტუვიით გახვრეტილი თავით. ოფიცრის წერილში, რომელიც შემდეგ სამუზეუმო ექსპონატი გახდა, ეწერა: „ვინაიდან არც ერთ ქალს არ შეუძლია მომანიჭოს ის ოცნების მაგვარი ცხოვრება, რომელიც მაჩუქე შენ, ატალანტავ, მე გაძლევ ჩემს სიცოცხლეს“.

ატალანტა დაბრუნეს საზღვაო მუზეუმში. ამჟამად ატალანტა დგას იმ ბერძნული მარმარილოს ქანდაკების ასლის გვერდით, რომელიც ოდესღაც პიგმალიონს უყვარდა.

— ზოგჯერ მეკითხებიან, არ გეშინია, ატალანტა რომ შეგიყვარდესო,— ხუმრობს ხოლმე მუზეუმის ახლანდელი მოხუცი კურატორი, და თან ალმაცერად შესცქერის „ვერაგ ლედის“, — რად უნდა მეშინოდეს, იტალიაში უამრავი ლამაზი ცოცხალი გოგონა ცხოვრობს!

სპორტი ოდითგანვე დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა გამოჩენილი მოაზროვნეებისა და გმირების, მეფეებისა და პოეტების ცხოვრებაში.

პითაგორემ, სანამ გეომეტრიაში თავის განთქმულ „პითაგორის შარავალს“ აღმოაჩენდა, სახელი გაითქვა როგორც საშუალო წონის ბოქსორმა. თანამედროვეთა გადმოცემით, დიდი მათემატიკოსი ოლიმპიურ თამაშებზე გამართულ ბრძოლებს ხშირად ეფექტური ნოკაუტით ამთავრებდა.

ბერძენი მხედართმთავარი ალკივიადი (V საუკ. ძვ. წ. ალ.) პირველი კლასის მოჭირითე იყო. სპორტულ მარულაში, დოღსა და ეტლებით რბოლაში იგი ხშირად პირველი მდებოდა ფინიშთან. ყოველი გამარჯვების შემდეგ ალკივიადი დიდ წვეულებას მართავდა. ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ერთ-ერთ ასეთ წვეულებაზე მხედართმთავარმა, სპორტსმენმა არა მარტო მოწინააღმდეგეები და ზოგიერთი მაყურებელი მიიწვია, არამედ შეჯიბრებაში მონაწილე ცხენებიც დაპატიჟა.

რას იტყვის მკითხველი ტანმოვარჯიშეთა ნაკრებზე შემდეგი შემადგენლობით: არისტოტელე, დემოსთენი, პლატონი, სოკრატი, იულიუს კეისარი?.. უძველესი დროის ყველა ეს დიდი ადამიანი შესანიშნავად ვარჯიშობდა ორძელზე და ღერძზე.

ჟან-ჟაკ რუსო ამბობდა: „სიარული აცოცხლებს და შთააგონებს ჩემს აზრებს, მოსვენებულ მდგომარეობაში თითქმის არ შემიძლია ფიქრი. ჩემი სხეული უეჭველად უნდა მოძრაობდეს, მაშინ მოძრაობს ჩემი გონებაც“.

ლევ ტოლსტოი 66 წლისა იყო, როცა ველოსიპედით სეირნობას მიჰყო ხელი. დიდი მწერალი მალე ველოსიპედისტთა რუსეთის საზოგადოების საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს.

ცნობილმა ჟურნალისტმა ვ. გილიარევსკიმ 1897 წელს ბელგრადში გამართულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე პირველი ადგილი დაიკავა. მას მიენიჭა „ყველაზე დიდი რაინდის“ საპატიო ტიტული. ეს გამარჯვება შემთხვევითი როდი იყო, ჯერ კიდევ 1882 წელს ვ. გილიარევსკიმ ა. ჩეხოვთან ერთად მოსკოვში დააარსა ტანმოვარჯიშეთა საზოგადოება, სადაც მათთან ერთად ვარჯიშობდნენ მხატვარი ი. ლევიტანი, დრამატურგი ა. სუხოვ-კობილინი, მსახიობი ვ. დურაოვი და სხვები.

ვიქტორ ჰიუგოს 40 წლის ასაკში ეჭიკობმა გულის საშიში დაავადების დიაგნოზი დაუსვეს. „განწირულმა“ მწერალმა ფეხით სეირნობას, ნიჩბოსნობასა და ცხენოსნობას მიჰყო ხელი და 83 წელიწადი იცოცხლა.

ცნობილმა მეცნიერმა ო. ლეიპზინსკაიამ 64 წლის ასაკში ჩაბარა მშო-ს ნორმა. ასობით მაყურებელი აღტაცებით უკრავდა ტაშს, როცა მხცოვანმა პროფესორმა ხელუუმბარით ხელში 50 მეტრი გაცურა.

ოლიმპიადა ერის უეჭველ

1912 წლის 14 აპრილს ტრანსატლანტიკური ხომალდი „ტიტანიკი“, რომელიც პირველ რეისს ახორციელებდა, ოკეანეში ყინულის მთას დაეჯახა და ჩაიძირა. 2007 მგზავრიდან ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 705 კაცი.

როგორც შემდეგ გამოირკვა, „ტიტანიკის“ დაღუპვის მიზეზებში კატასტროფის ადგილიდან შორიახლოს იმყოფებოდა კიდევ ერთი ხომალდი. საერთაშორისო კომისია, რომელიც ამ ტრაგედიის მიზეზებს არკვევდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს ხომალდი უნდა ყოფილიყო „კალიფორნიელი“, რომელიც „ტიტანიკიდან“ დაშორებული იყო 5 უთითოდე მილით. გამოძიების ოქმში აღნიშნული იყო, რომ „კალიფორნიელის“ კაპიტანმა სტენლი ლორდმა უბედურების სიგნალი მიიღო, მაგრამ „ტიტანიკისათვის“ დახმარების გაწევის ნაცვლად ოკეანეში მიმალვა არჩია...

კაპიტანი ლორდი პროტესტს აცხადებდა, იგი დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ კატასტროფის ადგილიდან ხომალდი „კალიფორნიელი“ სულ ცოტა 20 მილით მაინც იყო დაშორებული და მას დახმარების შესახებ არავითარი სიგნალი არ მიუღია. კაპიტანს არ უჯერებდნენ თითქმის 50 წლის განმავლობაში. იგი გარდაიცვალა გასული წლის იანვარში, 84 წლის ასაკში.

ორიოდე თვის სიცოცხლე დააკლდა კაპიტან ლორდს იმ დღემდე, რომ იგი მოსწრებოდა თავის მთლიან გამართლებას. საქმე იმაშია, რომ სრულიად მოულოდნელად იპოვეს ახალი დოკუმენტები — ნორვეგიული სათევზაო ხომალდის „სამსონის“ ჟურნალი და მისი კაპიტნის ჰენრიკ ნაესის დღიური. ნაესი გარდაიცვალა ამას წინათ, თითქმის იმავე ასაკში, რამდენისაც იყო კაპიტანი ლორდი.

ამ დოკუმენტებიდან გაირკვა, რომ აისბერგთან შეჯახების დროს „ტიტანიკიდან“ შემჩნეული ხომალდი იყო არა „კალიფორნიელი“, არამედ „სამსონი“, რომელიც სამშობლოში ბრუნდებოდა თევზაობისათვის აკრძალულ წყლებში რამდენიმე თვის ყოფნის შემდეგ.

აი რას წერს თავის დღიურში ჰენრიკ ნაესი იმ საშინელი ღამის შესახებ:

„როცა შებინდდა, ჰორიზონტთან ცის სამხრეთ ნაწილში შევნიშნე ორი კაშკაშა ვარსკვლავი. ისინი ანათებდნენ მეტად დაბლა და გამაოცეს თავიანთი სიდიდით. მე ვთხოვე ვახტზე მდგომ მეზღვაურს იქითკენ მიემართა ბინოკლი. რამდენიმე წამის შემდეგ მან დაიძახა, რომ ეს ვარსკვლავები კი არა, დიდი გემის სინათლეებია.

მალე შევნიშნე ორი შუშხუნა. მერე სინათლეები ჩაქრა, მე მოგვითათბირე ვახტზე მდგომ მეზღვაურს და დავასკვენი, რომ „სამსონი“ შეერთებული შტატების წყლებში იმყოფებოდა, სინათლეები კი ეკუთვნოდა საგუშაგო ხომალდს, რომელმაც შუშხუნებით გვამცნო, რომ შემჩნეულები ვართ. ჩვენ რომ დავეკავებინეთ, დაკვირვავდით მთელს ნადავლს“.

„სამსონმა“ ჩააქრო სინათლეები და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაეშურა. 1912 წ. 25 აპრილს მან ღუზა ჩაუშვა ისლანდიის სანაპიროსთან. აქ ნაესი შეხვდა ნორვეგიის კონსულს, რომელმაც შეატყობინა „ტიტანიკის“ დაღუპვის ამბავი.

„ამ ლაპარაკის დროს, —წერდა შემდეგ კაპიტანი ნაესი, — მოულოდნელად გამიელვა ერთმა აზრმა. მე ვთხოვე კონსულს გაზეთი, სადაც დაწერილებით იყო აღწერილი გემის დაღუპა. ყურადღებით რომ წავიკითხე და გემის ჟურნალში ჩანაწერებს შევადარე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ხომალდი, რომელიც „ტიტანიკიდან“ დაინახეს, „სამსონი“ იყო.

უნდა ითქვას, რომ „სამსონზე“ არ ქონდათ რადიო და არავითარი სიგნალი დახმარების შესახებ მათ არ მიუღიათ.

„ეკიპაჟის წევრებს არავითარი ფიცი არ მიუცია ამ საიდუმლოების შენახვის შესახებ, — წერდა ნაესი თავის დღიურში, — ჩვენ, უბრალოდ, გადავწყვიტეთ, რომ მიზანშეწონილი არ არის ამ შემოხვევის შესახებ ლაყბობა“.

ამ დღიურით თუ ვიმსჯელებთ, ნაესმა არ იცოდა, რომ მის ნაცვლად უსამართლოდ დასდეს ბრალი სხვას — კაპიტან სტენლი ლორდს. მიუხედავად ამისა, მოგონება იმის შესახებ, რომ იგი სამარცხვინოდ გაიქცა „ტიტანიკის“ დაღუპვის ადგილიდან, ყოველთვის სტანჯავდა ნაესს.

სხვადასხვა

ბრიუსელში გაიხსნა კომ-ფორტაბელური სასტუმრო... ძაღლებისათვის. სასტუმრო ძაღლებს აღუთქვამს „კომ-ფორტს, რომელიც შეეფერება მათ მფლობელთა მაღალ მდგომარეობას“. განცხადების თანახმად, სასტუმროში არის „ყველა ზომის მოხერხებული საწოლები“. მენიუ ძაღლებისათვის ითვალისწინებს ხორცისა და ბოსტნეულის ბულიონებს, სხვადასხვა ხარისხის სისხლიან ძეხვებს, ამერიკულ ფილესა და სხვა ყუათიან კერძებს.

* * *

სპორტულ შეჯიბრებათა სახეობებიდან ყველაზე მომქანცველია მარათონული სირბილი, რომლის დროს სპორტსმენი 4 კილოგრამამდე წონას კარგავს. შემდეგ მოდის თხილამურებით სრიალი, ველოსრბოლა გრძელ დისტანციაზე, ნიჩბოსნობა, ფეხბურთი...

* * *

საფოსტო მტრედების მოშენება ევროპაში ჯვაროსნულ ლაშქრობათა დროიდან შემოიღეს. „წმინდა ადგილების“ გასანთავისუფლებლად მიმავალ ჯვაროსან რაინდებს თან მიჰყავდათ მტრედები, რომლებსაც შინ ატანდნენ წერილებს.

* * *

განზრახულია კუნძული სიცილია ზღვის ქვეშ გამავალი გვირაბით დაუკავშირონ აპენინის ნახევარკუნძულს. გვირაბი მესინის სრუტის ყველაზე ვიწრო ადგილას გაიჭრება. სამუშაოები 150 მილიარდი ლირა დაჯდება და ხუთ წელიწადს გასტანს.

* * *

პარიზში მიმდინარეობს ეიფელის კოშკის შეღებვა, რასაც 80 ათასი სამუშაო საათი დასჭირდება.

ეიფელის კოშკი, რომელიც პარიზელთა და ტურისტთა საყვარელ ადგილს წარმოადგენს, დიდ შემოსავალს იძლევა. კოშკზე ასასვლელი ბილეთებიდან შემოსული თანხა ყოველწლიურად ექვს მილიონ ახალ ფრანკს შეადგენს.



ნახატი-ხუმრობა

ა. ერაძისა

ჟურნალ „დროშის“ № 1-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად: 3. დიელო; 6. ტემპი; 8. კლარნეტი; 9. რე; 12. ტაქტი; 14. თემა; 15. ბახი; 16. ლიგა; 18. გრემინი; 20. ტრელი; 23. ანტარი; 24. ოდეტა; 27. რომანსი; 28. ბიზე; 32. ნიუანსი; 33. მაჰავარიანი; 36. ფა; 37. ინაბი; 39. ტრიკე; 41. აშკენაზი; 43. რე; 44. სურინი; 45. ციტრა; 46. ნაინა; 48. ლა; 52. ჩანგი; 53. დიეზი; 54. ანდანტე; 56. სიკო; 57. ტონი; 58. რამო; 59. გიტარა; 60. ცისანა.

ვერტიკალურად: 1. ვირსალაძე; 2. ალი; 4. ოქტეტი; 5. ხემი; 7. ირემა; 9. რეგისტრი; 10. თასი; 11. სიმი; 13. ტრიო; 16. ლიზა; 17. ვერდი; 18. გრიგი; 19. გერმანი; 21. ტოსკანინი; 22. ლეილა; 25. ტუბა; 26. ბეკასი; 29. კსინი; 30. ასაფიევი; 31. ფალიაშვილი; 34. ნოტი; 35. მეტრი; 38. ალეგრო; 40. რენატო; 42. ზეინაბი; 47. არჰეჯიო; 49. გუდასტვირი; 50. სარაჯიო; 51. ადაჯიო; 55. ტერცია; 56. სმეტანა.



კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 4. საერთაშორისო შეთანხმება; 8. წელიწადის ერთ-ერთი დრო; 9. მონასტერი; 11. სპორტული ნაგებობა; 13. მიმართვა რაიმე მნიშვნელოვანი საქმის შესასრულებლად; 14. სიახლის შემომტანი რაიმე დარგში; 15. ნავსადგური იტალიაში; 16. სპეციალური დანიშნულების დაწესებულება ან დასახლება, ახალშენი; 18. ორკვირიანი ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი; 21. ლიტერატურასა და ხელოვნებაში სინამდვილის ასახვის ხერხი; 23. მყარი სახის სათბობი; 25. სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 28. ფრინველი; 29. ტროპიკული მარადმწვანე მცენარე; 30. მწერი; 31. სასვენი ნიშანი; 33. ატმოსფეროს მდგომარეობა განსაზღვრულ დროსა და ადგილზე; 36. ხერხი, საშუალება; 37. ფიცრის დასაკეცი საკეტი, ასაფარებელი ფანჯარაზე ან კარზე; 40. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ნაირსახიანი ზოლი, ფერით ან მასალით განსხვავებული; 41. იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციის — „ახალგაზრდა გვარდიას“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი; 44. ხელოვნებაში ამა თუ იმ ეპოქის, ერთი მიმართულების ან ცალკეული შემოქმედის დამახასიათებელი გამომსატველობით ხერხთა მხატვრული თავისებურებათა ერთობლიობა; 47. აზოტმჟავა მარილი; 49. სტუდენტი მედიკოსი, რომელიც თვალყურს ადევნებს ავადმყოფობის მიმდინარეობას კლინიკაში; 50. საბუთი; 51. ამა თუ იმ სამწერლო ენის ასოთა ერთობლიობა; 52. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯგუფი, ხროვა; 53. ბრალდებულის სხვაგან ყოფნა, როცა ბოროტმოქმედება მოხდა.

ვერტიკალურად: 1. მინერალური სამკურნალო წყალი; 2. ერთ-ერთი მოძმე რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობა; 3. სპორტული თამაში ყინულზე; 4. გამოჩენილი ფრანგი მხატვარი და საზოგადო მოღვაწე; 5. ქართული ნაციონალური სპორტის სახეობა; 6. ბარაქა; 7. მეცნიერება შინაგანი აგებულების, ფორმის შესახებ; 10. მცირე ეპიკური ფორმა, მოთხრობა; 12. ტექნიკური კულტურა; 17. ადმინისტრაციული ერთეული; 19. დაავადება; 20. პურეული მცენარე, მარცვლოვანთა ოჯახისა; 21. წინასწარი მონახაზი, გეგმა; 22. ბედაური; 23. მსგავსი საგნებისა და მოვლენების ერთობლიობა; 24. მშვილდით სატყორცნი მახვილწვეროანი წვრილი ჯოხი; 26. მოძმე რესპუბლიკა; 27. გულის სისხლძარღვი; 32. შხამიანი ბუზი; 34. ღრმა ადგილი მდინარეში, სადაც წყალი ბრუნავს; 35 მატერიის ელემენტარული ნაწილაკი; 38. სატექსტო მასალის პირის მისაღები აპარატი; 39. ესპანური ხალხური ცეკვა, შესრულებული გიტარისა და კასტანეტების აკომპანემენტზე; 42. მოწონების, აღტაცების კოლექტიური გამოხატვა აპლოდისმენტებითა და შეძახილებით; 43. სითხის ან გაზის სადენი მილის საკეტი; 45. მევალისათვის ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად ჩაბარებული ქონება; 46. სრული და ერთბაში დამარცხება, დამხობა; 48. თბილისის გარეუბანი.

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისი, ს. ორჯონიკიძის სახ. მოედანზე. ფოტო თ. არჩვაძისა. გარეკანის მეოთხე გვერდზე: დიდი ინდუსტრია. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.

რედაქტორი ა. ძიძიგური.

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/II-63 წ. გამომც. № 6, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 136, უე 06225

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

კოლომბოს მთავარი ქუჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲝᲚᲝᲛᲑᲝ

ყველა ზეიმზე დიდი სიხარული ცეილონელებისათვის ოთხ თებერვალს მოაქვს. ამ დღეს ცეილონელმა ხალხმა კოლონიალიზმის უღელი მოიშორა. ბევრი სახელმოხვეჭილი გმირი და მოღვაწე შეეწირა ამ დღეს, მათ შორის პრეზიდენტი ბანდერანაიკიც, რომელიც მზაკვრულად მოჰკლეს ქვეყნის თავისუფლების მტრებმა.

ბორკილაყრილმა ხალხმა ფრთები შეისხა. სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა სოლომონ ბანდერანაიკის მეუღლე... (პირველი პრემიერ-მინისტრი ქალი მსოფლიოში). იგი კვალდაკვალ მისდევს მეუღლის სიცოცხლეში დასახულ იდეებს და ღლითი დღე ახორციელებს მათ.

ცეილონელებს მრავალი რელიგიური და ეროვნული დღესასწაული აქვთ.

ბუდას დაბადების, განათლების და ქვეყნიერებიდან წასვლის დღეს მაისში დღესასწაულობენ. მაშინ უნდა ეწვიოთ ცეილონს! ქალაქები, სოფლები, ბუდისტური ტაძრები ათასნაირად ირთვება და იკაზმება. კოლომბო მაშინ დიდ სამასკარადო დარბაზსა ჰგავს. ქუჩებში ირევიან ფერად-ფერად

კოლომბოს ზოოლოგიურ პარკში.

ზეიმობს მთელი ოჯახი.

ანანასის გამყიდველი.

სინგალელი ბიჭები ნაგასდგურში.

ბუდას დაბადების დღესასწაული კოლომბოში.

მეთევზეთა უბანი.

ტანსაცმელში გამოწყობილი ყველა ასაკის ადამიანები — მოხუცები, ახალგაზრდები, ბავშვები. სპილოებიც კი ბრჭყვიალა „კაბებით“ შეუმოსავთ ცეილონელებს. ისინი დინჯად მოაბიჯებენ ადამიანთა ბრბოში, ათასნაირი ნიღაბი ფარავს ცეილონელთა ლამაზ სახეებს.

ღამით კუნძულს ყვავილების მაგიერ ფერად-ფერადი ნათურები ამკობენ.



ИНДЕКС 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა